ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“
8 ლარი
16 მაისიდან 30 მაისამდე




ორშაბათი, 16 მაისი, 2011 №114 (5495) ფასი: 30 თეთრი

# ლევან გაჩეჩილაძე: ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებთ!

გვ.2



რატომ არ იყო ბათუმში გამართულ აქციაზე კოკა გუნცა ე

## სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ოქრუაშვილს დემოკრატიული არჩევნები არ სურთ

გვ.5



## „მოვლენების შემდგომი განვითარება მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული“



გვ.9



## ხელისუფლება ქურის ოპოზიციაზე რადიკალურია

გვ.8

## ჩერქეზების გენოციდის განხილვა საქართველოსთვის სახიფათოა

გვ.4



გვ.7



## კოკოითი მესამედ მოსვლას აპირებს

## ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შევცვალოთ!

გვ.10



## სააკაშვილმა თავი უნდა დაგვანებოს!

საქართველოში ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება

გვ.10



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

გვ.6



## შამბა აპლიასთან დაპირისპირებულ მღვდლებს აკრიტიკებს



## ციხეებში აუტანელი პირობებია

გვ.11

პატიმრებს ეუბნებიან, თქვენი ადვოკატები დაგვაჭერინეთ და გაგათავისუფლებთო

ISSN 1987-9385

**6** ილია II: მთავარია, ადამიანმა სწორი გზა აირჩიოს

**3** ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალა უნდა ჩამოყალიბდეს

**7** ბადრი პატარკაციშვილის თანაგუნდელები სამოქალაქო მოძრაობას აფუძნებენ

**3** დაიხევს თუ არა უკან სააკაშვილი

# ლევან გაჩეჩილაძე: ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებთ!

**14 მაისს ბათუმში, დრამატული თეატრის წინ, „ქართული პარტიის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია გაიმართა. საპროტესტო აქცია დაახლოებით 5 საათზე დაიწყო. აქციას, კოკა გუნცაძის გარდა, „ქართული პარტიის“ ყველა ლიდერი და თბილისიდან და სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული „ქართული პარტიის“ უამრავი მხარდამჭერი ესწრებოდა. აქციას ასევე „სამოქალაქო ფრონტის“ ხელმძღვანელი ჯაბა ჯიშკარიანი და „თავისუფალი საქართველოს“ წევრებიც ესწრებოდნენ. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ აქციას ბათუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი ესწრებოდა, თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ აქციაზე თითოოროლა ბათუმელი იყო წარმოდგენილი. თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის მანქანები და თანამშრომლები იყვნენ მობილიზებულნი. „ქართული პარტიის“ მიერ ორგანიზებული აქცია ჯგუფ „ფორტეს“ წევრ ზურაბ დოიჯაშვილის სიტყვით გამოსვლით დაიწყო. ჯგუფმა „ფორტემ“ აქციის მონაწილეებს რამდენიმე სიმღერაც კი უმღერა. ზურაბ მანჯავიძის თქმით, ის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ უმღერის, თუმცა, ყოველთვის იქ იქნება, სადაც მართალი ხალხი სიმართლისთვის იბრძოლებს. აქციის მონაწილეებს პარტიის ლიდერებმა შემდეგი სიტყვებით მიმართეს:**



## რატომ არ იყო ბათუმში გამართულ აქციაზე კოკა გუნცა ე

ქეთი ხომერიკი

**ლევან გაჩეჩილაძე, „ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე:**

— ეს არის პოლიტიკური ჯარი, რომელიც დღეიდან იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას, რომ ამ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს აქ მრავლად არიან, დავუბრუნოთ საქართველოს ისტორია. ჩვენ მზად ვართ, მოვიდეთ ხელისუფლებაში. ჩვენი ადრინდელი მცდელობები, შეგვეჩერებინა ეს რეჟიმი, წარუმატებელი იყო, იმიტომ რომ არ იყო სათანადო მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოებისგან. ახლა ასე აღარ არის. ამერიკის პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს ხალხს და არა რომელიმე რეჟიმს. ჩვენ მალე მოვალთ ხელისუფლებაში და ეს იქნება ხალხის ნება, ყველა გამოვა ქუჩაში. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან სამშობლო გადასარჩენია.

ბათუმის დრამატული თეატრის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს ჭიათურის წმინდა გიორგის სახელობის წინამძღვარმა მამა ლაზარემაც მიმართა.

— დავდგეთ იქ, სადაც ქართველი ხალხია, ანუ დავდგეთ „ქართული პარტიის“ გვერდით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად! — აღნიშნა, მამა ლაზარემ. ლიდერების გამოსვლებს მქუხარე ტაში სდევდა თან. ხალხი ყურადღებით და კმაყოფილი სახით უსმენდა მათ.

„ქართული პარტიის“ მიერ ორგანიზებული აქციის დაწყებამდე „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერმა ჯაბა ჯიშკარიანმა ახალგაზრდებთან ერთად ბათუმის პროკურატურის წინ ჩაატარა აქცია და ამის შემდეგ „ქართული პარტიის“ აქციას შემოუერთდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯაბა ჯიშკარიანმა კახეთშიც ჩაატარა მსგავსი აქცია ზუსტად „ქართული პარტიის“ მიერ კახეთში გამართული აქციის დღეს. ჩვენ დავინტერესდით, ხომ არ უერთდება ჯიშკარიანის მოძრაობა „ქართულ პარტიას“ და მას გავესაუბრეთ.

**ჯაბა ჯიშკარიანი, „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი:**

— ჩვენ დღეს გვქონდა კონკრეტული აქცია ბათუმის პროკურატურასთან სახელწოდებით „არ შეგრჩება“. აქცია იყო მიმართული ადეიშვილისა და მთლიანად ამ ბოროტი რეჟიმის მისამართით. აი, ამ პლაკატზე წერია როინი, რომელიც დაიბადა თავისუფალი და მოკლა ადეიშვილმა. როინ შავაძე სამხედრო მზვერავი იყო, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა აგვისტოს ომში და რომელიც ამ ომიდან ზუსტად 8 დღეში, 16 აგვისტოს ბათუმში, ოქროს ბირჟასთან სპეცრაზმის თანამშრომლებმა მოიტაცეს. მისი გატაცების დაგეგმარებაში მონაწილეობდა დათა ახალაია, კუდის უფროსი, ასევე ე.წ. მაიმუნა, რომელიც ბათუმის კუდის თანამშრომელია და ასევე რამდენიმე სპეცრაზმელი, რომლებიც შემდეგ ტყეში მოკლულნი იპოვეს. ამ აქციის მსვლელობის დროს დააკავეს ერთ-ერთი ჩვენი სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომელსაც მანქანის საჯარიმოზე გადაყვანითა და ჩამორთმევით ემუქრებოდნენ. ეს როცა გავიგეთ, ანუ ეს ჩვენი აქციის პარალელურად ხდებოდა, ჩვენი მეგობრები, ქალბატონი ნანა კაკაბაძე და სხვები მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და პირდაპირი მნიშვნელობით დაიხსნეს პატრულის ხელებიდან ჩვენი სამარშრუტო მიკროავტობუსი და მოიყვანეს უკან. აი, ამ აქციის დასრულების შემდეგ ჩვენ შემოვუერთდით „ქართული პარტიის“ აქციას, რომელსაც მხარს ვუჭერთ. მე მივიღებ მონაწილეობას რეჟიმის დემონტაჟის პროცესში და ვიქნები ბრძოლის ავანგარდში. მე არც ერთ პარტიას არ ვუერთდები, მე ყოველთვის ხალხთან მივდივარ.

— *ანუ თქვენ 21 მაისს „სახალხო კრების“ მიერ დაგეგმილ აქციაზეც გიხილავთ?*

— არ ვიცი, არ მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება 21 მაისს. თუ მექნება კონკრეტული ინფორმაცია ანუ მეცოდინება ის, თუ რას აპირებს ამ დღეს ქართველი საზოგადოება და მიდის თუ არა აქციაზე, მაშინ ამ აქციაში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ.

ბათუმში, ერას მოედანზე გამართული აქცია დაახლოებით 3 საათში დასრულდა. „ახალი თაობა“ დაინტერესდა, თუ როგორი განწყობაა ხალხში, უნდათ თუ არა ცვლილებები, ანუ კონკრეტულად რა გზით უნდათ, რომ მოხდეს ხელისუფლების შეცვლა, საერთოდაც, რას ფიქრობენ „ქართულ პარტიაზე“ და ამის გასაგებად ბათუმის მცხოვრებლებთან საუბარი გადაწყვიტა, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენ გასაუბრება მხოლოდ ერთ ადამიანთან მოვახერხეთ. დიახ, მხოლოდ ერთთან, რადგან უამრავმა ბათუმელმა ჩვენთან საუბარზე უარი განაცხადა. უმეტესმა მათგანმა მიზეზად შიში დაასახელა. მათ თავიანთი ვინაობისა და განწყობის გამხელა პრესასთან არ ისურვეს. ერთ-ერთმა ისიც კი გვითხრა, რომ დაგელაპარაკოთ და გითხრათ ყოველივე ის, რასაც ვფიქრობთ, გვეშინია, არ დაგვიჭირონო. ნინო დუმბაძის თქმით კი ხალხს ერთი სული აქვს, ხელისუფლება შეიცვალოს და რევოლუციაზეც კი არიან თანახმანი. „უამრავ ადამიანს უნდოდა დღევანდელ აქციაზე მოსვლა, თუმცა მათ შიში ვერ დაძლიეს“, — გვითხრა ქალბატონმა ნინომ. ერთი სიტყვით, კახეთის მოსახლეობისგან განსხვავებით, სადაც ადამიანები თავიანთი აზრის დაფიქსირებას პრესასთან არ ერიდებიან, ბათუმში სულ სხვა მდგომარეობაა. ხალხი იმ დონეზეა დაშინებული, რომ ხმის ამოღებასაც კი ვერ ბედავს, მათ შორის, აქციაზე მოსვლასაც.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, რამდენად კმაყოფილი იყვნენ ლიდერები აქციით, გაამართლა თუ არა მათი მოლოდინები და ამ საკითხზე „ქართული პარტიის“ ლიდერ სოზარ სუბარს გავესაუბრეთ.

— მთელი ამ აქციების მიზანი საზოგადოების მობილიზებაა, ანუ ის, რომ საზოგადოებაში გავტეხოთ შიშისა და უიმედობის განცდა და ნიჰილიზმი საბოლოოდ იქნეს დაძლეული, ამავდროულად, ვაჩვენოთ საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც, რომ „ქართული პარტიის“ სახით არსებობს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მზად არის, ჩადგეს დიქტატურისგან გათავისუფლების ბრძოლის ავანგარდში და იყოს ამ ბრძოლის მეთაური. აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობით კმაყოფილი ვართ, მეტსაც გეტყვით, იყო რაიონები, სადაც თხოვნა იყო, რომ წამოსულიყო 5 მიკროავტობუსი და ბოლოს ზოგმა 10 მიკროავტობუსიც კი აიყვანა, რადგან ის რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა. დაშინების მცდელობები იყო თითქმის ყველა რაიონში. დღეს დილას ხარაგაულის რაიონში პოლიციამ და გამგებელმა გზები გადაუკეტეს ხალხს და მიკროავტობუსის რამდენიმე მძღოლი დააშინეს კიდეც, მაგრამ მათ მაინც თავისი გაიტანეს და დღეს ისინი აქ არიან.

**მარინა ჭიპაშვილი, ხარაგაულის „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**

— მანქანის წართმევის მცდელობას ჰქონდა ადგილი. პოლიცია და გამგებელი მძღოლს ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, არ წაიყვანოთ ხალხიო და იყო ერთი ამბავი. ბევრი მძღოლი დაშინდა და არ წამოგვიყვანა, თუმცა, დიდი წვალების მერე ჩამოსვლა მაინც მოვახერხეთ. „ახალი თაობის“ მეშვეობით მინდა მადლობა გადავუხადო ხარაგაულის საკრებულოსაც, გამგეობასაც და პოლიციასაც იმისთვის, რომ იზრუნეს ჩვენს გამოცილებაზე, მაშინ როდესაც ხარაგაულში შაბათ-კვირას კაცს „გამარჯობას“ ვერ ეტყვი, რადგან არ გამოდიან გარეთ. აი, დღეს კიდევ მთელი თანამშრომლები გარეთ ჰყავდათ, რადგან ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ იმით, თუ როგორ მოვდიოდით. მოკლედ, ხელისუფლების წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ „ქართული პარტიის“ მიერ დაგეგმილ აქციაზე ხალხი ვერ ჩამოსულიყო, თუმცა ამ შემთხვევაში კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. აი, ბათუმელების დაშინება და აქციაზე არგამოსვლა კი მეტ-ნაკლებად მოახერხეს. რაც შეეხება „ქართული პარტიის“ გენერალურ მდივან კოკა გუნცაძეს, როგორც უკვე გითხარით, ის აქციაზე არ გამოჩენილა, არადა, „ქართული პარტიის“ ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ გუნცაძე ბათუმში გამართულ აქციას დაესწრებოდა. „ახალი თაობა“ დაინტერესდა, რატომ არ იყო გუნცაძე აქციაზე, საერთოდაც, დატოვა თუ არა რეალურად მან პარტიის რიგები და ამ კითხვით „ქართული პარტიის“ პოლიტიკურ მდივან ეროსი კიწმარიშვილს მიმართა.

— კოკა აკეთებდა დღევანდელი აქციის ორგანიზებას, ახლა კი თბილისის აქციის ორგანიზებას აკეთებს და, მე მგონი, შემდეგ აქციაზე ნამდვილად იქნება. შეგიძლიათ, მშვიდი სინდისითა და ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე დაწეროთ, რომ გუნცაძე არსად წასულა, რადგან ჩემი კომენტარი ამ კითხვაზე ასეთია: „ქართული პარტიის“ გენერალური მდივანი ისევ კოკა გუნცაძეა.

„ახალი თაობა“ ასევე დაინტერესდა, რომ ის საუბრები, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში არ წყდებოდა, ვგულისხმობ „ქართული პარტიისა“ და „თავისუფალი საქართველოს“ მოსალოდნელ გაერთიანებას, ხომ არ შეესაბამება სიმართლეს და ამ საკითხზე „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრ ირაკლი ციკოლიას გაესაუბრა.

— სააკაშვილი არჩევნებით არ წავა, რადგან ტერორისტია, ტერორისტები კი არჩევნებით არ მიდიან. ისინი ან უნდა მოკლა, ან უნდა გააგდო იარაღით. ჩვენ ამ შემთხვევაში იარაღი არ გვაქვს, თუმცა ჩვენი იარაღი არის ჩვენი ხელები. ჩვენ არც ერთ პარტიასთან არ ვგეგმავთ გაერთიანებას. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პარტიის მიერ არის ორგანიზებული აქცია. სადაც რეალური ბრძოლაა, იქ „თავისუფალი საქართველო“ ყოველთვის დადგება.

— ***პარტიის ლიდერი, კახა კუკავა, რატომ არ არის აქ, ხალხის გვერდით?***

— ლიდერი არის თუ არა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. პარტია ხომ არის წარმოდგენილი.

აი ასე, ყოველგვარი ექსცესებისა და, ასე ვთქვათ, შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაიარა „ქართული პარტიის“ მიერ გამართულმა აქციამ. როგორც უკვე გითხარით, აქცია დაახლოებით 3 საათში დასრულდა და ქართული პარტიის კოლონა თბილისისკენ გამოემგზავრა. აი, გზად კი აღმოვჩნდით პრობლემების წინაშე. ბათუმიდან თბილისისკენ მიმავალებს გზაზე პრობლემები შეგვექმნა, დაბა ხარაგაულთან საპატრულო პოლიციამ ერთი ავტობუსი, რომლითაც „ქართული პარტიის“ მხარდამჭერები მგზავრობდნენ, გააჩერა, მიზეზად კი მძღოლის მხრიდან საგზაო წესების დარღვევა დასახელდა. ამ ავტობუსით დაახლოებით 200 ადამიანი მგზავრობდა. ავტობუსის მძღოლს ტექპასპორტი არ აღმოაჩნდა და საპატრულო პოლიცია ტექნიკური დათვალიერების არქონის გამო ავტობუსის საჯარიმოზე გადაყვანას ცდილობდა. მგზავრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს და მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიცია შეგნებულად არ შემოიფარგლა მხოლოდ დაჯარიმებით, ხალხმა ხმაური ატეხა და პროტესტის ნიშნად გზა გადაკეტა. მხოლოდ გზის გადაკეტვის შემდეგ დასჯერდა საპატრულო პოლიცია ჯარიმის გამოწერას და გამოგვიშვა.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, თუ რატომ იქნა ავტობუსი გაჩერებული, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის პასუხი ასეთი იყო: მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესი და ამიტომ გავაჩერეთო, თუმცა, ჩვენთან საუბრისას ავტობუსის მძღოლი ამტკიცებდა, რომ მისი მხრიდან საგზაო წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ტყუილუბრალოდ, უმიზეზოდ გააჩერეს იგი. ჩვენს კითხვაზე, ჯარიმის გამოწერას რატომ არ სჯერდებოდნენ და რის საფუძველზე არ უშვებდნენ ავტობუსს, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი საკმაოდ უხეშად გვპასუხობდ: არ ვიძლევი ინტერვიუს, კარგად ბრძანდებოდეთო. რომ ვეკითხებოდით, აქ როდემდე უნდა იდგეს ეს ხალხიო, გვპასუხობდნენ, არ ვიცითო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ყოველ წამს ტელეფონზე ესაუბრებოდა ვიღაცას, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობას და ამის მიხედვით მოქმედებდა. მისი ტელეფონზე საუბრების შემდეგ რამდენიმე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მოვიდა და მათ მალევე პიკაპებით მოჰყვნენ, არა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, არამედ, სავარაუდოდ, კრიმინალური პოლიციის მაღალჩინოსნები. ერთ-ერთმა მათგანმა დაიწყო ღრიალი, რატომ არღვევთ საზოგადოებრივ წესრიგსო. თურმე წესრიგს ხალხი არღვევდა... ამის გაგონებაზე ხალხმა ყვირილი დაიწყო. თქვე მიშასა და ვანოს მონებოო, გაჰკიოდა ხალხი.

აი, რას უმეორებდა საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელს სოზარ სუბარი: „იგივე მძღოლი ადრე დაუჯარიმებიათ 10 ლარით და გაუშვიათ. მაშინ მისი მგზავრები პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები არ იყვნენ და დღეს, როცა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები ჰყავს იმავე მძღოლს მგზავრებად, აჩერებთ და ამდენ ხალხს არ უშვებთ, რატომ? იმიტომ რომ ეს არის პოლიტიკური დაკვეთა. ვანო მერაბიშვილმა, მაგ არაკაცმა დაგავალათ ეს. ჩვენ მაგ არაკაცს ვაზღვევინებთ და ნუ ჩაჰყვებით საფლავში. თუ არ არის ეს მერაბიშვილის დავალება, მაშინ დაწერეთ ჯარიმა და გაგვიშვით“.

ეროსი კიწმარიშვილი: „ახლა თქვენ ამწვავებთ სიტუაციას და მიიღებთ ამის საპასუხოს“. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი კი უმეორებდა მას, რომ მანქანა იქნა დარღვევაზე გაჩერებული და ავტობუსის ექსპლუატაციაში გაშვება არ შეიძლებოდა. პოლიციელები მოითხოვდნენ, ხალხი ცენტრალური მაგისტრალიდან გადასულიყო, კიწმარიშვილი კი უმეორებდა მათ, რომ ეს იყო პოლიტიკური ნიშნით დევნა და როდესაც დაწერდნენ ჯარიმას და გაუშვებდნენ ავტობუსს, მხოლოდ მაშინ გადავიდოდით გზიდან. ეს სიტუაცია დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. 2 საათის განმავლობაში პოლიცია იმეორებდა, ავტობუსის ექსპლუატაციაში გაშვება არ შეიძლებაო, ლიდერები კი იმეორებდნენ, გამოწერეთ ჯარიმა და გაგვიშვით, თუ არ არის პოლიტიკური ხასიათის ეს ყველაფერიო. სანამ ასე არ მოიქცევით, გზიდან არ გადავალთო, უმეორებდა პოლიციის თანამშრომლებს კიწმარიშვილი და არც გადავდიოდით გზიდან. დაახლოებით ორი საათის შემდეგ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ჯარიმის გამოწერას დასჯერდნენ და ავტობუსი, რომლის ექსპლუატაციაში გაშვებაც თურმე არ შეიძლებოდა, გაუშვეს.

**ეროსი კიწმარიშვილი:**

— ეს ინციდენტი რომ ხელოვნური იყო,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალა უნდა ჩამოყალიბდეს

## სააკაშვილმა მოწმეების მოშორება დაიწყო

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, თქვენ ჩვენს ყველა ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავდით, რომ ოპოზიციას შანსი ერთად დადგომის შემთხვევაში ჰქონდა, თუმცა, დღეს უარესი შედეგია, დაპირისპირებამ და ურთიერთბრალდებებმა ოპოზიციაში პიკს მიაღწია... რა ხდება, მართლაც ხელისუფლების თამაშს ხომ არ თამაშობენ ეს ძალები?***

— ნამდვილად არის ეს გაურკვევლობა, ამიტომაც ჩვენი პარტია, „თავისუფალი საქართველო“, პრაქტიკულად, არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან არ ვართ დაბლოკებული და ამ მოსაზრებაში უფრო და უფრო ვრწმუნდებით, თუმცა საბოლოო განცხადებას მაისის ბოლოს გავაკეთებთ.

***— ის სიტუაცია, რომელიც დღეს არის, ალბათ, ყველანაირად ხელს აძლევს სააკაშვილს...***

— რა თქმა უნდა.

***— რა პროცესებს უნდა ველოდოთ, როგორია თქვენი პროგნოზები?***

— ჩვენი პარტია თავიდან ბოლომდე ორიენტირებული ვართ იმაზე, რომ 2011 წელს საქართველოში ჩამოვაყალიბოთ თუნდაც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იქნება დამოკიდებული და დაყრდნობილი ქვეყნის შიდა რესურსებზე და არა სააკაშვილის სპეცსამსახურებისაგან კვებაზე.

***— რაიმე კონკრეტულ შედეგს თუ ელით ამ აქციებისგან?***

— არა. მე, პირადად, მაქვს განწყობა, რომ ყველაფერი წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით მიმდინარეობს.

***— საზოგადოებაში ასევე დაბნეულობა და გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ ქართულმა პარტიამ აქციების დაწყება სახალხო კრებას დაასწრო...***

— დასწრებაში არ არის საქმე. ეს არ არის მთავარი პრობლემა. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, ორგანიზატორები რამდენად მზად არიან, რომ მართლაც განახორციელონ ის მოქმედებები, რომლებთან დაკავშირებითაც გადის სარეკლამო კლიპები, კეთდება უამრავი განცხადება და ასე შემდეგ.

***— სახალხო კრებას რაც შეეხება, მის მიერ ორგანიზებული აქციების შესახებ რას ფიქრობთ?***

— ყველა ძალა, რვიანი იქნება, სახალხო კრება თუ ქართული პარტია, ერთი და იმავე პრინციპების მიხედვით უნდა შეფასდეს. შეიძლება, ამ წუთისათვის ზოგს უფრო მეტი ნდობა ჰქონდეს, ზოგს — უფრო ნაკლები, მაგრამ მთავარია, რომ მაისის ბოლოსთვის ყველას გამოცხადებული აქვს, რაღაც გარკვეული შედეგები უნდა ჰქონდეს დ ამ შედეგებიდან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ უნდა გაკეთდეს ძირითადი განცხადებები.

***— ასევე ცნობილია უკვე, რომ ხელისუფლება 26 მაისს აღლუმს ჩაატარებს რუსთაველზე. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ამ დროს ოპოზიციაც რუსთაველზე იქნება. რას უნდა ველოდოთ?***

— ჩვენც უამრავი კითხვა გვაქვს ამასთან დაკავშირებით. ასე იყო გამოცხადებული და ასე იქნება? ძალიან გვაინტერესებს! პირადად მე არაფერს განსაკუთრებულს არ ველოდები და ვფიქრობ, რომ აუცილებელია ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც იქნება უკომპრომისო, რომლის ამოცანა იქნება ხელისუფლების შეცვლა და არა, დავუშვათ, პარლამენტში ერთი მანდატის მიღება და ფულის გათეთრება რაღაცა სხვადასხვა აქციაში, რაც ძალიან ხშირად ხდება ხოლმე.

***— ალბათ, ხელისუფლებასაც იმედი აქვს, რომ 26-ში აღლუმს უპრობლემოდ ჩაატარებს...***

— რადგანაც პროცესი, სავარაუდოდ, მის მიერ არის კონტროლირებადი, ეს იმედიც სრულიად ლოგიკურია. სამწუხაროა, მაგრამ ეს იმედგაცრუება საზოგადოებაში გამოიწვევს ფუსტრაციას და ძალიან გაჭირდება სამომავლოდ ოპოზიციური მუხტის ხელახლა დაგროვება.

***— რაც შეეხება „ქართული პარტიის“ თავმჯდომარის სოზარ სუბარის განცხადებას, მან ალიანსი საქართველოსთვის რუსული ინტერესების განხორციელებაში დაადანაშაულა, რასაც საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა ამ პარტიების მხრიდან...***

— რა გითხრათ, სოზარ სუბარი საერთოდ არ არის შემჩნეული ტყუილებში, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება მისი სიტყვების არ ვირწმუნოთ, მაგრამ აუცილებელია, მის სიტყვებს დიდი ყურადღებით მოვეპყროთ. მე რომ ვიყო ამ შემთხვევაში ბრალდებულების ადგილზე, სოზარის ლანძღვას კი არ დავიწყებდი, არამედ მოვითხოვდი ამ საქმის გამოძიებას. მათი მწვავე რეაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ, როგორც ჩანს, ეს განცხადებები ჰაერზე არ იყო გაკეთებული.

***— ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს როგორ აფასებთ?***

— ოქრუაშვილი, ეტყობა, გაბრაზებული აკეთებს ხოლმე განცხადებებს, იმიტომ რომ შეიძლება ბევრი რამ, რაც მან განაცხადა, ახლოს იყოს სიმართლესთან, მაგრამ ფორმა და ტექსტი, რომლითაც მან ეს მოსაზრება გამოხატა, აბსოლუტურად მიუღებელია პოლიტიკაშიც და დიპლომატიაშიც. ამ ფორმას ნამდვილად არ ვეთანხმები.

***— მით უმეტეს ამ ფონზე, როცა დასავლეთი ოპოზიციის მხარეს არის...***

— არ დაიჯეროთ. ეს ჭორებია. აბსოლუტურად არ არის ახლოს რეალობასთან. ეს არის ჩვენი ზოგიერთი არაფრისმაქნისი ოპოზიციონერის მიერ გავრცელებული ჭორები.

***— რვიანის შესახებ რას ფიქრობთ?***

— არ ვიცი, რა გითხრათ. რვიანი დარწმუნებულია, რომ მაისის ბოლომდე საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებენ. მე ამაში დარწმუნებული არა ვარ, თუმცა, აღდგომა და ხვალეო...

***— როგორ ფიქრობთ, თუ პროცესები გამწვავდება, წავა ხელისუფლება აქციების დარბევაზე?***

— თეორიულად შეიძლება ეს ვარიანტი განვიხილოთ, მაგრამ მგონია, რომ ეს ვარიანტი გამორიცხულია. ნამდვილად არ ველოდები, რომ სიტუაცია აქამდე მივა.

***— რაც შეეხება ოპოზიციონერი ლიდერების დაპატიმრებებს?***

— არც ამას ვფიქრობ, რომ რეალურია, იმიტომ რომ ხელისუფლება დღეს ყველაფერს აკონტროლებს და არა მგონია, მას სჭირდებოდეს ვითარების გამწვავება.

***— ე.ი. თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ ორივე ძალის აქციები ხელისუფლების მხრიდან კონტროლირებადია?***

— ამაში 95%-ით ვარ დარწმუნებული.

***— მაშინ გამოდის, რომ არაფერს არ უნდა ველოდოთ მაისის ბოლოსთვის...***

— მაისის ბოლოსთვის მე არც არაფერს არ ველოდები. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ უნდა აიღოს ინიციატივა. უკომპრომისო, რადიკალური ძალების კოორდინაციას დასჭირდება რამდენიმე თვე და, როდესაც იქნება მზადყოფნა, დამოუკიდებლად, ვითომდა ოპოზიციური პარტიების გარეშე უნდა დავიწყოთ გადამწყვეტი შეტევა ხელისუფლებაზე.

***— ბატონო კახა, ასევე ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზეც მინდა გკითხოთ. აქტიურად მიდის საუბარი, რომ ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა. რა ინფორმაციებს ფლობთ თქვენ და, თქვენი აზრით, რამდენად გაწირავს სააკაშვილს საკუთარი გუნდი?***

— გამორიცხულად მიმაჩნია ეს, იმიტომ რომ ადამიანებს, რომლებმაც მილიარდები დააგროვეს სააკაშვილის მმართველობის პირობებში, არა მგონია, რაიმე მოტივაცია ჰქონდეთ, რომ ეს ვითარება შეცვალონ. ეს არის ჭორები, რომლებიც ვრცელდება. თქვენს გაზეთს ეს ნამდვილად არ ეხება, მაგრამ დღეს პრესის უდიდესი ნაწილი ყვითელი რაღაცებითაა დაკავებული და რას არ იგონებენ. ჩემი აზრით, ეს ინფორმაციები მოკლებულია რეალურ საფუძველს.



***— ბოკერიას დაჯგუფება, რომელზეც ასე აქტიურად მიდის საუბარი, მითია?***

— შეიძლება, ეს დაჯგუფება არსებობს და ის დაპირისპირებული იყოს, მაგალითად, ახალაიებთან, მაგრამ არა — სააკაშვილთან. სააკაშვილი ყველა მათგანისთვის უსაფრთხოების გარანტია. თუ არ იქნება სააკაშვილი, არ იქნება არც ერთი მათგანი არათუ ხელისუფლებაში, არამედ თავისუფლებაზეც. ყველას მოუწევს მიტაცებული ქონების დაბრუნება და ციხეში წასვლა.

***— ამბობენ, რომ სააკაშვილმა მოწმეების მოშორება დაიწყო და ამის მაგალითად სანოძის ვითომდა თვითმკვლელობის ფაქტი მოჰყავთ. თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ?***

— არ ვიცი, ეს გირგვლიანის საქმეს უკავშირდება თუ არა, მაგრამ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დიახაც ეს ფაქტი იყო მოწმეების მოშორების კამპანიის დასაწყისი. ეს არა მარტო გირგვლიანს უკავშირდება, სანოძე ბევრ სხვა ბინძურ დანაშაულშია ჩართული. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, ეს რეალურად ასე იყოს.

ნონა ცაბა ე

# დაიხევს თუ არა უკან სააკაშვილი

## ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობას ვერ გამოაცხადებს

### ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან



***— ბატონო გელა, მაისის დადგომასთან ერთად, ოპოზიციაში დიდი მოძრაობები დაიწყო, თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე ოპოზიციურ პარტიებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. როგორ ფიქრობთ, რამდენად იმოქმედებს ეს ყველაფერი საზოგადოების განწყობილებაზე?***

— ადრეც ვამბობდი და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ ეს სიტუაცია უკვე ტრაგიკომიკურ სახეს იღებს. ტრაგიკულს იმიტომ, რომ ასეთი ურთიერთდაპირისპირება ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, კომიკურს იმიტომ, რომ ზუსტად ტყუპისცალი ტაქტიკისა და სტრატეგიის მქონე პარტიები, იმის ნაცვლად, რომ იყვნენ პარტნიორები, ერთმანეთს აღიქვამენ კონკურენტებად და ერთმანეთს ებრძვიან. რასაკვირველია, ხელისუფლება ამას სათავისოდ საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებს, თუმცა, მე მაინც ვვარაუდობ, რომ პერსონალიების შეუთავსებლობა და ურთიერთდაპირისპირება არ უნდა გახდეს იმ ადამიანების შეუთავსებლობის საფუძველი, რომლებიც ამ პერსონალიების უკან დგანან და ის ძირითადი ნაწილი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას საპროტესტო აქციებში, სწორედ ერთმანეთის სოლიდარულები იქნებიან და არა დაპირისპირებული მხარეები, ამიტომ ვთვლი, რომ ეს ორი ძალა რაღაც ეტაპზე, ადრე თუ გვიან, მაინც ერთად იქცევა და ერთმანეთს შემატებს იმ მუხტს, რომელიც აუცილებელია წარმატების მისაღწევად.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მაინც მოხერხდება მათი გაერთიანება?***

— ლოგიკა ამაზე მეტყველებს. მართალია, თარიღებს აანონსებენ ლიდერები, მაგრამ, ხალხი რა განწყობითაც მოდის ამ საპროტესტო აქციებზე, მათთვის უმნიშვნელოვანესია დაპირისპირების ობიექტი, ანუ მიზანი — ხელისუფლება, რომელიც, მათი აზრით, არის სწორედ ის ხელისშემშლელი ძალაც, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებას აფერხებს, მათი პრობლემების საფუძველი, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აქვს, ამიტომ ერთი მიზნისკენ იქნება მიმართული მათი მოქმედება და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არ შეტრიალდება მათი ძალისხმევა.

***— ეს ურთიერთკინკლაობა ხომ არ გაანელებს იმ მუხტს, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში?***

— ის მუხტი, რომელიც იყო 2007 წელს, თუნდაც 2009 წელს, მასობრივი აქციების დროს, მე მეჩვენება, რომ არ არის იმ კრიტიკულ ზღვრამდე მისული და იმ დონემდე არ არის აწეული, როგორიც ეს იყო 2007 თუ 2009 წლებში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არის არა ის, რომ ხელისუფლებას მომხრეები გაეზარდა და ოპოზიციას მოაკლდა, ან რაიმე სიტუაცია შეიცვალა ჩვენთან სასიკეთოდ, არამედ, უბრალოდ, ის, რომ ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაში მოახერხა ხალხის მასობრივი დატერორება მოსალოდნელი სანქციებით — შემოსავლის წყაროს გადაკეტვა, თუ ისინი სახელმწიფო დაწესებულებაში არიან, მათი ან მათი ოჯახის წევრების გათავისუფლება, თუ კერძო ბიზნესში არიან, მათი ბიზნესის წართმევით და დატერორებით, აქედან დაწყებული, დამთავრებული დაპატიმრებით, იარაღის, ნარკოტიკის ჩადებით, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის პროვოცირების თუ სხვა მრავალი მათგან მოგონილი პროვოკაციით, რომელსაც ისინი ძალიან მაღალ დონეზე ახერხებენ, მით უმეტეს, ასეთი სასამართლოების პირობებში ყოვლად შეუძლებელია მოქალაქემ თავისი სიმართლე დაამტკიცოს, ეს მაგალითები როდესაც დანარჩენ ადამიანებს აქვთ ნაცნობების, მეზობლების თუ მეგობრების სახით, ისინი, რა თქმა უნდა, ცდილობენ, თავი აარიდონ ასეთ გართულებებს და ურჩევნიათ მძიმე პირობებში ყოფნა, ვიდრე გარისკონ თავიანთი ელემენტარული შემოსავლის წყაროს ან სულაც თავისუფლების დაკარგვა. ეს კი მასობრივად მოახერხა ხელისუფლებამ, იმიტომ რომ ისინი ტოტალურად აკონტროლებენ თითოეული მოქალაქის თუ მოქალაქეთა ჯგუფების საქმიანობას. აქედან გამომდინარე, პოლიციური რეჟიმი, რომელიც დამყარებულია საქართველოში, უზრუნველყოფს იმას, რომ მასობრივი ხასიათი არ მიიღოს ამ გამოსვლებმა. მე ვგულისხმობ იმ დონის მასობრივ გამოსვლებს, რომლებიც გადაიზრდება რევოლუციასა და ხელისუფლების დამხობაში.

***— ალბათ, ამის იმედიც აქვს ხელისუფლებას, რადგან თამამად დააანონსა, რომ 26 მაისს რუსთაველზე აღლუმს მართავს...***

— რა თქმა უნდა, ხელისუფლება, რაც მე ჩამოვთვალე, ყველაფერს ამას შიგნიდან არა მარტო უყურებს, არამედ აკონტროლებს და ახორციელებს კიდეც. სწორედ ამის იმედი აქვთ. აქედან გამომდინარე, ისინი თავდაჯერებულად აცხადებენ, რომ ვერავითარი გამოსვლა მათ ხელისუფლებას ვერ შეარყევს. როგორც ჩანს, ამის საფუძველი აქვთ, რომ ერთჯერადი გამოსვლით ისინი უკან არ დაიხევენ, ვინაიდან ასეთი გამოცდილება მათ აქვთ 2007-2009 წლებში. 2007 წელს, როდესაც ძალიან გაუჭირდათ, რა მეთოდებსაც მიმართეს, ყველამ კარგად ვიცით, 2009 წელს კი სხვა ტაქტიკას მიმართეს და ასევე თითქმის სამთვიანი და მრავალათასიანი გამოსვლების დროსაც მშრალად ამოვიდნენ წყლიდან. 2009 წლის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს და დახვეწეს რეპრესიული პოლიციური რეჟიმი. აქედან გამომდინარე, მათი თავდაჯერება გასაგებია, თუმცა, ის გაჭირვება, ის უკანონობა, რომელსაც ხალხი გამოჰყავს ქუჩაში, თუ რა დონეზეა მისული ხალხის მასა, გამოჩნდება 21 მაისს თუ მანამდე დაწყებული აქციების დროს. თუ კრიტიკულ მასას მიაღწია ხალხის რაოდენობამ, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია. თუმცა, ვიმეორებ, გარეგნულად ჯერჯერობით ასე ჩანს, რომ ეს ხელისუფლებას ჩამოშლის. ჩამოშლის თვალსაზრისით ამ ეტაპზე საფრთხეს ვერ შეუქმნის.

***— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა რაოდენობის ხალხი გამოვა?***

— არა მხოლოდ რაოდენობაზე, არამედ აქციების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა მხრიდან არჩეულ ტაქტიკაზეც. ვინაიდან ჩვენ გვახსოვს 26 მაისსაც რამდენი ხალხი გამოვიდა, თუნდაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, იქნებოდა ეს 13 იანვარი თუ 20 იანვარი, მაგრამ ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა არასწორი ტაქტიკური მოქმედებების შედეგად ხალხის ეს ენერგია და ძალისხმევა ჰაერში გაიფანტა, ანუ წყალში ჩაიყარა. ასე რომ, მხოლოდ ხალხის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. ხალხის რაოდენობა არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა. აქ დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ტაქტიკას და იმ გადამჭრელი ზომების მიღებისთვის მზადყოფნას, რომელიც უნდა ალმოაჩნდეთ ამ საპროტესტო აქციების ორგანიზატორებს.

***— სახალხო კრების ლიდერებს თუ დავუჯერებთ, ყველა ერთხმად აცხადებს, რომ ისინი მიდიან უკომპრომისო ბრძოლაზე... ალბათ, 21 მაისი გვაჩვენებს, რა გეგმები აქვთ.***

— რა თქმა უნდა, 21 მაისიც და შემდეგი დღეებიც ამას ყველაფერს აჩვენებს და ვნახოთ. მე მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი სისხლის ღვრის გარეშე ჩაივლის ორივე შემთხვევაში. ერთ შემთხვევაში, თუ იქნება ძალიან დიდი რაოდენობა ხალხის, ძალიან დიდი მუხტი და ძალიან დიდი ძალისხმევა ამ ხალხის, მაშინ ხელისუფლება ვერ გაბედავს იმას, რაც ადრე გაუკეთებია და სისხლის ღვრაზე წასულა. მეორე შემთხვევაში, თუ ამ რაოდენობის ხალხისა და მასის ძალის კონცენტრაცია ვერ მოხერხდა, არც ოპოზიცია გარისკავს იმას, რომ წინასწარ წაგებულ უაზრო შეტაკებებამდე მიიყვანოს ხალხის ეს მასა.

***— ისიც ითქვა, რომ სააკაშვილს არ უყვარს უკანდახევა და, თუ დასჭირდა, დაარბევს აქციას 26 მაისისთვის, რათა რუსთაველი თავისუფალი იყოს...***

— სააკაშვილს უკანდახევა არ უყვარს მაშინ, როდესაც მას აქვს გამარჯვების შანსი და არ ემუქრება რაიმე სერიოზული მარცხი, თორემ უკანდახევა და გაქცევა როგორ შეუძლია, ეს

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ჩერქეზების გენოციდის განხილვა საქართველოსთვის სახიფათოა

თეა მარხვაი ე

რუსეთის სპეც-სამსახურები საქართველოს უყურადღებოდ არ ტოვებენ. მათი მტკიცებით, კავკასიის იმამატის ლიდერი დოკუ უმაროვი თავს საქართველოს აფარებს. ეს ის უმაროვია, რომლის სიკვდილის შესახებაც რუსეთმა უკვე რამდენჯერმე გააკეთა განცხადება.

გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცის" მტკიცებით უმაროვი თავს პანკისის ხეობას აფარებს. გამოცემას უშიშროების სამსახურიდან ისიც აუწყეს, რომ პანკისში უმაროვი მკურნალობის კურსსაც გადის.

რუსული მხარის ცნობით კავკასიის იმამი 29 მარტს ჩატარებული სპეც-ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა. პანკისში კი რუსების ცნობით ბოევიკებისათვის სპეციალური ჰოსპიტალი ყოფილა. სწორედ ამ ჰოსპიტალში ეგულება მოსკოვს დაწრილი იმამი.

რუსული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლების აზრით, დოკუ უმაროვი საქართველოში კი არა, თურქთშია. ისინი აცხადებენ, რომ დოკუ უმაროვი სტამბოლში, საკუთარი ძმის, ვახა უმაროვის სახლში იმყოფება.

თუმცა, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინგუშეთში, დმიტრი მალოვმა განაცხადა, რომ უმაროვი თურქეთში არ არის. მისი თქმით, ამ შემთხვევაში უმაროვი აუცილებლად მოხვდებოდა თურქული სპეცსამსხურების ყურადღების ცენტრში და მას დააპატიმრებდნენ.

დოკუ უმაროვის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე საქართველოს საგარეო საქმთა მინისტრმა გააკეთა კომენტარი. მან ჟურნალისტებს ურჩია, რომ როდესაც რუსული მედია საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების ყოფნის შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნებს, კომენტარისთვის ოფიციალურ პირებს კი არა, ფსიქიატრებს მიმართონ.

რატომ გაახსენდა რუსეთს პანკისის ხეობა, რატომ არ ღირს სულელურ ბრალდებებზე კომენტარების კეთება, რას მოგვიტანს ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ამ თემებზე „ახალ თაობას" საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი ესაუბრება.

**ხიზრი ალდამოვი:**

— რუსეთი გამუდმებით ცდილობს საქართველოს დადანაშაულებას. ამისთვის უამრავ სიბინძურეს იგონებებნ. ბრალდება რომ უმაროვი საქართველოს აფარებს თავს, სწორედ კრემლის პოლიტიკის ნაწილია. რუსებმა მშვენივრად იციან, რომ უმაროვი საქართველოში არ არის.

***— აბა სად არის თურქეთში? ერთ-ერთი ვერსიით ის თურქეთში საკუთარი ძმის სახლში იმყოფება.***

— ის არის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. სადაც მას თავისი საქმე აქვს. ის ებრძვის რუს დამპყრობლებს. მას სხვაგან წასასვლელად არ სცალია. მას საქართველოში არანაირი საქმე არა აქვს.

***— რუსები ამტკიცებენ, რომ ის საქართველოში მკურნალობის კურსს გადის. მათი ინფორმაციით, პანკისის ხეობაში არსებობს სპეციალური ჰოსპიტალი. სადაც დაჭრილი ბოევიკები მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსს გადიან.***

— ეს არის სისულელე. ადრე რუსები ამტკიცებდნენ, რომ პანკისში ბოევიკების საწვრთნელი ბანაკი იყო. ახლა ამბობენ, რომ სპეციალური ჰოსპიტალია. ხვალ სხვა რამეს მოიგონებენ. უმაროვი ბევრჯერ ყოფილა დაჭრილი. ის მკურნალობის კურსს ყოველთვის ჩეჩნეთში გადიოდა. ამჯერადაც ასე იქნება. თუმცა არავინ იცის დაიჭრა თუ არა ის. სამაგიეროდ კარგად ვიცი, რომ ის ჩეჩნეთშია და რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. მისი საქმე არის ბრძოლა, ასე რომ საქართველოში არაფერი ესაქმება. მე ხშირად მითქვამს და კიდევ ვიტყვი, რომ რუსების განცხადებებს არ უნდა ავყვეთ. ნამდვილად არ ღირს მათ ბრალდებებზე კომენტარების კეთება.

***— რუსები ასეთი ტიპის განცხადებებს შემთხვევით არ აკეთებენ. თქვენი აზრით მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ რაიმე ახალ პროვოკაციას ხომ არ გეგმავს?***



## დოკუ უმაროვს პანკისის ხეობაში არაფერი ესაქმება

— რუსებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, განსაკუთრებით პუტინის რუსეთისგან. პროვოკაციას რაც შეეხება, იმაზე მეტი პროვოკაცია რაღად გვინდა, როცა რუსული ჯარი თბილისიდან 30 კილომეტრის დაშორებით დგას. ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი უკვე მიტაცებული აქვთ. მათგან ამაზე უარესს რაღას უნდა ველოდოთ? ამაზე უარესი შეიძლება ერთი რამე იყოს.

***— რა არის ეს ერთი რამე?***

— ქვეყნის მთლიანი დაპყრობა. ან რამდენიმე ბომბი ჩამოაგდონ და მთლიანად გაანადგურონ საქართველო. სხვა მათ გასაკეთებელი აღარაფერი არ დარჩათ. რუსებს დღეს თავისი პრობლემები აქვთ. მოგეხსენებათ, რომ იქ მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. პუტინი კიდევ ერთხელ აპირებს გაპრეზიდენტებას. ასე რომ ამ ქვეყანას ძალიან ბევრი შიდა პრობლემა აქვს. ამიტომაც არის რომ გახშირდა ასეთი ტიპის განცხადებები. საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი განცხადებები, როგორც წესი არჩევნების წინ კეთდება ხოლმე. იგივე ტიპის განცხადებები კეთდება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან დაკავშირებითაც.

***— პუტინი პრეზიდენტად რომ მოდის, როგორც წესი, ომს იწყებს ჩეჩნეთში. და საქართველოსაც ზედ მიაყოლებს ხოლმე. კიდევ რაიმე ხომ არ იქნება. თუ ამჯერად სხვა სამიზნეს აირჩევს?***

— საქართველოში რისი გაკეთებაც უნდოდათ უკვე გააკეთეს. იგივე ითქმის ჩეჩნეთზეც. ქვეყანა ფაქტიურად გაანადგურეს.

***— ამის მიუხედავად ხალხის საბოლოო დამორჩილება ვერ შეძლეს?***

— ჩეჩნებს ვერც დაიმორჩილებენ ბოლომდე. აქ ბრძოლა გამუდმებით იქნება. ამასობაში ხომ ეს ახალგაზრდები იხოცებიან. ერის გენოფონდი ნადგურდება. თქვენ მკითხეთ რუსეთი საქართველოს და ჩეჩნეთის ნაცვლად სხვა სამიზნეს ხომ არ აირჩევსო. ეს გამორიცხულია.

***— რატომ არის გამორიცხული, ბატონო ხიზრი?***

— იმიტომ რომ რუსებს არც სომხეთი, აინტერესებს და არც აზერბაიჯანი.

***— დარწმუნებული ხართ რომ არ აინტერესებს?***

— ინტერესით როგორ არ აინტერესებთ, უბრალოდ მათ მიმართ იგივე პოლიტიკას არ გაატარებს. რასაც ქართველების და ჩეჩნეთბის წინააღმდეგ ატარებს. სომხეთი ფაქტიურად მაგისია, იგივე ითქმის აზერბაიჯანზეც. საქართველოს დამორჩილება კი ვერ შეძლო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსებისთვის ქართველებისა და ჩეჩნების გარდა ხელი არავის არ შეუშლია. რა დღეშია ეს ორი ერი, ყველა კარგად ვხედავთ. გარდა იმისა, რომ გვებრძვის ცდილობს ერთმანეთთან დაგვაპირისპიროს. იცის რომ ჩვენ თუ ერთად ვიქნებით რუსებისთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეგვიძლია. რუსებს ისედაც ბევრი პრობლემა შევუქმენით. ამიტომ მთავარი სამიზნეები ისევ ჩვენ ვიქნებით. ოღონდ არ ვიცი ამაზე უარესი რაღა უნდა მოგვიწყონ. არჩევნების წინ რუსეთი რაიმე ახალ პროვოკაციას აუცილებლად მოაწყობს. ეს ამერიკის ან ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ არ იქნება მიმართული. იმიტომ რომ მათ ამას ვერ გაუბედავენ. სამაგიეროდ მათ აჩვენებენ, რომ ტერორისტების წინააღმდეგ იბრძვიან. ჩეჩნები ტერორისტებად გამოჰყავთ, ქართველები კი ტერორისტების მფარველებად. სინამდვილეში ტერორისტები კრემლში სხედან. ამ ტერორისტების განცხადებებზე კომენტარები არ უნდა გავაკეთოთ. მოსკოვის ბრალდებებზე თავი არ უნდა ვიმართლოთ.

***— რა შედეგს მოგვიტანს კომენტარებზე უარის თქმა. დუმილი შესაძლოა ვინმემ თანხმობის ნიშნად ჩათვალოს.***

— კრემლს უნდა, რომ ჩვენ თავი ვიმართლოთ. ეს მათ ინტერესებშია. ამიტომ ილაპარაკონ რამდენიც უნდათ. მე სულ ვამბობ, რომ კომენტარები არ უნდა გავაკეთოთ მაგრამ ხომ ხედავთ მეც რამხელა კომენტარი გავაკეთ. ამ ლაპარაკით ხომ არაფერი არ იცვლება. რუსები ისევ თავისას გაიძახიან. მათ არაფერი არ ეშველებვათ. ისინი ასე არიან მოწყობილი და ჩვენ მათ ვერ გადავაკეთებთ. მთელი მსოფლიო ეუბნება საქართველოდან ჯარი გაიყვანეო, მაგრამ ფეხს არ იცვლიან. მაგათზე ჩვენი კომენტარები გასჭრის? ამიტომ ილაპარაკონ და იყვნენ, იქნებ დაიღალონ და გაჩერდნენ.

***— მოდით ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებზეც ვისაუბროთ. რამდენიმე თვის წინ ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ ახმედ ზაკაევი და დოკუ უმაროვი. არადა ორივე ფრთა რუსეთის წინააღმდეგ გამოდის.***

— ორივე მათგანს თავისი პოზიცია აქვს. ძნელია დადგე და იმაზე ილაპარაკო, რომელია მართალი და რომელი არა. ორივე მათგანი იბრძოდა და იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. შესაბამისად ორივე მათგანი იმსახურებს პატივისცემას. ოღონდ მათ შორის არის ერთი განსხვავება.

***— რა განსხვავება?***

— ერთი მათგანი ევროპაშია. მეორე კი ჩეჩნეთშია, ხელში იარაღი უკავია და დღედაღამ დამპყრობლებს ებრძვის.

***— ამით რისი თქმა გინდათ ბატონო ხიზრი?***

— იმის, რომ კაცი რომელიც ჩეჩნეთშია და დამპყრობლებს ებრძვის, არის მართალი.

***— გამოდის რომ თქვენ დოკუ უმაროვის მხარეს ხართ.***

— მე არავის მხარეს არ ვარ. მე იმას ვამბობ იმას, რაც რეალურად ხდება. უმაროვი არის ჩეჩნეთში. მას თავისი ქვეყანა არ მიუტოვებია. სხვები კი ევროპასა და ამერიკაში არიან. მე ვიცი, რომ ისინი რუსეთის წინააღმდგ გამოდიან, მაგრამ ბრძოლით უმაროვი იბრძვის. ამდენად უხერხულია როცა საზღვარგარეთ მყოფი ჩეჩნები მას აკრიტიკებენ. ეს ჩემთვის მიუღებელია. ამიტომ ვთხოვ ამ ადამიანებს. რომ ჩეჩენი პარტიზანებისთვის ჭკუის სწავლებას და მით უმეტეს კრიტიკას თავი დაანებონ. თუ ასეთი ძლიერები ხართ, დაბრუნდით ჩეჩნეთში აიღეთ იარაღი და ეომეთ რუსეთს. ქართველები და ჩეჩნები ამაშიც კი ვგავართ ერთმანეთს.

***— მხედველობაში რა გაქვთ?***

— შევხედოთ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც დღეს საზღვარგარეთ არიან. გამოდიან და აქ მყოფებს ჭკუას გვარიგებენ. ასე იქცევიან ჩეჩნებიც. დოკუ უმაროვს მათი გასაკრიტიკებელი არაფერი სჭირს. ის თავის საქმეს აკეთებს და ძალიან სწორადაც იქცევა.

***— ვითომ სწორად იქცევა? ამ ბრძოლას უამრავი ჩეჩენი შეეწირა.***

— ჩვენი ბედი ასეთი ყოფილა შვილო.... თავისუფლების საფასური დიდია. ჩეჩნებისთვის ეს საფასური განსაკუთრებით მძიმე და სისხლიანი აღმოჩნდა. უმაროვიც იბრძვის. მას თავისი ქვეყანა არასდროს მიუტოვებია. ამიტომ მე მის ქმედებებს ვამართლებ. ოღონდ ყველას არა.

***— რა ქმედებებს უწუნებთ უმაროვს?***

— ტერორისტული აქტებს ვერ გავამართლებ, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. მართალია რუსები ბევრ მშვიდობიან მოსახლეს ხოცავენ, მაგრამ ჩვენ პუტინისგან ხომ უნდა განვსხვავდებოდეთ. ის ადამიანი არ არის. მე მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვას ვერ გავამართლებ. დანარჩენს კი უმაროვი, ისე აკეთებს როგორც ნამდვილმა ჩეჩენმა მებრძოლმა უნდა გააკეთოს. ვაფრთხილებ ყველას, რომ დაანებონ ამ ადამიანისთვის ჭკუის სწავლებას თავი. თუ ჩეჩნეთის დახმარება გინდათ ჩადით სამშობლოში და დაეხმარეთ. თუ ვერ ჩადიხართ მაშინ ფინანსურად დაეხმარეთ. თუ ესეც არ შგიძლიათ მაშინ გაჩუმდით მაინც. ის კაცი თქვენი გასაკრიტიკებელი არ არის.

***— ჩვენი პარლამენტი ჩეჩნების და ჩერქეზების გენოციდის საკითხს განიხილავს. თქვენი აზრით, ამ თემის წამოწევას აქვს რაიმე აზრი?***

— აზრი როგორ არა აქვს. ოღონდ გააჩნია რანაირად მოხდება ამ საკითხის განხილვა. თუ გვინდა, რომ ეს შედეგიანი იყოს, ამ თემაზე მარტო საქართველოში არ უნდა ვილაპარაკოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა ქვეყნებს. მარტო ჩვენ როგორ უნდა ვაღიაროთ ჩერქეზების გენოციდი. სხვა თუ არაფერი თავადა ვართ რუსული გენოციდის მსხვერპლნი. ვიღაცა იტყვის დედაქალაქთან 30 კილომეტრში რუსული ჯარი უდგათ და თავად სხვების გენოციდზე ჩივიანო. გენოციდის აღიარება უნდა მოხდეს, ოღონდ სხვანაირად. ჩვენს უკან უნდა იდგეს ძალა. სხვანაირად შედეგი არ იქნება. მე მეშინია ეს თემა რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ არ გამოიყენოს. მე მომწონს, რომ ამ თემით დაინტერესდა ჩემი ქვეყანა. ამასთან ისიც ვიცი, რომ საქართველოს დღეს ამის უფლება არა აქვს.

***— რატომ არა აქვს?***

— იმიტომ რომ ამის გამო ჩვენ სერიოზული პრობლემები შეგვექმნება.

***— რუსეთთან?***

— რუსეთი თავიდან ბოლომდე პრობლემაა. პრობლემები სომხეთთან შეგვექმნება. მათი გენოციდი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ აღიარა. ჩერქეზების გენოციდი კი არავის არ ულიარებია. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის გაუგებარი იქნება, რატომ ვაღიარებთ ჩერქეზების გენოციდა და სომხებისას არა. იმ შემთხვევაში თუ ვაღიარებთ თურქეთთან შგვექნება პრობლემა. ისინი ისედაც ჩასაფრებული არიან.

***— რაზე არიან ჩასაფრებული?***

— მათ საქართველოს მიმართ თავისი ინტერესები აქვთ. დღეს კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ვართ მაგრამ ეს ინტერესები ისევ არსებობს. თურქეთში არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ საქართველო რამე პროვოკაციაზე წამოიკიდონ. გენოციდის თემა ბევრი რამის მიზეზი შეიძლება გახდეს. ისე კი ძალიან მომწონს, რომ ჩვენი ხელისუფლება მოძმე კავკასიელების ბედით დაინტერესდა. თუ საერთაშორისო მხარდაჭერა არ მოვიპოვეთ, არაფერი არ გამოვა. არც გენოციდის აღიარებით ეშველებათ რამე ჩერქეზებს და ჩვენც სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით. მე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი ამის გამო კიდევ შემოიჭრას საქართველოში.

***— ზემოთ ხომ თქვით რუსეთი ამაზე მეტს რაღას გვიზამსო......***

— ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, ადგება და კიდევ ერთხელ დაგვარტყამს. ხალხს დაგვიხოცავს. ჩვენი ქვეყანა რუსებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. რაც არ უნდა კარგი ჯარი გვყავდეს, ბევრს ვერაფერს გავხდებით. იმიტომ რუსები 140 მილიონი არიან. მათთან დაპირისპირებას ყველა ერიდება, ჩვენც არ უნდა ვეთამაშოთ ცეცხლს. თუ გენოციდის აღიარება გვინდა, მაშინ საზღვარგარეთ უნდა მოვძებნოთ მხარდაჭერები.

---

## ლევან გაჩეჩილაძე: ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებთ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე




საბედნიეროდ, თქვენც კარგად დაინახეთ, ანუ ამ ავტობუსის გაჩერება იყო შესაძლებელი, მაგრამ ის, რომ სიტუაცია ასეთ ინციდენტამდე არ მისულიყო, სრულიად ხელეწიფებოდა პოლიციას, მაგრამ თქვენ ხედავდით, როგორ ისმენდა პოლიცია ბრძანებებს ტელეფონიდან. ეს არის პოლიტიკური დევნა. მთელი ეს აურზაური, ამ დაღლილი ხალხის შეწუხება ვანო მერაბიშვილისა და მიხეილს სააკაშვილის კისერზეა. ამ ყველაფერს ისინი აკეთებენ და მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ.

**თეო ტლაშაძე, „ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი:**

— ესენი რეფორმირებული კი არა, დეფორმირებული ტვინის პოლიციის თანამშრომლები არიან. ყოველწამიერად ხედავდით, როგორ ურეკავდნენ პატრულს და ეკითხებოდნენ, რამდენნი არიანო და მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ დაახლოებით 300-მდე ადამიანი იყო, მიიღეს გადაწყვეტილება, გავეშვით. ამიტომ, თუ ბევრნი ვიქნებით, ამ ტვინნაღრძობ პოლიციელებს, რომლებსაც მართავს ასევე ტვინნაღრძობი მერაბიშვილი, მოვერევით.

მოკლედ, ხალხის ორსაათიანი წამების შემდეგ გამოგვიშვეს. როგორც გითხარით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ორი საათის განმავლობაში ტელეფონზე ესაუბრებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს, მათგან მითითებებს იღებდნენ და შესაბამისად მოქმედებდნენ. ჩვენი გაშვებაც მათი ხელმძღვანელობის ბრძანებით მოხდა. საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელმა, რომელიც ხალხისგან საკმაოდ მოშორებით იდგა, ვერ შეგვამჩნია, რადგანაც ჩვენგან ზურგით იდგა, ვიღაცას ტელეფონზე ესაუბრებოდა და ეუბნებოდა: ბატონო ალეკო, კიწმარიშვილი და სუბარი დანებებას არ აპირებენ, ხალხიც არ იხევს უკან, დაახლოებით 300 ადამიანია და რა ვქნათ, გავუშვათო? გასაგებია. აი, ამ ფრაზით დაასრულა საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელმა ვინმე ბატონ ალეკოსთან სატელეფონო საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიშვეს. აი, ეს „ახალმა თაობამ" თავისი ყურით მოისმინა. მგონი, ეს ფაქტი ყველაფერს ნათელს ჰფენს. ამ ყველაფერს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და ემსახურებოდა მხოლოდ ერთ რამეს — ქართული პარტიის მხარდამჭერთა დაშინებას, გაწვალებას, სავარაუდოდ, დაკავებასაც და, რომ არა 300 ადამიანი, რა მოხდებოდა, კაცმა არ იცის, თუმცა, როგორ არა, ეს იცის მხოლოდ ერთმა ადამიანმა და მისი სახელი და გვარი ვანო მერაბიშვილია.

# სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ოქრუაშვილს დემოკრატიული არჩევნები არ სურთ

შორენა კოწოწაშვილი



## ხელისუფლებას პოლიტიკური ბრ ოლა უნდა მოვუგოთ

რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი ქვეყნისთვის მძიმე შედეგების მომტანად მიიჩნევს რევოლუციას საქართველოში და აცხადებს, რომ სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ტანდემს ერთნაირად აწყობთ რევოლუცია.

— ნაციონალებმა არ დაიტოვეს ღირსეული გასასვლელი. მათ საკუთარ თავს მოუჭრეს გზა იმისა, რომ ღირსეულად წავიდნენ და თუნდაც ზეგ ისევ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თუ ხალხი მხარს დაუჭერს. მთელი პრობლემა ამაშია. ვინაიდან ადამიანს ღირსეულად წასვლის შანსი აღარ აქვს, ის სულ უფრო უღირსად იქცევა. სააკაშვილი რომ წარმოიდგენს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება პირველი პირი აღარ იყოს, ეს მისთვის სიკვდილზე მეტია. ამიტომ ამათ სიკვდილი ურჩევნიათ. აი, ეს არის მათი პრობლემა. ამიტომ არის, რომ მათთან ურთიერთობა მოითხოვს ძალიან დიდ გონიერებას, სიფრთხილეს, რომ კუთხეში მომწყვდეული ვირთხასავით სახეში არ შემოგახტნენ და საზოგადოებას უარესი ვნება არ მოუტანონ, — აცხადებს დავით უსუფაშვილი და იქვე მიუთითებს, რომ სააკაშვილის წასვლა ჩვენი მოსაგვარებელია, რათა მისი უღირსი წასვლა ქვეყნისთვის ნაკლები დანაკარგების მომტანი გავხადოთ.

რაც შეეხება რუსულ ფულსა და რუსული ინტერესების განხორციელებას რევოლუციონერების მხრიდან, კიწმარიშვილი ამბობს: „ჩვენი პარტიის კურსია, ჩავიდინოთ ისეთი ქმედებები, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა და ტელეეთერებში მოვხვდეთ“. რესპუბლიკური პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ ამ პიარსტრატეგიით მოქმედი გუნდისგან აბსოლუტურად ყველაფერია მოსალოდნელი.

გთავაზობთ ინტერვიუს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან:

***— ბატონო დავით, რა ვითარება შეიქმნა ოპოზიციურ ფლანგზე, როცა ერთმანეთის მიმართ ასეთი მძიმე და შეურაცხმყოფელი განცხადებები ისმის?***

— ოპოზიციური სპექტრი რას აკეთებს, ამის განსაზღვრა შეუძლებელია. რესპუბლიკურ პარტიაზე მკითხეთ, რაც გინდათ და გიპასუხებთ. ჩვენ გვინდა ისეთი პოლიტიკური პროცესი, რომელიც გააუმჯობესებს ვითარებას. არსებული ვითარების გაუმჯობესება შესაძლებელია ამ ხელისუფლების ჩანაცვლებით უკეთესი პოლიტიკური ძალებით. ამასობაში მოცემული ოპოზიციური სპექტრი შედგება ხელისუფლებაზე უკეთესი და ხელისუფლებაზე უარესი ძალებისგან. შესაბამისად, ხელისუფლების უკეთესით შეცვლის პროცესი მე, პირადად, მაინტერესებს იმ კუთხით, ხელისუფლებაზე უკეთესი ძალები სწორ კურსს ირჩევენ თუ არა. ბუნებაში შეუძლებელია, რომ ხელისუფლებაზე უკეთესმა და უარესმა ძალებმა ერთობლივი ძალისხმევით შეცვალონ ეს ხელისუფლება უკეთესობისაკენ. ოპოზიციურ სპექტრში მუდმივად რაღაცები ხდება და ყოველთვის მოხდება. ზეგ ნაციონალური მოძრაობა იქნება ასევე ოპოზიციაში. ის რომ ოპოზიციაში იქნება, ის როგორ მოიქცევა? ვინმეს რამეში ხელს შეუწყობს თუ შეუშლის, ეს მე ნაკლებად მაინტერესებს. მე მაინტერესებს, უკეთესობისკენ შემცვლელი ძალები სწორად იქცევიან თუ არა. ჩემი აზრით, დღევანდელ ვითარებაში უკეთესობის შემძლე ძალებმა თავი მოიყარეს ოპოზიციურ რვიანში და ისინი აბსოლუტურად სწორად იქცევიან. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ აქვთ თავიანთი მიზნები და ამოცანები. მათი მოქმედებები ხშირად უშლის ხელს თუ არა სწორი მიმართულებით ქვეყანაში ცხოვრების წამართვას? — კი, უშლის ხელს, მაგრამ ეს არის მრავალპარტიული დემოკრატიის თანამდევი აუცილებელი მოვლენა. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ქვეყანაში იარსებებენ ძალები, რომლებიც, ჩემი შეფასებით, არასწორად იქცევიან.

***— რევოლუციურად განწყობილი ოპოზიციური ფრთის წევრები ამტკიცებენ, რომ ქართველ საზოგადოებაში იმატა ანტიამერიკულმა ანუ პრორუსულმა განწყობამ. ამას თქვენ ვერ გრძნობთ?***

— მე, პირადად, პოლიტიკური პარტია არ წარმომიდგენია ისეთ ინსტიტუტად, რომელიც ზომავს მოსახლეობაში, რა განწყობებია და რა განწყობასაც უფრო პოპულარულად ჩათვლის კონკრეტულ მომენტში, იმ პოლიტიკურ კურსს ატარებს. პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს თავისი ხედვა, რა არის სწორი და როგორი განწყობების გაღვივებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს საზოგადოებაში, შესაბამისად, კონკრეტულ მომენტში რა მხარდაჭერაზე შეიძლება ჰქონდეს გათვლა. ჩემთვის პოლიტიკურად პრორუსული ორიენტაცია — ჩემთვის და რესპუბლიკელებისთვის — ეს არის არასწორ მიმართულება. ასე განწყობილი საზოგადოებას მე, პირადად, 3%-ს ვხედავ თუ 93%-ს, ჩემთვის ერთი და იგივეა. ვცდილობ, გაიზარდოს იმ ადამიანების რიცხვი საზოგადოებაში და რაც შეიძლება მეტი ადამიანი დავარწმუნოთ, რომ ასეთი განწყობები მცდარი და არასწორია. თუ ვინმე ამბობს, რომ პრორუსული ორიენტაცია სწორია და მათ პოლიტიკური ძალებიც უჭერენ მხარს, გასაგებია. ჩვენ ასეთ ძალებთან თანხვედრა არ გვაქვს, მაგრამ, თუ პოლიტიკოსი ამბობს, რომ აღმოვაჩინე, პრორუსული განწყობები მატულობს ხალხში და მოდი, მეც იმას შევუწყობ ხელს, ეს აღარ არის პოლიტიკა და პოლიტიკოსი. მე რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებას ამ კუთხით, რომ პრორუსული განწყობები იზრდება, ვერ ვხედავ. ეს საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში არ ჩანს. ხალხი, რომელიც თვლის, რომ რუსეთთან ერთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და უსაფრთხოების სივრცეში ცხოვრება უკეთესია ამ ქვეყნისთვის, არა მგონია, რომ მათი რაოდენობა გაზრდილიყო 1991-92 წლებთან შედარებით. არიან ადამიანები, რომლებისთვისაც თავისთავად დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო დარჩა ისეთივე თეორიულ თემად, როგორიც შეიძლება იყო 80-იანი წლებისთვის. არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც დღევანდელი გაჭირვების ფონზე ახსოვს რა საკუთარი ან მისი ოჯახის წევრების უკეთესი სოციალური ყოფა ძველ დროში, ასოცირებას აკეთებს იმაზე. აქ ლაპარაკია არა პრორუსულ ორიენტაციაზე, არამედ საბჭოურ ნოსტალგიაზე. არის ხალხის მესამე კატეგორია, რომელიც, უბრალოდ, თვლის, რომ ოღონდ შეწყდეს ომი და უბედურება, იქნებ რუსეთთან რაღაც მოგვარდეს. მაგრამ, ჩემი აზრით, მაგალითად, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე იყო პოლიტიკური ძალა, რომელიც პირდაპირ და ღიად რუსეთთან ურთიერთობდა. ამ პარტიამ, როგორც მახსოვს, 7 თუ 8%-ზე მეტი ვერ აიღო საქართველოს მასშტაბით. ესაა ჩემი შეფასება. ამაზე არ და ვერ ვაგებთ რესპუბლიკელები ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, იმიტომ რომ პოლიტიკურ პარტიას იქით ევალება, საზოგადოებას უთხრას, რა მიაჩნია სწორად.

***— ირაკლი ოქრუაშვილისა და ბურჯანაძის განცხადებებსა და მუქარანარევ ტონზე რას იტყვით?***

— ამ თვალსაზრისით, მე მგონია, რომ, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილს, მეორე მხრივ, ბურჯანაძეს და მესამე მხრივ, ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ტანდემს ერთნაირად აღელვებთ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება ამ ქვეყანაში, იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში ვერც ერთი ეს ლიდერი და მათი გუნდები — ვერც სააკაშვილი, ვერც ბურჯანაძე, ვერც ოქრუაშვილ-კიწმარიშვილი ვერ ხდებიან ქვეყნის ხელისუფალნი. სამართლიანი და ობიექტური არჩევნები მათთვის იმას ნიშნავს, რომ ექნებათ, ალბათ, გარკვეული წილი პოლიტიკურ სპექტრში, შეიძლება, პარლამენტში წარმომადგენლობა, მაგრამ ძალაუფლებას — ხელისუფლებას სრულად ისინი ხელს ვერ მოჰკიდებენ. ამიტომ ამ ფლანგს, ერთი მხრივ, ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, რევოლუციური რიტორიკით დაკავებულ ხალხს, ერთნაირად არ სურთ თავისუფალი არჩევნებით ხელისუფლების საკითხის გარკვევა. ამიტომ მათ ბრძოლის ველად წარმოუდგენიათ ის მოვლენები, რაც ახლა ხდება.

***— თუმცა, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, მე რომ მდომოდა არაარჩევნების გზით მოსვლა, მოვახერხებდი, რად უნდა ამას წელიწად-ნახევარი მზადებაო. ჰქონდა ამის შანსი?***

— არ ვიცი. ეგ კომენტარი არ მომისმენია. მთავარია, ის ამბობს, რომ ჯერ უნდა გადავაყენო ეს ხელისუფლება და მერე ჩავატარო არჩევნები. ახლა თუ იმას გვამადლის, ამ ხელისუფლებას რომ გადავაყენებ, მერე არჩევნებს ჩავატარებ და ასეთი კარგი ვარო, უკაცრავად. იმედია, იმას მაინც არ იტყვიან, ხელისუფლებას რომ გადავაყენებთ, მერე საქართველოში არჩევნები აღარ იქნებაო. ამდენს რომ ვერ იტყვიან, ფაქტია. მთავარი ამ ყველაფერში არის პოლიტიკური მომავლის ვერდანახვა, იმ რანგის მომავლის, ქვეყნის უფროსობის შანსების ვერდანახვა სამართლიანი არჩევნების გზით. ამიტომ სააკაშვილი თვლის, თუ ახლა გამართავს გენერალურ ბრძოლას ქუჩაში და ამით მიასწორ-მოასწორებს აქაურობას, ქვეყნის შიგნით ოპოზიციას, ქვეყნის გარეთ საერთაშორისო საზოგადოებას დაანახვებს, რომ პრორუსული ძალები მებრძვიან, ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ძალები მებრძვიანო და ა.შ., მაშინ ჩათვლის, რომ გაინაღდა — მომავალი არჩევნები იქნება მისი ძლევამოსილების სამართლებრივ-იურიდიული გაფორმება. ეს ძალები თვლიან, რომ ახლა თუ დაამარცხებენ სააკაშვილს, ვინც დაამარცხებს, მომავალი არჩევნები იქნება ისეთივე ტრიუმფით, როგორიც იყო სააკაშვილისთვის 2004 წლის მოვლენების შემდეგ უკვე 2004 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები. აი, ამ დოღში ეს ხალხი ერთმანეთს ეჯიბრება. ოპოზიციურ ფლანგზე შიდაოპოზიციური შეჯიბრებაა. ოპოზიციურ-სახელისუფლებო ერთობლიობაში კი უკვე ეს მთელი უბედურებაა. ვფიქრობ, ეს ამ ქვეყანაში კარგს არაფერს მოიტანს, იმიტომ რომ მე ვერ ვხედავ, რომელიმე მათი ამ გეგმის რეალიზების შემთხვევაში, რა ფორმითაც არ უნდა დასრულდეს ეს პროცესი, რომელმაც არ უნდა გაიმარჯვოს, ქვეყანა იქნება იმაზე უარეს დღეში, ვიდრე დღეს არის.

***— ქვეყნის განვითარებისთვის რევოლუციური პროცესი სასურველი არ არის?***

— ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ამ პროცესში, სააკაშვილი დაამარცხებს ამ ხალხს, მივიღებთ უარეს სააკაშვილს; ოქრუაშვილი დაამარცხებს სააკაშვილს რევოლუციურად, მივიღებთ უარეს ხელისუფლებას ოქრუაშვილისა და კიწმარიშვილის სახით, ხოლო ბურჯანაძე თუ დაამარცხებს სააკაშვილს რევოლუციური მეთოდით, მივიღებთ უარეს ხელისუფლებას ბურჯანაძის სახით. ამიტომ ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული, რომელიც ქვეყანას უკეთესობისკენ წაიყვანდა, არ ჩანს. ამასთანავე, მხოლოდ ის ხომ არ არის საქმე, ვინ გაიმარჯვებს და ვინ — არა. ეს ყველაფერი შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ქვეყანას, იმიტომ რომ ნორმალური პოლიტიკური პროცესი დიდი ხნით შეფერხდეს. არის კიდევ უფრო რთული შესაძლო მოვლენები. ახლა ამაზე აღარ ვილაპარაკებ.

***— რევოლუციური სცენარი სააკაშვილს შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების დანიშვნისა და ამ გზით ხელისუფლების შენარჩუნებისთვის აწყობს?***

— როგორ მივა სააკაშვილი მიზნამდე, ახლა ამის თქმა შეუძლებელია. ბევრი შესაძლო სცენარი გაუჩნდება მას.

***— გარკვეული ოპოზიციონერები არ გამორიცხავენ, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა იგივე ტაქტიკა აირჩიოს ამ აქციების დროს, რომელიც აპრილის აქციების დროს გამოიყენა, ანუ მიუშვას ოპოზიციის ეს ნაწილი და რაიმე რადიკალურ ზომებს არ მიმართოს.***

— მიუშვას... ტაქტიკაზე ვერაფერს გეტყვით. რა ფორმით წავა ეს პროცესები, ეს ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე სამთვიან ტალღასაც ვეღარ გაიმეორებს ანუ 2009 წლის 9 აპრილის მოვლენები, უბრალოდ, შეუძლებლად ჩანს, იმიტომ რომ ხალხის ცნობიერებაში ისევ წამოვა ის კადრები და იტყვიან, 3-4 კვირა თუ გაგრძელდა ეს პროცესი, რა ვქნათო, ანუ იმ სცენარის გამეორება შეუძლებელია, თუმცა, შეიძლება ჰქონდეთ ელემენტები.

***— უსამართლოდ გეჩვენებათ პრეტენზიები, რომლებიც რვიანის მისამართით ისმის, რომ რვიანის წევრები ხელს უწყობენ სააკაშვილს ხელისუფლების გახანგრძლივებაში და ა.შ.?***

— ეს პრეტენზიები უსამართლოა. ყველას აქვს უფლება, რაღაც თქვას ჩვენ შესახებ. თავისთავად ის, რომ აზრთა სხვადასხვაობაა, ნორმალური ამბავია. მე ვთვლი, რომ რვიანის გზა სწორია. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმ ფაქტორების ერთობლიობის თავმოყრა, რომლებმაც წარმატებამდე უნდა მიგვიყვანოს. ესაა ოპოზიციური ერთობლივი ძალისხმევის ფორმატი და რვიანი არის საკმარისად ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება, ანუ ეს არ არის ერთი მიმართულებით მავალი ოპოზიციური ძალების გაერთიანება. ხომ არის ხოლმე საუბრები, გაერთიანდით და მიზანს მიაღწევთო. ვფიქრობ, რვიანი არის ეფექტიანი გაერთიანების ოპტიმალური მოდელი, იმიტომ რომ იქ რომ იყოს 28 პარტია, ის, უბრალოდ, ველარ იმოძრავებდა და არ ექნებოდა მოქმედების საშუალება. მე მგონია, რომ საკმარისად არის გაერთიანებული და ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია. გაერთიანების გარდა, საჭიროა შიდა და გარე მხარდაჭერა. გარე მხარდაჭერა არის უზრუნველყოფილი უპრეცედენტოდ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ელემენტარულად, საქმეში ჩახედული მკითხველი კარგად ხვდება, რომ ჩვენ როდესაც საარჩევნო გარემოზე ვებრძვით ხელისუფლებას, მხოლოდ საარჩევნო გარემოს თვალსაზრისით არ ვუქმნით მათ პრობლემებს. მათ ვუქმნით გაცილებით მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემებს საერთაშორისო ასპარეზზე, იმიტომ რომ იმიჯია, ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებენ და ისინი ზოგადად სუსტდებიან, არა მხოლოდ ამ კონკრეტულ თემაზე. არის შიდა მხარდაჭერაც, საზოგადოების მხარდაჭერა, ხალხის გააქტიურება. ხალხის გააქტიურება გარე მხარდაჭერის გარეშე ჩვენ გაგვიკეთებია, მაგრამ შედეგამდე ვერ მივსულვართ. ახლა ჩვენ ეს ორი კომპონენტი ხელში გვიჭირავს. საჭიროა ხალხის გააქტიურება. ამიტომ ეს გზა არის არა მხოლოდ ნაკლებად სარისკო ქვეყნისთვის, არამედ მეტი შანსების მქონე წარმატებისთვის.

***— რვიანმა ხელისუფლებას ოფიციალურად წერილობით პოზიციის დაფიქსირებისთვის ვადა მაისის ბოლომდე მისცა. რადიკალები მიიჩნევენ, რომ დღეს რვიანი ხელისუფლებას ეხვეწება, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდითო.***

— როგორც გითხარით, ჩვენ პოლიტიკური ბრძოლა უნდა მოვიგოთ. ამ პოლიტიკური ბრძოლის მოგების პროცესში მოწინააღმდეგეს უნდა მივაყენოთ, საბრძოლო ტერმინოლოგიას ვიხმარ, დარტყმები სუსტ წერტილში, ანუ იქ, სადაც მისთვის ყველაზე მტკივნეულია. დღეში სამჯერ თქმა იმისა, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, ეს მათ დღის განმავლობაში აყენებს სამ-ოთხ დარტყმას, იმიტომ რომ ამაზე ელაპარაკება მთელი დანარჩენი მსოფლიო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. კარგად შევხედოთ, 2010 წლის ოქტომბერი და 2011 წლის მაისი. რა შეიცვალა ამ პერიოდში ოპოზიციისთვის უარესობისკენ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით?! ანუ ის ყველაფერი, რაც ხელისუფლებას უნდა, კოდექსში უკვე უწერია. ამ პროცესის შედეგად ხელისუფლება სუსტდება, იმიტომ რომ სულ უფრო და უფრო ველარ სცემს ამ კითხვებზე პასუხს, რატომ არ უნდა დაითვალოს ამომრჩეველი საქართველოში, რატომ უნდა ჰქონდეს მას 80%-იანი უმრავლესობა, თუ მიიღებს 40% ხმებს და ა.შ. ეს მაინც უფრო კომუნისტური წყობის გადმონაშთია. დღეს ისეთი ვითარებაა, ზეგის მერე არ ჩანს. ადამიანებს უჭირთ იმის დანახვა, რა იქნება ექვსი ან ერთწლიანი პროცესის შემდეგ. რაც უფრო სწრაფად გადახტები, მით უფრო ჩქარა ჩაიჩეხები. ამიტომ ეს პროცესი, რომელსაც რვიანი ახორციელებს, არანაირად არ არის წამგებიანი ამ ეტაპამდე.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# შამბა აპლიასთან დაპირისპირებულ მღვდლებს აკრიტიკებს

გერა მამულაშვილი



**ოკუპირებულ აფხაზეთში შიდასაეკლესიო დაპირისპირება პიკს აღწევს. ადგილობრივი სასულიერო პირები ბესარიონ აპლიას იმის გამო დაუპირისპირდნენ, რომ მისი თხოვნით რუსულმა მხარემ ახალი ათონის მონასტერში წინამძღვრად იღუმენი ეფრემ ვინოგრადოვი მოავლინა, ხოლო აფხაზ სასულიერო პირებს, ანდრეი ამპარსა და დოროფეი დბარს არ სურთ, რომ აფხაზური ეკლესიის საქმეებს რუსეთის საპატრიარქო განაგებდეს.**

სწორედ ისინი ატარებენ გაფართოებულ კრებას, რომელშიც სასულიერო პირებთან ერთად ის აფხაზი საერო პირებიც იღებენ მონაწილეობას, რომლებსაც დღესდღეობით სოხუმში სიტყვა ეთქმით. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია და საგარეო უწყება მათ „სერიოზული შედეგებით“ დაემუქრნენ, თუ ისინი გააგრძელებენ ეფრემ ვინოგრადოვის დანიშვნის გაპროტესტებას. შექმნილ ვითარებაში საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავის აფხაზურ სამწყოს დიალოგის და მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს.

საპატრიარქო სოხუმში დაგეგმილ აფხაზი სასულიერო და საერო პირების ერთი ნაწილის შეხვედრას გამოეხმაურა. განცხადებას, რომელიც საპატრიარქომ გაავრცელა, „ინტერპრესნიუსის“ მიხედვით უცვლელად გთავაზობთ.

— ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამწყსოს. მასმედიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ სოხუმში შედგება აფხაზი სასულიერო და საერო პირების ერთი ნაწილის შეკრება. ამ შეკრების მიზეზი, როგორც ჩანს, შიდა დაპირისპირებაა.ჩვენთვის მნიშვნელოვანია აფხაზეთში მიმდინარე ყველა და მითუმეტეს, საეკლესიო პროცესები და ბუნებრივია, მტკივნეულია აფხაზ მართლმადიდებლებს შორის არსებული ეს შიდა განხეთქილება.

ამიტომაც მივმართავთ კრების მონაწილეთ და აფხაზეთში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელს, რომ დავდგეთ გარეშე ძალების მიერ ინსპირირებულ პროცესებზე მაღლა (რაც არის მიზეზი არსებული დაპირისპირებებისა) და ქრისტესმიერი სიყვარულით და მშვიდობისმყოფელობით აღვადგინოთ კანონიკური ერთობა ჩვენს შორის.

ქრისტეს მისტიურ სხეულთან, რომელიც ყველაზე მაღლა დგას, კავშირი მხოლოდ ადგილობრივი ეკლესიების კანონიკურ საზღვრებშია შესაძლებელი; მის მიღმა მყოფნი კი მოწყვეტილნია უფლის წიაღს და მის მაცხოვნებელ მადლს. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

საქართველოს ეკლესია ყოველთვის მზად იყო და არის გამართოს შეხვედრები და მოლაპარაკებები თავის სამწყსოსთან, — აფხაზეთის სასულიერო პირებთან და მრევლთან, — აღნიშნულია განცხადებაში.

აფხაზეთში დაგეგმილ შეხვედრას, რომლის მიზანი აფხაზური ეკლესიის პრობლემების განხილვაა, სასულიერო პირებთან ერთად საერო პირებიც დაესწრებიან. შეხვედრის თემებია: აფხაზური ეკლესიის დე-ფაქტო მმართველისთვის ბესარიონ აპლიასთან უფლება-მოსილების შეჩერება, ეკლესიათაშორისი კომისიის შექმნა, ასევე მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორესადმი, აღიაროს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის უმძიმესი დაპირისპირების გამო აფხაზ მორწმუნეებს აქვთ უფლება, თავის მიწაზე არ მიიღონ ქართველი საეკლესიო პირები.

შეკრებას აფხაზური ეკლესიის ყველა სტრუქტურის, დე-ფაქტო ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მრევლი დაესწრო. თავად ბესარიონ აპლია კომენტარს არ აკეთებს და აცხადებს, რომ მსგავს შეკრებებზე ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა არამართლზომიერია.

აფხაზ სასულიერო პირებსა და ბესარიონ აპლიას შორის დაპირისპირების შესახებ ერთი თვის წინ გახდა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა აფხაზური ეკლესიის დე-ფაქტო მმართველის ბესარიონ აპლიას თხოვნით, ახალი ათონის მონასტერში წინამძღვრად იღუმენი ეფრემ ვინოგრადოვი მოავლინა. იღუმენ ეფერმთან ერთად მონასტერში რუსეთიდან რამდენიმე ბერი და მღევდელმსახური ჩავიდა. მათ მიზნად ახალი ათონის მონასტერში რუსული სამონასტრო ცხოვრების ტრადიციების აღორძინება სახელდება.

აფხაზ სასულიერო პირებს კი ანდრეი ამპარისა და დოროფეი დბარის მეთაურობით, არ სურთ, აფხაზეთის მართმადიდებლური ეკლესიის საქმეებს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია განაგებდეს. ისინი ავტოკეფალიის მოპოვებისთვის ბრძოლას აპირებენ და რუსეთიდან აფხაზურ ტაძრებში წინამძღვრების ერთპიროვნულ დანიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზ სეპარატისტებს განუცხადეს — თუკი ისინი ახალ ათონში რუსი იღუმენის დანიშვნის გაპროტესტებას თავს არ დაანებებენ, ამას, შესაძლოა, სერიოზული შედეგები მოჰყვეს და „არა მხოლოდ საეკლესიო ურთიერთობებში“. ეს განცხადება სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ გააკეთა.

— აფხაზეთის სასულიერი წრეებში არსებული სიტუაცია ძალიან გვაშფოთებს, იმიტომ, რომ ის ქმნის პირობებს როგორც საზოგადოებაში განხეთქილების შესატანად, ისე თავად მართლმადიდებლურ ეკლესიაში, — განაცხადა სერგეი შამბამ.

შამბას განცხადებით, აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს გარკვეული წარმატებები, ჰყავს სასულიერო პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რემონტდება და იხსნება ტაძრები.

— ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან, სადაც ხდება ახალი ღვთისმსახურების ხელდასხმა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია გვსურს და მან უკვე გადადგა სერიოზული ნაბიჯები ამ მიმართულებით. იგი გამოეყო საქართველოს ეკლესიას და დღეს პრაქტიკულად დამოუკიდებელი ეკლესიაა. აღიარების საკითხი კი — ეს სულ სხვა საქმეა. დღეისათვის იგი დე-ფაქტო აღიარებულია რუსეთის ეკლესიის მიერ, რომელიც მის მხარდაჭერასა და დახმარებას ახორციელებს. უნდა აღვიჭურვოთ მოთმინებით და ოფიციალური აღიარების გზით ვიაროთ, — აცხადებს სერგეი შამბა და აღნიშნავს, რომ აფხაზური ეკლესიის აღიარების საკითხი — რთული პროცესია, იმაზე უფრო რთულიც კი, ვიდრე „რესპუბლიკის საერთაშორისო და პოლიტიკური აღიარებაა“.

— მაგრამ ამ პირობებში ჩვენს ეკლესიას თავისუფლად შეუძლია იარსებოს და მასზე დაკისრებული სასულიერი ფუნქცია შეასრულოს. ის, რაც დღეს ახალ ათონში ხდება, არაკანონიერია და მართლმადიდებლური ეკლესიის კანონებს არ შეესაბამება, — მიიჩნევს შამბა და აღნიშნავს, რომ მას ამ საკითხზე მოლაპარაკებები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჰქონდა.

— მქონდა მოლაპარაკებები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც პირდაპირ მითხრეს, რომ ამას შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს და შესაძლოა არა მხოლოდ საეკლესიო ურთიერთობებში. ამიტომაც ზოგი ჩვენი სასულიერო პირის მიერ გადადგმული ნაბიჯები არაფერ კარგამდე არ მიგვიყვანს და აფხაზეთის ეკლესიის არავითარ აღიარებას, როგორც ისინი გვპირდებიან, ამ გზით ვერ მივაღწევთ. ამას, შესაძლოა, დღეს რუსული ეკლესიისგან ველოდოთ და არავითარ შემთხვევაში საბერძნეთის ან სხვა ეკლესიებისგან, — აცხადებს სერგეი შამბა.

ე.წ. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა ისიც, რომ იყო მრავალსაათიანი შეხვედრები და საუბრები აფხაზეთის ეკლესიის სასულიერო პირებთან — ანდრეი ამპართან და დოროფეი დბართან, მაგრამ კონსტრუქციული პოზიციები ვერ დაინახეს.

— მაშინ ჩვენ მათ კომპრომისული ვარიანტები შევთავაზეთ. დავპირდით, რომ მივმართავდით რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას თხოვნით, გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება დოროფეი დბარის საქმიანობის აკრძალვასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ერთად დაგვეწყო აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღეთ, — განაცხადა შამბამ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ანდრეი ამპართან ადრე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში და ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, ვინაიდან დოროფეი დბარი მაშინ აფხაზეთში არ იმყოფებოდა.

— მაგრამ როდესაც დოროფეი დბარი დაბრუნდა, მასთანაც გვქონდა ხანგრძლივი საუბრები, თუმცა უშედეგოდ. მამა დოროფეის ხელდასხმას არქიმანდრიტად მხოლოდ იმ (საბერძნეთის) ეკლესიის ფარგლებში აქვს მნიშვნელობა, რომლის ეპისკოპოსმაც მისი ხელდასხმა მოახდინა, — აცხადებს შამბა.

კითხვაზე — რამდენად კანონიერი იყო ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ეფრემ ვინოგრადოვის დანიშვნა, შამბა აცხადებს:

— მამა ეფრემის დანიშვნა შეთანხმებული იყო ყველასთან, მათ შორის მამა ანდრეისთანაც. ამ გადაწყვტილებას ყველამ დაუჭირა მხარი და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრა ბესარიონ აპლია მოსკოვში და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს აფხაზეთში სამსახურისათვის მისი ხელდასხმა სთხოვა, — აცხადებს შამბა.

— ჩვენ არ გვყავს საკმარისი ჩვენივე კადრები. ჩვენ რომ ნორმალური კადრები გვყავდეს, რომლებიც შესაბამისად იქცევიან, ისინი იქნებოდნენ კიდეც ხელმძღვანელები, თუმცა იმთავითვე, როგორც კი მამა ანდრეი და მამა დოროფეი გამოიწვრთნენ, თავადვე დაიწყეს კონფლიქტების შექმნა. ახლანდელი კონფლიქტი კი არა რომელიმე ობიექტურ მიზეზს, არამედ პიროვნულ ამბიციებს ეფუძნება, — აცხადებს შამბა.

ცნობისთვის, აფხაზეთის საკათალიკოსო, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო: მის დაარსებას ზოგი მკვლევარი მერვე საუკუნეს, ზოგი კი მეათე საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. აფხაზეთის საკათალიკოსო განასახიერებდა ქართულ ეროვნულ და ცენტრალიზებულ ეკლესიას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს ქართული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფო“ (დასავლეთ საქართველო) წარმოადგენდა. აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსს „ბიჭვინთის კათალიკოსსთაც“ უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათოლიკოსს ექვემდებარებოდა. მეთხუთმეტე საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელი გახდა და მისი მეთაური „აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად“ იწოდებოდა. მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა იმერეთის სამეფოზე, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის სამთავროებზე, დასავლეთით და ჩრდილოეთით კი ბევრად სცილდებოდა ქართული პოლიტიკის საზღვრებს. მეთექვსეტე საუკუნის მეორე ნახევარში, კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558-1578) დროს, აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებით (სამეფო-სამთავროებს შორის შინაომები და ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება აფხაზეთში), ბიჭვინთას ამის შემდეგაც არ დაუკარგავს საკათალიკოსო საყდრის სახელი და მნიშვნელობა. 1814 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო უშუალოდ შეუერთდა რუსეთის ეკლესიას, ხოლო ადგილობრივ მმართველად დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც „საქართველოს და იმერეთის ეგზარქოსი“ ეწოდა. 1917 წელს, როდესაც აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აფხაზეთის ეკლესია შევიდა საქართველოს კათოლიკოსის გამგეობაში.

# ილია II: მთავარია, ადამიანმა სწორი გზა აირჩიოს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწინდესმა და უნეტარესმა ილია მეორე გუშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ადამიანის ცხოვრების გზით სირთულეზე ისაუბრა.

— ადამიანის ცხოვრების გზა ეს არის ურთულესი პროცესი და მიუხედავად სირთულისა, მთავარია, რომ ადამიანმა აირჩიოს სწორი გზა. უფალი ბრძანებს, რომ მე ვარ გზა ჭეშმარიტი და სიცოცხლე, — ბრძანა უწმინდესმა და ეპისტოლეში დაწერილი სიტყვები გაიხსენა.

— იყო ერთი კაცი, რომელიც ყოველი წირვის შემდეგ ტაძარში რჩებოდა და მაცხოვრის ხატს უყურებდა. როდესაც მოძღვარი დაინტერესდა, თუ რატომ იქცეოდა ეს კაცი ასე, მან უპასუხა: მაცხოვარი მე მიყურებს, მე მას ვუყურებ, ჩვენ ერთად ვართ და ამით ბედნიერი ვარო. ამ კაცის მაცხოვრის ხატის უბრალოდ ყურებით, მისი სული ლოცულობდა, — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, როდესაც ადამიანი ლოცულობს, ოთახში სიმყურდოვეა, უფალი გვიწვევს ჩვენ და იწყება გულმხურვალე ლოცვა.

— ადამიანს გააჩნია ორი გონება, მცირე და დიდი. მცირე არის აზროვნება, დიდი კი — გული. ახალგაზრდებს ორივე გონება უნდა ჰქონდეს მომართული. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სკოლებში პირველიდან მეთორმეტე კლასამდე ანალიტიკური აზროვნების კურსი უნდა ისწავლებოდეს და როცა ეს თაობა სკოლას დაამთავრებს, წინ განათლებული და ღრმად მოაზროვნე ადამიანებს მივიღებთ., — ბრძანა ილია მეორემ.

უწმინდესმა სამების საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ მრევლს ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება გაახსენა, როცა იგი მრავალი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ოქროსა და თვალმარგალიტს ქვეშევდომებს ურიგებდა, თვითონ კი არაფერი რჩებოდა. იგი მხოლოდ იმედის ამარა იყო. ალექსანდრე მაკედონელმა ანდერძიც კი დატოვა, სადაც წერდა, რომ როცა გამასვენებთ, ჩემი ხელი ჩამოუშვით, რათა ხალხმა დაინახოს, რომ საიქიოში არაფერი მიმაქვს.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა ახალგაზრდებში გახშირებული თვითმკვლელობების ფაქტებიც გაიხსენა და ტაძარში შეკრებილ ახალგაზრდობას ამ დიდი ცოდვის არჩადენისკენ მოუწოდა.

**მედიანიუსი**

## კაფე „თენეისთან“ ცივი იარაღით ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, აბანოთუბანში, კაფე თენეის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცივი იარაღით ახალგაზარდა დაჭრეს.

მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველებმა, 28 წლის ზაალ იოსებაშვილი დააკავეს, რომელიც ინციდენტამდე დაზარალებულ ივანე ლომიძეს არ იცნობდა, — იუწყება „რუსთავი 2“.

დაშავებული ლომიძე თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს, რეანიმაციაშია მოთავსებული.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ლომიძეს ჭრილობა გულმკერდის არეში აქვს მიყენებული.

**მედიანიუსი**

## თბილისში კომპიუტერული მაღაზიის დაყაჩალებაში ბრალდებული დააკავეს

ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 11 მაისს თბილისში, კომპიუტერულ მაღაზია „ტერაბაიტში“ მომხდარ ყაჩაღობაში ბრალდებული არასრულწლოვანი, რომელმაც ხელყუმბარის მუქარით აღნიშნული მაღაზიიდან გაიტაცა პორტატული კომპიუტერი.

დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით.

**მედიანიუსი**

## საბერძნეთში 14 ქართველი არალეგალი დააკავეს

საბერძნეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს 14 მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ტურისტული ავტობუსის მძღოლს საბერძნეთში უკანონოდ შეჰყავდა, - ამის შესახებ „იმიგრანტ-პრეს.რუ“ იუწყება.

გამოცემის ცნობით, მძღოლი ბერძენი იყო. სატრანსპორტო საშუალების შემოწმების შედეგად, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებმა სპეციალურად გაკეთებული კონტეინერი აღმოაჩინეს, რომელშიც ემიგრანტები იმალებოდნენ. მიგრანტების უკანონო გადაყვანის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. ამ დროისთვის მგზავრებისა და მძღოლის დაკითხვა მიმდინარეობს

**ინტერპრესნიუსი**

# ბადრი პატარკაციშვილის თანაგუნდელები სამოქალაქო მოძრაობას აფუძნებენ

დღეს ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი წევრები ახალ სამოქალაქო მოძრაობას დააფუძნებენ. მას „ჩემი საქართველო“ ერქმევა.

როგორც „მედიანიუსს“ ორგანიზაციის მომავალმა ხელმძღვანელმა ელისო კილაძემ განუცხადა, მოძრაობის ოფისი თბილისში, ატენის ქუჩა №6/8-ში განთავსდება.

„ჩემი საქართველოს“ პრეზენტაციაც ხვალ სწორედ აღნიშნულ მისამართზე გაიმართება.

ელისო კილაძის განმარტებით, ორგანიზაციას 10-მდე ადამიანი აფუძნებს. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ. ორგანიზაციის მიზანი მიმდინარე პროცესების მონიტორინგი იქნება.

— ჩვენ ვემიჯნებით ძალადობას როგორც ხელისუფლების, ისე პოლიტიკური პარტიების მხრიდან. მონიტორინგს გავუწევთ როგორც ოპოზიციის დაფინანსებას, ისე ხელისუფლების მოქმედებებს, — აღნიშნა ელისო კილაძემ.

**მედიანიუსი**

# გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით შვედეთსა და დანიას ეწვევა



16-18 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით ეწვევა შვედეთისა და დანიის სამეფოებს.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო უწყებიდან აცნობეს, შვედეთის სამეფოში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მინისტრის შეხვედრა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან კარლ ბილდტთან და სტოკჰოლმის უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორთან სვანტე კორნელთან.

დანიის სამეფოში იგეგმება საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრები დანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლენე ესპერსენთან და პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან ევა კერ ჰანსენთან.

შეხვედრებზე განიხილება ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

**მედიანიუსი**



# პრეზიდენტმა სარფის საბაჟოს მშენებარე პუნქტი დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სარფში მშენებარე საბაჟო-გამშვები პუნქტი დაათვალიერა, რომელიც უახლოეს მომავალში გაიხსნება. პრეზიდენტის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა აქტიურ მოლაპარაკებებს მართავს თურქეთის მთავრობასთან, რათა მგზავრთა გადაადგილება ორივე მხრიდან მაღალ დონეზე მოხდეს.

„თვის ბოლოსთვის საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრი ჩამოდის. მინდა, დავსვა საკითხი, რომ მეორე მხრიდანაც ბევრი გასასვლელი გაკეთდეს, რათა საცობი არ შეიქმნას. საბაჟო საშვილიშვილო არქიტექტურით ეწყობა. ადრე საბაჟო პუნქტები ჩვენი მეზობლების მხარეს იყო ხოლმე გამართული, ჩვენს მხარეს კი გაუპარსავი, გაავებულ-დამშეული მებაჟეები ქრთამის მოლოდინში იდგნენ“, -- აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ქვეყანას ყველაზე კარგი საბაჟო პუნქტები აქვს.

**მედიანიუსი**

# განათლების მინისტრმა „ჩაღლარის“ ოლიმპიადაში გამარჯვებულები დააჯილდოვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლების ნორჩ მეცნიერთა და შემოქმედთა საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა.

მინისტრმა პერსონალური კომპიუტერები გადასცა არჩილ ინასარიძეს საინჟინრო გამოგონებისთვის, ტოგოს რესპუბლიკის წარმომადგენელს აბდულატივ აბდულგაფურს, აზერბაიჯანის წარმომადგენლებს ნოვაციისთვის ქიმიაში აზერ ასკაროვსა და ასლან მანსუროვს, ასევე საინჟინრო გამოგონებისთვის ფიზიკაში მონაწილეს ავღანეთიდან ლუკსეგბედჯი-სიკა.

„ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2150 მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს.

მათთვის ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადა ყოველ წელს ტარდება და მიზნად ისახავს მოსწავლეთა მეცნიერებით დაინტერესებას. ოლიმპიადა ასევე დიდ როლს თამაშობს კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგში. მასში მონაწილე უცხოელი მოსწავლეები ქართულ ოჯახებში ცხოვრობენ და ქართულ ენასა და კულტურას ეცნობიან. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მონაწილეები ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებასაც უზიარებენ.

ოლიმპიადა, რომელიც მეხუთედ ტარდება წელს ყველაზე გრანდიოზული იყო. 2009 წელს ოლიმპიადაში 22 ქვეყნის, 2010 წელს 28 ქვეყნის, ხოლო წელს, 30 ქვეყნის კონკურსანტებმა მიიღეს მონაწილეობა.

„ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰუმანიტარული საგნები ქართულად, ხოლო ტექნიკური საგნები ინგლისურად ისწავლება. ნორჩ მეცნიერთა და შემოქმედთა საერთაშორისო ოლიმპიადა პირველად 2006 წელს ჩატარდა და კონკურსში გამარჯვებულები პირადად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა.

**მედიანიუსი**

# კოკოითი მესამედ მოსვლას აპირებს

თეა მარხვაი ე



**სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, ერთსა და იმავე პიროვნებას არა აქვს უფლება, მესამე ვადით იყაროს პრეზიდენტის პოსტზე კენჭი. კონსტიტუციის თანახმად, ედუარდ კოკოითის ამის უფლება აღარ აქვს. მან რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ კონსტიტუციის დარღვევას არ აპირებს.**

**მისი ოპოზიცია კი გამუდმებით იმის მტკიცებაშია, რომ კოკოითი მესამე „სროკზე“ აპირებს წასვლას. ასეთი ტიპის განცხადებები ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს კეთდებოდა. კოკოითი ყველა ამ განცხადებას მონაჭორს უწოდებდა. ახლა კი ირკვევა, რომ ოპოზიციას ამ ხმების გასავრცელებლად საკმარისი საბაბი ჰქონდა.**

წინა კვირაში ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ ოსეთში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით. ამ რეფერენდუმზე ერთი კითხვა იქნება — უნდა იყაროს თუ არა კოკოითიმ კენჭი მესამე ვადით.

ეს საიდუმლო გეგმა სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა გაამჟღავნა, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებდა. მისი თქმით, ცხინვალის მთავრობამ დახურულ შეხვედრაზე იმსჯელა თუ როგორ გაეგრძელებინათ კოკოითისთვის პრეზიდენტობის ვადა.

ცხინვალში გამართულ საიდუმლო სერობაზე კოკოითისთვის ვადის გასაგრძელებლად რამდენიმე ვარიანტი განიხილეს. ყველაზე მეტად თავდაცვის მინისტრის მოადგილის იბრაგიმ გასუევის წინადადება მოიწონეს.

ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერები შეგროვდებოდა. ინკოგნიტო დეპუტატი ამბობს, რომ სამხედროები ხელმოწერების შესაგროვებლად ლამის იმ წუთშივე გაუშვეს.იმავე დეპუტატის განცხადებით, სამხედროები ცხინვალის მოსახლეობას კარგად გამოულანძღავს. საუბარია იმ ხალხზე, რომლებიც კოკოითის მოღვაწეობით უკმაყოფილოები არიან. დეპუტატის თქმით, სამხრეთ ოსეთში კოკოითის ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.ამის მიუხედავად სამხედროებმა ხელმოწერები მაინც შეაგროვეს. თავიდან ცხინვალის ხელისუფლება ამაზე დუმდა. ახლა კი უკვე ღიად აკეთებენ განცხადებებს. მათი თქმით, კოკოითი იმსახურებს მესამე ვადით პრეზიდენტობას.

რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას ვინმე არტურ ტადტაევი უდგას სათავეში.

— ჩვენ შევაგროვეთ ხელმოწერები. ეს ხელმოწერები სავსებით საკმარისია რეფერენდუმის ჩასატარებლად, — განუცხადა ჟურნალისტებს არტურ ტადტაევმა.

საინფორმაციო „რესთან“ საუბარში ტადტაევმა განაცხადა, რომ რეფერენდუმის ჩასატარებლად 100 ხელმოწერაა საჭირო.

— სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის თანახმად რეფერენდუმის ჩასატარებლად ათასი ხელმოწერაა საკმარისი. ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა კი საჭიროზე ორჯერ მეტი 2000 ხელმოწერა შეაგროვა, — ამბობს ტადტაევი.

კანონმდებლობის თანახმად ეს ხელმოწერები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს. გარკვეული პროცედურების და შემოწმების შემდეგ ცესკო იტყვის ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი.

საინიციატივო ჯგუფის წევრებს ხელმოწერები ცესკოში არ მიუტანიათ. ტადტაევი არ ამბობს, როდის აპირებენ ისინი ცესკოში ხელმოწერების მიტანას.ხელმოწერების შეგროვების ინიციატორი იბრაგიმ გასიევი ახლა უკვე ხმამაღლა და თამამად აკეთებს კომენტარებს.

— კოკოითიმ ქვეყანას გამარჯვებები მოუტანა. ამიტომ ეს კურსი უნდა გაგრძელდეს, — ამბობს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

იბრაგიმ გასიევი დარწმუნებულია, რომ რეფერენდუმი აუცილებლად ჩატარდება და ხალხი კოკოითის დაუჭერს მხარს.

რაც შეეხება კოკოითის მას პოზიცია ჯერ ნათლად არ დაუფიქსირებია. მან ადრე ბევრჯერ თქვა, რომ მესამე ვადით კენჭისყრას არ აპირებს.

— კონსტიტუციაში ასე წერია. მე პატივს ვცემ კონსტიტუციას და მის შეცვლას არ ვაპირებ, — აცხადებდა ოპონენტების საპასუხოდ კოკოითი.

ახლა მან პირველი ჩვენება ცოტა შეცვალა. ამბობს, რომ მესამე ვადაზე წასვლა არ უნდა. ამავე დროს ამბობს, რომ რეფერენდუმის ჩატარებას ხელს არ შეუშლის.ამასთან, საინტერესოა ის განცხადება, რომელიც კოკოითიმ გამოცემა „კომერსანტთან“ საუბარში გააკეთა. ეს ინტერვიუ კოკოითიმ გაზეთს 2008 წლის დეკემბერში მისცა. იმ პერიოდში მისი ოპონენტები უკვე მოითხოვდნენ მის გადადგომას.

ჟურნალისტმა ჯერ კიდევ მაშინ დაუსვა კოკოითის კითხვა, აპირებდა თუ არა ის მესამე ვადით კენჭისყრას.

— ჩვენს კონსტიტუციაში ასეთი რამე არ წერია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი სიტუაცია იქნება ქვეყანაში. სიმართლე რომ ვთქვა, მე ძალიან დავიღალე. თუმცა, არ ვაპირებ იმ ადამიანების მოთხოვნის შესრულებას, რომლებიც ამბობენ, რომ პრეზიდენტი უნდა წავიდეს, — განაცხადა კომერსანტთან საუბარში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა.

ცხინვალში დაწყებულ სარეფერენდუმო ბუმს უკვე გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის უფროსმა სერგეი ნარიშკინმა განაცხადა, რომ რომელიმე პოლიტიკოსის სასარგებლოდ არ ღირს კონსტიტუციის შეცვლა. რეფერენდუმთან დაკავშირებით კომენატრები რუსეთის დუმაშიც გაკეთდა. დუმაში ამბობენ, რომ რეფრენდუმის ჩატარებაც და არჩევნებიც სამხრეთ ოსეთის საშინაო საქმეა. რუსი დეპუტატები ამბობენ, რომ ისინი სამხრეთ ოსეთი საშინაო საქმეა.მათ მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვთ. ამბობენ, რომ რეფერენდუმიც და არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს.

— რეფერენდუმი — ეს არის ხალხის ნების გამოხატულება. ჩვენ მზად ვართ, პატივი ვცეთ რესპუბლიკის მოსახლეობის გადაწყვეტილებას, რომლის სუვერენიტეტიც ჩვენ პირველებმა ვაღიარეთ, — აცხადებს დუმის დეპუტატი ტატიანა მოსკალკოვა.

ტატიანა მოსკალკოვა მიმდინარე წლის აპრილში ცხინვალში იმყოფებოდა. და როგორც თავად ამბობს, იქაურთა განწყობას გაეცნო. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა კონსტიტუაციაში შეცვლის იდეით დიდად არ არის აღფრთოვანებული.თავად დეპუტატი თვლის, რომ კოკოითის კიდევ ერთი ვადით არჩევა არსებულ პრობლემებს დროებით გადაჭრის.

— დღეს სამხრეთ ოსეთში არ არის ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური ელიტა. პრეზიდენტის პოსტზე არ გამოკვეთილა რომელიმე ფავორიტი. არჩევნებამდე დარჩენილია ცოტა დრო. წინასაარჩევნო კამპანია კი ჯერ დაწყებული არ არის. არსებულ სიტუაციაში ყველაზე უკეთესი შესაძლოა კოკოითის მესამე ვადით არჩევა იყოს. კოკოითი მოსახლეობისთვის კარგად ნაცნობი ფიგურაა. ამასთან, ის რუსეთისთვისაც მისაღები პიროვნებაა, — მიიჩნევს რუსი დეპუტატი.

ის იმასაც ამბობს, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა ეფექტური არ იქნება. მისი თქმით, მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ როცა მესამე ვადით ხდება პრეზიდენტის არჩევა, იწყება სტაგნაცია.

პარტია „ფიდიბასტა“ (მამული) რეფერენდუმის ჩატარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

— ეს საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 2 წლის წინ დადგა. მაშინ ჩვენმა პარტიამ მკვეთრად დააფიქსირა პოზიცია. ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ კონსტიტუციის შეცვლას რომელიმე კონკრეტული პიროვნების სასარგებლოდ, — აცხადებს ფიდიბასტას ლიდერი ვიაჩესლავ გაბოზოვი.

მისი თქმით, რეფერენდუმის ჩატარება სამხრეთ ოსეთის იმიჯს დიდ დარტყმას მიაყენებს. გაბოზოვი ფიქრობს, რომ რეფერენდუმი ხელს შეუშლის სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესს. თურმე არავინ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა დემოკრატიულია. აქამდე ხომ სჯეროდათ....

გაბოზოვი დარწმუნებულია, რომ თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, კოკოითის გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს.

კონსტიტუციის შეცვლა და რეფერენდუმის იდეას თავისებურ შეფასებას აძლევს ოსი ექსპერტი ალან პარასტაევი.

— რეფერენდუმის იდეის გაჩენა ერთ რამეზე მიუთითებს. როგორც ჩანს, კოკოითიმ ვერ შეარჩია ისეთი მემკვიდრე, რომელსაც ის დაეყრდნობოდა. ანდა ეს კანდიდატურები მოსკოვმა დაიწუნა, — მიიჩნევს ოსი ექსპერტი.

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ კოკოითი მესამე ვადით იყრის კენჭს. მიაჩნია, რომ ახლა ბევრი რამე იქნება ოპოზიციაზე დამოკიდებული.

— იდეა რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ეკუთვნის კოკოითს. რაკი ასეა, ჩატარდეს რეფერენდუმი. ჩატარდეს არჩევნები. დაე ხალხმა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა მას ცვლილებები, — აცხადებს პარასტაევი.

არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. საპრეზიდენტო კანდიდატურები კი არ ჩანან. თუ მხედველობაში ძამბოლატ თედეევს არ მივიღებთ, რომელიც არ მალავს, რომ საპრეზიდენტო ამბიციები აქვს. თუმცა მას კონსტიტუციის თანახმად არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოშობით ცხინვალიდანაა, არა აქვს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა. ამის გარდა მას ბოლო 10 წლის მანძილზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ უცხოვრია.

მას იმედი აქვს, რომ ეს ფაქტორები მას ხელს ვერ შეუშლის. ამბობს, რომ 10 წლის წინ კოკოითისაც არ ჰქონდა პასპორტი და არც ის ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.ძამბოლატ თედეევი არ მალავს, რომ ამ საკითხზე რუსეთის ხელისუფლებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ღიად ამბობს, რომ თუ მოსკოვიდან თანხმობა არ იქნება კენჭს არ იყრის.

რუსეთის ხელისუფლებასთან ის დაახლოებული პირია. 10 წელია რუსეთის ნაკრების მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში. და საკმაოდ წარმატებულადაც საქმიანობს.წესით, მას პრეზიდენტობა არც უნდა უნდოდეს. მაგრამ როგორც ჩვენი შალვა ნათელაშვილი იტყოდა, მას გამჩენი არ ასვენებს, უფრო კი ბოლმა. 10 წლის წინ სწორედ მისი დახმარებით გახდა კოკოითი პრეზიდენტი. რამდენიმე თვეში კი მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა.

ახლა მის წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის პროკურატურაშია საქმე აღძრული. მას პასუხს სამართალდამცავების საჯაროდ შეურაცხყოფის გამო უპირებენ დაჭერას.ეს ინციდენტი 18 აპრილს ცხინვალში მოხდა. თედეევმა იქ მთელი თავისი საახლობლო ჩაიყვანა. საუბარია ძალიან ავტორიტეტულ პირებზე. ამით თედეევმა ფაქტიურად დაიწყო საარჩევნო კამპანია, რომელიც კოკოითიმ ჩავარდნილად გამოაცხადა.

საქმე ის გახლავთ, რომ დელეგაციის შემადგენლობაში იყო ქართული წარმოშობის რუსი მიხეილ მამიაშვილიც. ის რუსეთის ჭიდაობის პრეზიდენტია. ცხინვალში ყოფნის დროს მან სხვებთან ერთად ყვავილებით შეამკო მემორიალი, რომელიც ცხინვალის 5 სკოლის ეზოშია.

ამ ეზოში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაღუპული ოსი მებრძოლები არიან დაკრძალული.

კოკოითი ამბობს, რომ იქ ყვავილების მიტანით მამიაშვილმა შვილმკვდარ ოს დედებს შეურაცხყოფა მიაყენა. კოკოითის მხედველობაში მამიაშვილის ქართული გვარი ჰქონდა. არადა, ეს კაცი ქართველობაზე არასდროს დებდა თავს.

# ხელისუფლება ქუჩის ოპოზიციაზე რადიკალურია

ნანა მიშელაშვილი



**ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ნიკა ლალიაშვილი ფიქრობს, რომ მოსახლეობის ნაწილში საპროტესტო მუხტი არის და, თუ მათი გამოყვანა შეძლეს რევოლუციის მომხრე პარტიებმა, მაშინ ქალაქის ქუჩებში სერიოზული აქცია გაიმართება.**

**ნიკა ლალიაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, თავი შეიკავოს 26 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარებისგან. ლალიაშვილის აზრით, რუსთაველზე აღლუმის ჩატარება, შეიარაღებული სამხედრო ქვედანაყოფებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყვანა საუკეთესო ნიადაგი იქნება ნებისმიერი ცალტვინა პროვოკატორისთვის.**

**ნიკა ლალიაშვილი დარწმუნებულია, რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე სამხედრო აღლუმის ჩატარება ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციას გაახარებს.**

**„ახალი თაობა“ ნიკა ლალიაშვილს ესაუბრა.**

***— 21 მაისს სახალხო კრება აქციას ატარებს, ამავე დღეს „ქართულმა პარტიამ“ შესაძლოა აქცია ჩაატაროს. ერთმანეთის ჯიბრზე ხომ არ მოხდება პარალელური აქციის ჩატარება?***

— ვერ გეტყვით, რისთვის ემზადება „ქართული პარტია“, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. რაც შეეხება მოსახლეობას, კვლევები აჩვენებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 5% რევოლუციურად არის განწყობილი. 3-მილიონიან მოსახლეობაში 5% საკმაოდ დიდი რიცხვია. ანუ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ 5%-ის მეოთხედიც კი თუ მივიდა აქციაზე, რამდენიმე ათეულ ათასობით ადამიანი შეიკრიბება. საზოგადოებაში არის საპროტესტო მუხტი, კრიტიკული მასა, თუკი მათი გამოყვანა შეძლეს რევოლუციის მომხრე პარტიებმა, მაშინ სერიოზულ აქციას მივიღებთ.

***— 21 მაისს დაწყებული აქცია შესაძლოა, რომ 26 მაისამდე გაგრძელდეს?***

— არაფერი არ ვიცი აქციის ორგანიზატორების გეგმების შესახებ. ვიცი ის, რაც მედიის სხვადასხვა საშუალებებით გამოცხადდა, რომ 26 მაისს აღლუმის ჩატარების საშუალებას არ მისცემენ ხელისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო 21 მაისს არ დაიწყება და დამთავრდება აქცია, ალბათ 26-მდე გაგრძელდება, ეს არის ჩემი ვარაუდი.

***— ოპოზიციის ერთმანეთთან დაპირისპირება დაქსაქსავს თუ არა საპროტესტოდ განწყობილ ადამიანებს?***

— რა თქმა უნდა. ერთ პლატფორმაზე მდგარი პარტიების ერთმანეთთან დაპირისპირება და ტალახის სროლა, ურთიერთკომპრომეტირება იწვევს ამ პლატფორმის მიმართ პოზიტიურად განწყობილ მოსახლეობაში ნიჰილიზმს, უნდობლობას. თუ ერთ პლატფორმაზე მდგარი ჯგუფები გაერთიანდებიან, მაშინ სერიოზული სიგნალი იქნება და ეს ამ პლატფორმის მხარდამჭერთა შეკავშირებას მოახდენს.

***— სახალხო კრება და „ქართული პარტია“ რომ გაერთიანდეს, ეს მოსალოდნელია?***

— ვერ გეტყვით. ეს ძალიან რთულია, რაც პრესაში იბეჭდება, საუბარია პიროვნულ წყენაზე, დაპირისპირებაზე. შესაძლებელია, ერთი მიზნის მიღწევისთვის ადამიანებმა წყენა დაივიწყონ, გვერდზე გადადონ, მაშინ გაერთიანებას მივიღებთ. ახლა, ვერანაირ პროგნოზსს ვერ გავაკეთებ.

***— ხელისუფლების შეცვლა ქუჩის აქციებით რამდენად არის შესაძლებელი?***

— დღევანდელი ხელისუფლება თავისი ბუნებით ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე ის ადამიანები, ვინც ქუჩაში დგანან, ვიდრე ის ადამიანები, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზებას ახდენენ. ეს არის ხელისუფლება, რომელიც კბილებით, კლანჭებით ჩააფრინდება იმ სკამებს, რომელიც მათ აქვთ. აქ საუბარია კოლოსალურ კაპიტალზე, რომელიც მათ დააგროვეს, იმ უზარმაზარ სიმდიდრეზე, რომელსაც ისინი ფლობენ, რომელსაც ისინი მშვიდობიანი აქციებით არ დათმობენ. შესაბამისად, ხელისუფლება იქნება მომზადებული იმისათვის, რომ ყველაზე არაპროპორციული პასუხი გასცეს მათთვის ამ სკამების ხელიდან გამოგლეჯვის ნებისმიერ მცდელობას. ანუ ერთი მხრივ, ჩვენ თუ გვყავს აგრესიული ხელისუფლება, მეორე მხრივ, ჩვენ შეიძლება მივიღოთ აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის ერთი ნაწილი და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მშვიდობიანად არ დასრულდება. ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას. ჩვენ შესაძლოა რამდენიმე დღე გვაშორებს სერიოზულ სამოქალაქო დაპირისპირებამდე.

***— ამის რეალური საფრთხე არის, რომ დაპირისპირება მოხდეს?***

— თუკი აქციის მონაწილეები ხელს შეუშლიან აღლუმის ჩატარებას, შეიარაღებული ქვედანაყოფებისა და სამხედრო ტექნიკის გადაადგილებას რუსთაველის გამზირზე, მაშინ ხელისუფლება ამას ჩათვლის როგორც ერთგვარ იძულებას იმისა, რომ მათ დაამყარონ წესრიგი დედაქალაქის ცენტარალურ ქუჩაზე, წესრიგის დამყარება, იქნება ძალადობრივი ფორმებით. ანუ მთავარი პროვოკაცია შესაძლოა იყოს 26 მაისს, ეს პროვოკაცია გამარტივებული იქნება იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება ატარებს აღლუმს, აღლუმი გულისხმობს შეიარაღებული ნაწილების გადაადგილებას თბილისის ცენტრში. ვფიქრობ, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეიკაოს თავი რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარებისგან რამდენიმე მიზეზის გამო.

***— რა მიზეზების გამო?***

— პირველი იმიტომ, რომ დღეს ქვეყანას საალღუმოდ საქმე არა აქვს. მე თავად სამხედრო ადამიანი ვარ, ოფიცერი ვარ და იყო დრო, როდესაც აღლუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე იყო მთელი წლის განმავლობაში. ყველა სამხედრო ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადება. ამ დღეს ქუჩაშიც და ადამიანების სულშიც ზეიმია. მაგრამ საზეიმოდ საქმე არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს დაკარგული ტერიტორიები. ჩვენ გვაქვს საბიუჯეტო პრობლემები. უმძიმეს მდგომარეობაში ცხოვრობენ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები. ის კოლოსალური თანხა, რაც აღლუმის ჩატარებაზე უნდა დაიხარჯოს, უპირიანი იქნებოდა, დაღუპული სამხედროების ოჯახების დასახმარებლად წასულიყო. მეორე არგუმენტი ის არის, რომ უმწვავესი პოლიტიკური ფონია. ეს აღლუმი, ნებისმიერ პროვოკატორს საშუალებას მისცემს, პროვოკაცია გამოიწვიოს და ამ პროვოკაციის შედეგად ჩათრეული იქნეს ის ხალხი, რომელსაც არანაირი სურვილი არა აქვს, ასეთ ექსცესებში მონაწილეობა მიიღოს. ერთმა პროვოკატორმა შეიძლება შექმნას ისეთი სიტუაცია, რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი შეიძლება აღმოჩნდეს თავისდაუნებურად ჩათრეული. ჩვენ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ თავი შეიკაოს აღლუმის ჩატარებისგან, რაც გარკვეულწილად განმუხტავს სიტუაციას ქვეყანაში.

***— მართალია თუ არა, რომ თავდაპირველად ბათუმში იგეგმებოდა აღლუმის ჩატარება და შემდეგ თბილისში გადაწყდა?***

— არ ვიცი, ეს ინფორმაცია არა მაქვს.

***— თქვენი პარტიის წევრმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ხელისუფლებას აღლუმი ვაზიანში ჩაეტარებინა და არა რუსთაველის გამზირზე. ამ მოსაზრებას თქვენც იზიარებთ?***

— რა თქმა უნდა. საერთოდ არ ჩაეტარებინა აღლუმი, ეს უკეთესი იქნებოდა, მაგრამ თუ მაინცდამაინც აღლუმის ჩატარება უნდა და თავის სიძლიერის დემონსტრირება, კი ბატანო, ისეთ ადგილას ჩაატაროს, რომელიც პროვოკაციებისგან იქნება დაცული. რუსთაველზე, აღლუმის ჩატარება, რუსთაველზე შეიარაღებული სამხედრო ქვედანაყოფებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყვანა, საუკეთესო ნიადაგი იქნება ნებისმიერი პროვოკატორისთვის. ნებისმიერ ცალტვინა პროვოკატორის თავშიც კი გააჩენს სერიოზულ ფანტაზიებს. ჩვენ, ხელისუფლებას მოვუწოდებთ, აღლუმის ჩატარებაზე უარი თქვას.

***— ამ სცენარიდან გამომდინარე, 26 მაისს საშიშროებას ხედავთ, რომ 7 ნოემბერი განმეორდეს?***

— ბევრად უფრო მძიმე შედეგებზე შეიძლება იყოს საუბარი. იმ შემთხვევაში, თუკი ჩატარდება აღლუმი, შეირაღებული საბრძოლო ქვედანაყოფები გამოვლენ ყაზარმებიდან, მოხდება მობილიზაცია სამხედრო ტექნიკის, მაშინ დაპირისპირებამ შეიძლება მიიღოს ბევრად უფრო მძიმე ფორმები, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 7 ნოემბერს.

***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება თქვენს მოწოდებას გაითვალისწინებს? თუ დაელოდება, რა იქნება 21 მაისს, როგორი იქნება საპროტესტო მუხტი?***

— ხელისუფლებაზე მაღალი წარმოდგენის არა ვარ, რომ ისინი გაითვალისწინებენ ამ ყველაფერს და გონივრულად გადაწყვეტენ საკითხებს. კიდევ ვიმეორებ, ხელისუფლებაში ბევრად უფრო რადიკალური, ბევრად უფრო ირაციონალი ადამიანები არიან, ვიდრე ქუჩაშია. ყველაზე რადიკალური პარტიაც კი რომ ავიღოთ, ხელისუფლება აჭარბებს მას რადიკალიზმში და ირაციონალიზმში. მე მგონია, რომ ხელისუფლება ყველაფერს იზამს, რათა აღლუმი გამართოს, აღლუმისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში კი გაუსწორდეს მომიტინგეებს. ამას უფრო მაღალი ალბათობით ვხედავ, ვიდრე იმას, რომ ხელისუფლებამ გადაიტანოს აღლუმი სხვაგან.

***— თქვენი ეს მოსაზრება თუ აცნობეთ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და დიპლომატებს, თუ ჩააყენეთ საქმის კურსში?***

— რა თქმა უნდა. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ძალიან ხშირი კონტაქტი გვაქვს, ისინი საქმის კურსში არიან, რაც ხდება, რაც შეიძლება მოხდეს, ყველა ეს სცენარი, ვარიანტი ჩვენ მათთან განხილული გვაქვს.

***— როგორია მათი პოზიცია? ესაუბრებიან თუ არა ისინი ხელისუფლებას?***

— ხელისუფლებას ისინი ესაუბრებიან 2004 წლიდან დღემდე. მაგრამ ამ ხელისუფლების მთელი უბედურება ის არის, რომ ისინი არ იღებენ არავის რჩევას, არავის რეკომენდაციას არ იზიარებენ და არავის აზრს არ ეკითხებიან. თუ გგონიათ, რომ ეს ხელისუფლება ვინმეს უსმენს, თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ან დასავლელ პარტნიორებს, ასე არ არის. ესენი ყურს არავის არ უგდებენ, ჰგონიათ, რომ ყველაზე ჭკვიანები, წარმატებული და გონიერები არიან.

***— საკმაოდ შემაშფოთებელი სცენარი დახატეთ, არადა, პროვოკატორი ნებისმიერი აქციისა და მიტინგის დროს შეიძლება მოიძებნოს?***

— პროვოკატორი არათუ შეიძლება მოიძებნოს, არამედ, დარწმუნებული ვარ, უკვე ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურში შერჩეულიც არის, მოძებნილიც და დავალებაც აქვს მიცემული, თუკი საკეთესო ნიადაგს მივცემთ მათ.

***— სიტუაციის არევაში რუსულ კვალს ხედავთ?***

— ჩვენ თუ ნოყიერი ნიადაგი მივეცით, ნამდვილად არ იტყვის რუსეთის ხელისუფლება უარს იმაზე, რომ მოახდინოს ჩვენი ქვეყნის ლიბიიზაცია.

***— რუსეთისთვის მომგებიანი სცენარი ახლა საქართველოში ვითარების არევაა?***

— 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე სამხედრო აღლუმის ჩატარება ყველაზე მეტად გაახარებს რუსეთის ფედერაციას.

***— ამას ხელისუფლება ვერ გრძნობს?***

— ეს უნდა ჰკითხოთ ხელისუფლებას. კიდევ ვიმეორებ, 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე, აღლუმის ჩატარება ყველაზე მეტად გაახარებს რუსეთს, რადგან მის სპეცსამსახურებს მიეცემა საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ქვეყანაში სიტუაციის ესკალაცია მოახდინონ.

***— რაიმე ინფორმაცია გაქვთ თუ არა, რომ ქართული პოლიტიკური ძალები თანამშრომლობენ რუსეთთან?***

— არანაირი ინფორმაცია არა მაქვს. არანაირი აუცილებლობა არ არის, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა რუსეთთან ითანამშრომლონ. ქართული პოლიტიკური ძალები გამოდიან თავისი მიზნებისთვის, მაგრამ ამ მიზნების განხორციელების დროს, შეიძლება ქვეყანაში მოვლენები ისე წარიმართოს, რაც რუსეთის სპეცსამსახურებს ძალიან გაუხარდება.

## დაიხევს თუ არა უკან სააკაშვილი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ყველამ კარგად ვნახეთ გორში, როდესაც ის არა მარტო უკან გარბოდა, არამედ მიწაზეც ფორთხავდა. გააჩნია სიტუაციას, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ის. უკანდახევა, რა თქმა უნდა, არავის უყვარს, მაგრამ, როდესაც მას აუცილებლად მიამწყვდევენ კუთხეში და მეტი გზა არა აქვს, უკან დაიხევს კი არა, მშვენივრადაც გაიქცევა. მაგაზე უარესი დიქტატორები გაქცეულან და ეს ამ ბოლო თვეების განმავლობაში არაბულ ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

***— დღეს დასავლეთის დიდი მხარდაჭერაც აღარ აქვს სააკაშვილს და, წესით, იარაღი არ უნდა გამოიყენოს...***

— გეთანხმებით. ეს მის ინტერესებში ამ ეტაპზე არ შედის და ამიტომაც ვამბობ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია სიტუაციის განვითარების სხვადასხვა ფორმაზე, ვინაიდან, თუ არ იქნება ხალხის კრიტიკული მასა და ის კრიტიკული განწყობა, ძალისხმევა და მასშტაბები, რომელიც ასეთ შემთხვევაში არის ხოლმე საჭირო, მას ეს არც დასჭირდება. ვინაიდან აქციის ორგანიზატორები ვერც მოახერხებენ და, უბრალოდ, ვერც გარისკავენ წინასწარ წაგებულ თამაშში ძალისმიერი დაპირისპირების ინიცირებას. თუ იქნა ამდენი მასა და თუნდაც 7 ნოემბერი იქნება ეს თუ სხვა, თუნდაც იპოდრომის აქცია, სადაც ხალხის დიდი მასა იყო, თუ ასეთი იქნა, დღეს უკვე შეცვლილია დასავლეთის განწყობა, რომ ხელისუფლებას აღარ აქვს ხელ-ფეხი ისე გახსნილი, როგორც 2007 ან 2009 წელს ჰქონდა, აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ხელისუფლება ვერ გაბედავს დარბევას. თუმცა, რა თქმა უნდა, ის მზად არ იქნება გადადგომისა და საფლავში წასვლისთვის, ან საზღვარგარეთ გაქცევისთვის, მაგრამ ის უკვე მზად იქნება გარკვეულ კომპრომისზე წასვლისთვის, თუნდაც საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით. მე ადრეც მითქვამს, რაც სავსებით ჯდება ერთიანი ოპოზიციური ძალებისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებში და ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ რვიანსაც. ეს ჯდება რვიანის ინტერესებშიც, რომელიც ასევე ოპოზიციურია, თუმცა, სხვა ტაქტიკა აქვს არჩეული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მე ვფიქრობ, ნებისმიერი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მიზანი ერთია. მართალია, მათ საშუალებები სხვა აქვთ, მაგრამ, ამ საშუალებების განსხვავების მიუხედავად, ისინი ერთმანეთს კი არ უნდა უპირისპირდებოდნენ, არამედ — ხელს უწყობდნენ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ჩვენ მივიღოთ სწორედ ის შედეგი, რისკენაც მიისწრაფვის კოალიციური რვიანი, ანუ რეალური საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ისევ ვიმეორებ, თუ იმდენად დიდი იქნა ხალხის რაოდენობა და მასშტაბები, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობებზე წავიდეს.

***— მიუხედავად იმისა, რომ რვიანის მოლაპარაკებები ჩაშლილია, ისინი მაინც აცხადებენ, რომ ქუჩის აქციები მათთვის მიუღებელია და შედეგის მომტანი არ არის...***

— კი მაგრამ, მაშინ გვითხრან, რა არის შედეგის მომტანი, იმიტომ რომ მათმა ტაქტიკამ დღესდღეობით იქამდე მიიყვანა საქმე, რომ მოლაპარაკებები, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ჩაშლილია და სხვა ძალისხმევა არ არის საკმარისი, მე ვგულისხმობ მხოლოდ დასავლეთის ზეწოლას. თუ შიგნიდან არ იქნა ადეკვატური ზეწოლა საზოგადოებისა ხელისუფლებაზე, მხოლოდ დასავლეთის ეს თეორიული კეთილი რჩევები სრულიად არ არის საკმარისი. რომ გავიხსენოთ შევარდნაძის ბოლო პერიოდი, 2003 წლის არჩევნები, ე.წ. ბეიკერის ფორმულა, როდესაც ბეიკერი ჩამობრძანდა და სქემა ჩამოიტანა ოპოზიციისა და ხელისუფლების მოსარიგებლად, მაშინაც მხოლოდ ეს მოხერხდა, როდესაც ოპოზიცია იყო უფრო ძლიერი, მას სერიოზული ბერკეტები და ძალა გააჩნდა, რომ ხელისუფლებაზე ზემოქმედება მოეხდინა, თორემ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არც ბეიკერი შეიწუხებდა თავს და თავიანთი არჩეული ფორმულით იმდროინდელი მთავრობა ჩაატარებდა არჩევნებს. ასე რომ, აქ უნდა მოეფინოს სიტუაციას ნათელი იმ თვალსაზრისით, რომ დაინახოს დასავლეთმაც, რომ არა რომელიმე ერთი პარტია ან რვა პარტიაა მხოლოდ ამ საარჩევნო გარემოს შეცვლის მომხრე და ამ ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ნაბიჯების წინააღმდეგი, არამედ — საზოგადოების დიდი ნაწილი. სწორედ ამის ჩვენებას ემსახურება ეს აქციებიც, რომლებიც ახლა იწყება და ერთი ხელის დარტყმით რომ ხელისუფლება არ გადადგება, ამის ილუზია მე, პირადად, არა მაქვს და, მგონი, საფუძველიც არ არის, რომ ერთჯერადი აქციით ხელისუფლება დაემხოს და არანაირი წინააღმდეგობა არ გასწიოს. ველოდები, რომ ამ აქციებით ის მნიშვნელოვნად უკან დაიხევს საარჩევნო გარემოს შეცვლისა და საზოგადოებაზე ზეწოლის თვალსაზრისით, ანუ გაათავისუფლებს უფრო მეტად მედიას, სასამართლოს, ამ შიშისა და ტერორის ატმოსფეროს დანერგვას ცოტა შეანელებს და ასე შემდეგ. თორემ, ვიმეორებ, მე არა მაქვს მოლოდინი, რომ ეს აქციები ხელისუფლებას შეცვლის. უფრო იმას ვიმედოვნებ, რომ თუ იქნება მასშტაბური და დიდი, გრანდიოზული ძალისხმევა, ეს ხელისუფლებას უკან დაახევინებს და დემოკრატიული ნაბიჯების გადადგმას აიძულებს.

***— ალბათ, არც ის ვარიანტი უნდა გამოირიცხოს, რომ ხელისუფლებამ სულაც საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს...***

— ეს ხელისუფლებისთვის იქნებოდა წამგებიანი, სწორედაც იმიტომ, რომ დღეს არ არის ის სიტუაცია, დასავლეთმა ამას მხარი დაუჭიროს. 2007 წელსაც კი, მაშინაც კი, როდესაც ჯერ კიდევ დემოკრატიის შუქურად ითვლებოდა ხელისუფლება, ეს დასავლეთმა მტკივნეულად მიიღო და მით უმეტეს — დღეს. ეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება გაამართლოს ხელისუფლებამ დასავლეთის თვალში, თუ თვითონ მოაწყობს პროვოკაციას, რომ ვითომ შეიარაღებული შეტაკება მოახდინეს დემონსტრანტებმა და, როგორც ხშირად გვინახავს ხოლმე მოდელირებული ქრონიკები და დადგმული სპექტაკლები, შეიძლება, სროლებიც აატეხინონ თავიანთ შეგზავნილ პროვოკატორებს და დააბრალონ დემონსტრანტებს. ამის საშუალებით შეიძლება საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს. თორემ ისე, რომ მშვიდობიანი აქცია დაარბიონ და შემდეგ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადონ, ამის პირობები დღეს ხელს არ უწყობს ხელისუფლებას. ასე რომ, პროვოკაციებს, რომლებიც ხელისუფლებას აწყობს, უნდა ველოდოთ, თუკი ეს მათ დასჭირდებათ.

# „მოვლენების შემდგომი განვითარება მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული“

გერა მამულაშვილი





**ქართული პოლიტიკური პროცესი გაზაფხულის ყველაზე ცხელ პოლიტიკურ სტადიაში შედის. პირველი გენერალური რეპეტიცია „ქართულმა პარტიამ“ კახეთის რეგიონში ჩაატარა. პარტიის ლიდერები მათ წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გამოყენებულ „უკანონო მეთოდებზე“ საუბრობენ და აცხადებენ, რომ სპეცსამსახურები მმართველ რეჟიმს ვერ გადაარჩენენ.**

„ქართული პარტია“ ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლას „უპერსპექტივოდ“ მიიჩნევს და „რვიანის ფორმატის გარდაცვალებაზე“ საუბრობს. „რვიანში“ კი ოპტიმიზმს არ კარგავენ და აცხადებენ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხში საერთაშორისო თანამეგობრობამ კიდევ ერთხელ მხარდაჭერა გამოხატა. თუმცა, პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური დამოკიდებულების შემთხვევაში, „რვიანი“ მაისის ბოლოდან საკუთარი საპროტესტო კამპანიის დაწყებას აპირებს.

„ეროვნული ფორუმის“ ლიდერის, გუბაზ სანიკიძის განცხადებით, თუ ქვეყანაში არეულობები დაიწყო, ქვეყნის შიდა საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევა გამორიცხული არ არის. მისივე თქმით, ქვეყანაში მოვლენების შემდგომი განვითარება მთლიანად ხელისუფლებაზე არის დამოკიდებული. ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის განცხადებით კი, დაგეგმილ მანიფესტაციებზე შესაძლო ესკალაცია და დაპირისპირების პროვოცირება ხელისუფლებას აძლევს ხელს.

— ხელისუფლება ქართული პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის უკანონო და უზნეო მეთოდებს იყენებს, — აცხადებს „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი.

მისი მტკიცებით, ხელისუფლება კუდ-ის თანამშრომლებს აგენტებად აგზავნის პარტიაში და ამ გზით ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას.

გუშინდელ პრესკონფერენციას „ქართული პარტიის“ გურჯაანის ორგანიზაციის წევრები დავით ნიკოლაშვილი და გივი ქოროღლიშვილიც ესწრებოდნენ.

დავით ნიკოლაშვილის თქმით, კუდ-მა „ქართულ პარტიაში“ „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობიდან“ მერცია სინჯიკაშვილი შეაგზავნა. — მერცია სინჯიკაშვილი ქრისტიან-დემოკრატებში მუშაობდა და მოგვიანებით ჩვენთან გადმოვიდა. მას ყველა ინფორმაციაზე და სიაზე მიუწვდებოდა ხელი, სადაც ყველა პირი იყო აღნუსხული, რომლებსაც 9 მაისის აქციაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მერცია სინჯიკაშვილი ამ ინფორმაციებს კუდ-ის თანამშრომლებს მიხეილ მეტრეველს და შალვა იმერლიშვილს აწვდიდა, — განაცხადა დავით ნიკოლაშვილმა.

ნიკოლაშვილის თქმით, ორივე მათგანი, განსაკუთრებით აქტიურობდა 9 მაისს კახეთში გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ, მიკროავტობუსების მძღოლების დაკავებისა და დაჯარიმებაში.

ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი პარტიის მიმართ ხელისუფლების მხრიდან ბინძური მეთოდებით ბრძოლაა და ხელისუფლება სასურველ შედეგს ვერ მიიღებს და სააკაშვილის რეჟიმს მისი აგენტურა ვერ გადაარჩენს.

ამასთან, „ქართული პარტიის“ წარმომადგენელთა მტკიცებით, „ოპოზიციური რვიანის“ მცდელობა საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით უპერსპექტივოა. როგორც ამავე პრესკონფერენციაზე „ქართული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა, ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, „რვიანი“ გარდაიცვალა; ყველა მცდელობა რაიმე შეიცვალოს უშედეგო იქნება“.

— რვიანის ფორმატი გარდაიცვალა; ყველა მცდელობა უშედეგოა, რაც ამ რეჟიმის დამსახურებაა, ვინაიდან ხელისუფლებას არა აქვს სურვილი, რაიმე შეიცვალოს, — აცხადებს ეროსი კიწმარიშვილი.

როგორც უკვე გაცხადდა, „ქართული პარტია“ 16 მაისს საპროტესტო აქციას აშშ-ს საელჩოსთან გამართავს და სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერას გააპროტესტებს.

აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი „ქართული პარტიის“ მიერ 16 მაისს აშშ-ის საელჩოსთან დაგეგმილ აქციას „პატივისცემით ეკიდება“.

როგორც ბასმა აშშ-ის მთავრობისადმი „ქართული პარტიის“ პრეტენზიებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით საელჩოსთან დაგეგმილი აქციის კომენტირებისას განაცხადა, „სიტყვისა და დემონსტრაციების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია“.

— შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება გახლავთ ის ქვაკუთხედი, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება. ჩვენ დიდი პატივისცემით ვეკიდებით ამ თავისუფლებების გამოხატვას, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მათ მიზნებსა და ამოცანებს, — განაცხადა ბასმა და დასძინა, რომ „ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც აშშ-ის საელჩოსთან აქცია იმართება და სავარაუდოდ, არც ბოლო იქნება“.

აშშ-ს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან საპროტესტო აქციის გამართვას მიუღებლად მიიჩნევენ ოპოზიციურ „რვიანში“ შემავალი პარტიები. სამაგიეროდ, „რვიანში“ აცხადებენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესში მათი მხარდაჭერა დღეს კიდევ ერთხელ გამოხატა.

„რვიანის“ წევრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორიოსო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში, დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ.

რვა პარტიისგან შემდგარმა გაერთიანებამ დიპლომატებს სამოქმედო გეგმები და გუშინ გავრცელებული მიმართვა გააცნო, რომლის თანახმადაც, „რვიანი“ ხელისუფლებისგან საკუთარ შეთავაზებებზე ოფიციალურ, წერილობით პასუხს ითხოვს.როგორც შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, უცხოელ პარტნიორებს კარგად ესმით, რომ მაისის ბოლომდე ხელისუფლების მხრიდან პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, „რვიანის“ გადაწყვეტილება — ახალი გზებით და ფორმებით მიაღწიოს სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს, მათგან ხელშეწყობილი უნდა იყოს.

მათივე ცნობით, გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხს მიეცეს კამპანიური ხასიათი, რაც გულისხმობს კიდევ უფრო აქტიურ შეხვედრებს საზოგადოებასთან დედაქალაქსა და რეგიონებში; კამპანიის ფარგლებში გაიმართება საინფორმაციო ხასიათის აქციებიც, კონკრეტული მოთხოვნით.

— ეს იქნება მცდელობა იმისა, რომ საარჩევნო რეფორმის პროცესმა საყოველთაო სახალხო ხასიათი შეიძინოს, — აღნიშნავენ „რვიანში“ და იმედოვნებენ, რომ ამ ფორმით ისინი, ქართველ ხალხთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, ხელს შეუშლიან ხელისუფლებას ქვეყნისთვის მორიგი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმაში.

გუშინდელ შეხვედრას „რვიანიდან“ ესწრებოდნენ დავით უსუფაშვილი, გიორგი თარგამაძე, ირაკლი ჩიქოვანი, ზვიად ძიძიგური, მამუკა კაციტაძე, კობა დავითაშვილი, რევაზ შავიშვილი, კახა სეთურიძე და ირაკლი მელაშვილი.

— ოპოზიციური რვიანი, ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური ნაბიჯების შემთხვევაში, მაისის ბოლოსთვის პოლიტიკური კამპანიის დაწყებას აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს „რვიანის“ წარმომადგენელმა, „ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ზვიად ძიძიგურმა განუცხადა.

ძიძიგურის ცნობით, პოლიტიკური კამპანია, მთელი თავისი ატრიბუტიკით, დაიწყება, რათა აქტიურად გაგრძელდეს ბრძოლა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის. კამპანიის შესახებ სხვა დეტალებზე ამ დროისთვის ძიძიგური არ საუბრობს.

მისი თქმით, მაისის თვეში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ხელისუფლების პასუხისმგებლობა განუზომლად მაღალია და ვინაიდან ის არ აპირებს საარჩევნო გარემოს დათმობას, რადიკალურ ძალებს უჩნდებათ დამატებითი არგუმენტები, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ შესაძლებლობად მხოლოდ რევოლუცია განიხილონ.

— ჩვენი კამპანიის შედეგი კი იქნება ის, რომ დღევანდელი „რევოლუციური“ პარტიებიც მიიღებენ იმ არჩევნებში მონაწილეობას, რომელსაც ოპოზიციური რვიანი მიაღწევს, — აღნიშნა ძიძიგურმა.

„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერის დავით უსუფაშვილის აზრით, „ქართული პარტიის“ წარმომადგენლები პროვოკაციაზე წასვლას ისახავენ მიზნად, რათა შემდეგ ტელეეთერებში დასხდნენ“.

ამის შესახებ უსუფაშვილმა „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის აშშ-ისადმი გამოთქმული ბრალდებების კომენტირებისას განაცხადა.

— აქცია ნებისმიერ დაწესებულებასთან შეიძლება გაიმართოს, მათ შორის — თეთრ სახლთანაც, მაგრამ როდესაც ხალხი დაანონსებულ რევოლუციამდე ერთი კვირით ადრე ამბობს, რომ „ქართველი საზოგადოება დასავლეთიდან იწამლება“, ჩნდება კითხვა: ვინ უნდა სცნოს რევოლუციით მოპოვებული ძალაუფლება და მოახდინოს ამის ლეგიტიმაცია?! საერთაშორისო ცნობის გარეშე რევოლუციების გამარჯვება შეუძლებელია და თუ ეს რევოლუცია სააკაშვილისა და დასავლეთის წინააღმდეგ არის, მაშინ ვინ არის მსოფლიოში ის ძალა, რომელმაც შეიძლება რევოლუცია აღიაროს და საქართველო წინ წაიყვანოს?! — განაცხადა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა აშშ „საქართველოს საზოგადოების მოწამლვაში“ დაადანაშაულა და განაცხადა, რომ „თუ რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს ართმევს, ამერიკა ართმევს თავისუფლებას“.

„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის, გუბაზ სანიკიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არეულობები დაიწყო, ქვეყნის შიდა საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევა გამორიცხული არ არის.

— ქვეყნისთვის ძალიან საინტერესო და რთული პერიოდია. თუ მოხდა ისე, რომ ქვეყანაში არეულობები დაიწყო, შიდა საქმეებში შესაძლოა რამდენიმე ქვეყანა ჩაერიოს. ეს შეიძლება იყოს როგორც რუსეთი და სხვა მეზობელი ქვეყნები, ასევე მეზობლების გარდა არსებული ქვეყნებიც, — განაცხადა სანიკიძემ „კავკასიის ინტერნეტ მედია კლუბში“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მისი თქმით, ქვეყანაში მოვლენების შემდგომი განვითარება მთლიანად საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

— ხელისუფლებას აქვს პასუხისმგებლობა ქვეყნის შემდგომ მდგომარეობაზე. მასზეა დამოკიდებული, რა გზას აირჩევს, — დასძინა სანიკიძემ.

ასოციაციის „სამართალი და თავისუფლება“ ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი ფიქრობს, რომ „ოპოზიციის ე.წ. რევოლუციური ფრთის მიერ ორგანიზებულ მანიფესტაციებზე დაძაბულობის ესკალაცია და გარკვეული დაპირისპირებებისა და შეტაკებების პროვოცირება ხელს ხელისუფლებას აძლევს“.

როგორც სესიაშვილმა „პირველს“ განუცხადა, „ასეთი ინციდენტების შემთხვევაში ისევ ხელისუფლება ისარგებლებს, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა, კანონის საფუძველზე ოპოზიციას გაუსწორდეს“.

„ოპოზიციასთან გასწორებაში“ სესიაშვილი დაგეგმილი აქციების ორგანიზატორებისა და მათი აქტივისტების დაპატიმრებებს გულისხმობს.

ამასთან, ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ გარკვეულ პროვოკაციებს ადგილი არა უშუალოდ 26 მაისს და ამ დღეს დაგეგმილ სამხედრო აღლუმზე, არამედ მისი მოსამზადებელი სამუშაობის პერიოდში ჰქონდეს.

— ზოგადად კი მიმაჩნია, რომ ის სამხედრო აღლუმები, რომლებიც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ტარდება და სატვირთო მანქანებისა და სამხედრო ტექნიკის ჩამოტარებაში გამოიხატება, ტიპური საბჭოური გადმონაშთია. ასეთი აღლუმების მოწყობა ისეთ მნიშვნელოვან თარიღს, როგორიც 26 მაისია, ნამდვილად აღარ შეეფერება. ამასთან, დღეს სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება არც არავის სჭირდება და ამ ტექნიკით ველარც ვერავის გააკვირვებ, — აღნიშნა „პირველთან“ საუბრისას სესიაშვილმა.

რაც შეეხება ხელისუფლების დამოკიდებულებას დაგეგმილ აქციებთან დაკავშირებით, მისი პასუხი მოვლენების განვითარების ამ ეტაპზე მარტივად გამოიყურება — „შეთქმულება ან ამბოხება კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად ისჯება თავსუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე“.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კახა ანჯაფარიძემ განუცხადა, სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

— როგორც კი კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის მცდელობა დაფიქსირდება, აღნიშნული მუხლი ავტომატურად ამოქმედდება, — განმარტავს ანჯაფარიძე.

მისი თქმით, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება, თუმცა იურიდიულ კომიტეტში განმარტავენ, რომ ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, როდესაც რეალური საფრთხეა და არა „პოლიტიკურად სულელური განცხადება“.

## დალიეთ ლუდი და იყავით ბედნიერი!



„ადამიანები, რომლებიც დღეში იღებენ ორ პინტა ლუდს ან ორ ჭიქა ღვინოს, თურმე გაცილებით ჯანმრთელნი და ბედნიერები არიან, ვიდრე ფხიზელი ცხოვრების წესის მიმდევრები“, — ნათქვამია **The Sun**-ის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც პარიზის **Public Assistance Hospitals**-ის ბოლოდროინდელ კვლევას ეფუძნება.

გასათვალისწინებელია, რომ პარიზის **Public Assistance Hospitals**-ის დოქტორმა **ბორის ჰანსლემა** და მისმა გუნდმა 18 წლის ასაკის ზევით ათასობით მამაკაცის და ქალის ცხოვრების სტილი და მათ მიერ სასმელის მოხმარების სიხშირე გააანალიზეს და შესაბამისი შედეგებიც მიიღეს.

კვლევის თანახმად, ლუდისა და ღვინის მოყვარულები შედარებით ნაკლები სტრესის ქვეშ იმყოფებიან, ხასიათდებიან დაბალი არტერიული წნევით, აქვთ გაცილებით ჯანმრთელი შინაგანი ორგანოები, მათ შორის გული და ფილტვები, და ყველაზე მნიშვნელოვანი — ნაკლებად იტანჯებიან დეპრესიით.

ფრანგი მკვლევარების განმარტებით, ყველა ვინც ლუდს სვამს, ცდილობს მეტი ივარჯიშოს, რთა წონაში მომატება თავიდან აიცლოს. ალკოჰოლი კი თავისმხრივ, ათხელებს სისხლს, აუმჯობესებს ცირკულაციას და ხელს უწყობს რელაქსაციას, ერთი სიტყვით, აჯანსაღებს ორგანიზმს. ამასთან, ისინი ვარაუდობენ, რომ ზომიერი მსმელები შეიძლება იყვნენ უფრო მდიდარი, გაცილებით ჯანმრთელნი და მათ არ ემუქრებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, შესაძლოა ისინი მხოლოდ ამ დაავადების დაბალი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აღნიშნულის მიუხედავად, და უკვე ხელთ არსებული კვლევის საფუძველზე მკვლევარებმა მაინც ვერ შეძლეს სასმელის სარგებლიანობის საბოლოოდ დამტკიცება და დასძინეს: „ჩვენი შედეგები არ გამორიცხავს ალკოჰოლის კარდიო-პროქტორულ ეფექტს“. თუმცა, ამის თქმა მაინც შეგვიძლია: დალიეთ ლუდი და იყავით ბედნიერი!

# ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შევცვალოთ

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ წევრ მანანა ნაჭყებიასთან

***— ქალბატონო მანანა, რვა პოლიტიკურმა პარტიამ პრეზიდენტს მიმართვა გაუგზავნა, რა მოლოდინები აქვს პოლიტიკურ „რვიანს“?***

— ჩვენი ხელისუფლების პირობებში ძალიან ძნელია პროგნოზირება და მოლოდინების ქონა. თუმცა, ყველანაირი ლოგიკით, გამომდინარე ქვეყნის გარეთ არსებული და ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობიდან, რაც მთავარია, ბოლოდროინდელი განცხადებებიდან, რომელიც საქართველოს მისამართით კეთდება, ჩვენი დასავლელი მეგობარი ქვეყნების მხრიდან, ცხადია იქნება გარკვეული ზეწოლა, იმასთან დაკავშირებთი, რომ საქართველოში ბოლოს და ბოლოს დემოკრატიული არჩევნების გზით მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. ის, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება, ცხადია. არათუ საქართევლოს ხელისუფლება, რომელიც წარუმატებელია, არამედ ბევრად უფრო წარმატებული ქვეყნის ხელისუფლებას ცვლილან ხოლმე ამომრჩევლები, რადგან ეს ადამიანის ბუნებაა. თუ ხელისუფლება დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ის არის უნიკალური მოვლენა და მას განუსაზღვრელი ვადით აძლევან ნდობის მანდატს, ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება გულწრფელი განცხადება. აქედან გამომდინარე ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება იძულებული იქნება და წესით თუ პასუხისმგებლობა გააჩნია თავის ქვეყნის წინაშე უნდა წამოვიდეს რაღაც დათმობებზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს საარჩევნო სიები და საარჩევნო სისტემა შეიცვალოს, რომელთან დაკავშირებითაც ძალიან ბევრი შენიშვნა აქვს ვენეციის კომისიას, დასავლელ პარტნიორებს. საუბარია თუ გაქვთ იმედი, თავი დავანებოთ იმედზე საუბარს. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. ეს პასუხისმგებლობა გვაიძულებს, გადავდგათ გარკვეული ნაბიჯები. ბოლომდე ამოვწუროთ, თუ რამე შანსი არსებობს მოლაპარაკების გზით. ბოლომდე მივიყვანოთ ის პროცესი, რომელიც დავიწყეთ. ჩვენ არ ვართ უპასუხისმგებლო პოლიტიკური ძალები და ნამდვილად არ გვინდა ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის ქაოსში ჩავითრიოთ. ამიტომ, როგორც ყველა ქვეყანაში, ყველა პოლიტიკური ძალა, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს ქვეყნის წინაშე აღებული, ამ გზით წარმართავს პროცესებს ცივილიზებულად, დემოკრატიულად.

***— ზეწოლაზე გააკეთეთ განცხადება, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იქნება?***

— დიახ, ეს ზეწოლა უკვე არის. მე უპრეცედენტოდ მივიჩნევ იმ განცხადებებს, რომელიც გაკეთდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან, ქალბატონი კლინტონის მხრიდან. თქვენ ხედავთ, რამხელა ინტერესია ამ პროცესის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ვფიქრობ, ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უნდა აისახოს დადებითად და ადეკვატურად. თუმცა, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებამ მისთვის ჩვეული სიჯიუტე გამოიჩინოს.

***— რამდენად რეალურია, რომ ხელისუფლებამ დათმობის გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან როგორც ექსპერტების ნაწილი ამბობს, თუ ხელისუფლება დათმობს, ვერც გაიმარჯვებს არჩევნებში...***



— არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ თავისი სიჯიუტე, უპასუხისმგებლობა ჩვეულ სტილში გააგრძელოს და თქვას, რომ არაფერსაც არ დავთმობ და არჩევნებში ამ კოდექსით, ამ საარჩევნო გარემოთი მივდივარ. ექსპერტების, ჟურნალისტების მხრიდან არის კითხვა: თუ არ გადადგა ეს ნაბიჯი ხელისუფლებამ, მაშინ რა იქნება? საქართველოში დამკვიდრდა სტერეოტიპი, რომ პოლიტიკურმა პარტიამ და მისმა წარმომადგენელმა უნდა გიპასუხოთ ამ კითხვაზე, რომ მაშინ რადიკალურ ნაბიჯებს გადავდგამთ, გამოვალთ ქუჩაში და ა.შ. ნამდვილად არ გიპასუხებთ ასე და არ გეტყვით, რომ „ახალი მემარჯვენეები“ ქუჩაში გამოვცვივდებით და ხელისუფლების გადადგომას მოვითხოვთ. არა იმიტომ, რომ პოლიტიკური ძალების არსენალში ქუჩის აქციები არ არის ან „ახალი მემარჯვენეები“ გამოუცდელები ვართ, ან არ გვიბრძოლია ქუჩაში. ნამდვილად არა, მაგრამ მიგვაჩნია, ბევრად უფრო უკეთესია საზოგადოება დავარწმუნოთ და ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ იქითკენ, რომ არჩევნების გზით ამ ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობაში და ასე შევიდეთ საარჩევნო პროცესში, ვიდრე იმავე წრეზე წავიყვანოთ საზოგადოება. იგივე მოლოდინი გავუჩინოთ ქუჩის აქციებით და შემდეგ, სამწუხაროდ, ისევ ისე მოხდეს, როგორც ორი წლის წინ. ამიტომ გვაქვს მარტივი პასუხი: ბრძოლას ვაგრძელებთ, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებთ საზოგადოებასთან, იმ ადამიანებთან ერთად, ვინც დაინტერესებულია ჩევნი ქვეყნის დემოკრატიული მომავლით.

***— „რვიანის“ მხრიდან საუბარი იყო ბოლო ვადაზე, რომელიც დასახელდა კიდეც, მაისის ბოლო, ანუ ეს რაზე მეტყველებს?***

— ეს არანაირად არ არის სიხისტე და რადიკალიზმი, როგორც ეს უნდა მონათლოს მმართველმა პარტიამ. მმართველი პარტიის მხრიდან მხოლოდ ერთადერით კომენტარი გაკეთდა: არ ვურჩევთ ასეთ რადიკალიზმს და სიხისტეს. ვიმეორებ, არანაირად არ არის რადიკალიზმი. ისევე, როგორც ყველაფერს აქვს დასაწყისი, აქვს დასარული. არ შეიძლება უსაზღვროდ გრძელდებოდეს ეს პროცესი. თუ მოვახერხებთ და რამეზე შევთანხმდებით (ძალიან მინდა, რომ ეს ვისურვო) ამას შემდეგ სჭირდება ცვლილების ჩამოყალიბება, რომელიც შემდეგ უნდა განხორციელდეს სხვადასხვა კანონებში, რომელიც პარლამენტში უნდა განხორციელდეს. ამდენად ვადა გვაიძულებს, რომ ეს პროცესი გარკვეულ პერიოდში დამთავრდეს. არანაირად არ ნიშნავს პოლიტიკური „რვიანის“ განცხადება, რომ პროცესების ფორსირებას ვახდენთ. ფორსირებას ახდენს დრო და ის მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც ჰქვია 2012-2013 წლების არჩევნები.

***— ქალბატონო მანანა, ამასობაში გარკვეული პოლიტიკური ძალები რევოლუციისთვის ემზადებიან...***

— ვერ ვიტყოდი, რომ ეს პოლიტიკური გემოვნების თემაა. სხვა, ძალიან ბევრი რამე შეიძლება იყოს პოლიტიკური გემოვნების საკითხი, მაგრამ ნამდვილად არა. მაქვს უფლება, რომ ვისაუბრო ასეთი ტონით, რადგან წარმოვადგენ „ახალ მემარჯვენეებს“, რომლებსაც პრინციპები არ შეგვიცლია. 2003 წელს, როდესაც მთელი ქვეყანა ტაშს უკრავდა რევოლუციას, ჩვენ ვაცხადებდით, რომ ეს ყველაფერი კარგს არ მოგვიტანდა. რევოლუციით მოსული ხელისუფლება, სამწუხაროდ, ვერ შედგება როგორც დემოკრატიული ხელისუფლება. პარტიას, „ახალ მემარჯვენეებს“ ძალიან მალე 10 წლისთავი გვისრულდება და ამასთან დაკავშირებით დოკუმენტური კადრები მოვიძიეთ. იმ კადრებში ჩვენთან არიან მაშინდელი „მოქალაქეთა კავშირის“ წარმომადგენლები. მაშინდელი ოპოზიციონერები მიხეილ სააკაშვილი და სხვა მისი თანაგუნდელები, რომლებიც საუბრობენ, რომ არ არის დემოკრატიული რეჟიმი ქვეყანაში და როდესაც ისინი მოვლენ, როგორ შეცვლიან ყველაფერს და როგორ გახდება ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული, როგორ იქნებიან კანონის მორჩილი და როგორ იქნება კანონის უზენაესობა. თუმცა, რა მივიღეთ, ყველამ კარგად ვნახეთ. ანალოგიური საშიშროება არსებობს ყველა შემთხვევაში. არ ვგულისხმობ არც „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებს და არც „სახალხო კრების“ წარმომადგენლებს. ეს არის ზოგადი კანონი, რომელიც ყოველთვის გვეუბნება: რევოლუციური გზით მოსული ხელისუფლება ვერ იქნება დემოკრატიული. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ არის პოლიტიკური გემოვნების საკითხი. ეს არის საკმაოდ დესტრუქციული განცხადებები იგივე „ქართული პარტიის“ მხრიდან, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის მისწრაფებას. ქართველი ხალხის მისწრაფებაა მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლა და ქართველი ხალხის მისწრაფებაა დამოუკიდებელი საქართევლო. პირდაპირ ვიტყვი, თუ მართლა ის არის „ქართული პარტიის“

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სააკაშვილმა თავი უნდა დაგვანებოს!

## საქართველოში ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება

**მთელი ქვეყანა 21 მაისის დადგომას ელოდება. ამ დღიდან სახალხო კრება ხელისუფლების გასაშვებად კონკრეტულ ღონისძიებებს იწყებს. კრების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებას აუცილებლად და თანაც მშვიდობიანად გაუშვებენ. მოწინააღმდეგენი არეულობას პროგნოზირებენ.**



შორენა გონგლა ე

ამ მოსაზრებებს არ იზიარებს განათლების ექსპერტი, განათლების ლიგის თავმჯდომარე მანანა ნიკოლაიშვილი. ის სახალხო კრებასთან აქტიურად თანამშრომლობს. მას სჯერა, რომ აუცილებლად მოხდება ხელისუფლების გაშვება. ხელისუფლების გასაშვებად კი, მისი აზრით, მარტო განათლების სისტემის დანგრევაა საკმარისი. ამ თემებზე **მანანა ნიკოლაიშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— რატომ შეუერთდით სახალხო კრებას?***

— რატომ შევუერთდი? აბა სად უნდა ვიყო ნაციონალურ მოძრაობაში. თავად სახელიდან ჩანს, რასაც წარმოადგენს ეს მოძრაობა. ეს არის ხალხის მიერ შექმნილი ორგანიზაცია. აქ ყველაფერს ხალხი წყვეტს. მე კი ყოველთვის ხალხის გვერდით ვიდექი.

***— ამბობენ, რომ სახალხო კრება ისეთ გადაწყვეტილებებს ღებულობს, რომელიც ერთი-ორ პიროვნებას აწყობს მხოლოდ.***

— ეს არის სიცრუე. სახალხო კრებაში ყველა გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე მიიღება. აქ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არვინ ღებულობს. ამიტომაც ჰქვია ამ ორგანიზაციას სახალხო კრება. აქ მთავარი არის ხალხის ნება. ამიტომაც დავდექი მათ გვერდით. მის გვერდით ყველა უნდა დადგეს. მე ხალხი მყავს მხედველობაში. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, თუ ისინი ხალხს გვერდით არ დაკდგებიან პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდებიან. ამ ხელისუფლების გასაშვებად ყველა უნდა დაირაზმოს. ამ ხალხის ხელისუფლებაში დარჩენა, ერის სრულ სიკვდილს ნიშნავს,

***— რატომ?***

— ჩვენ გვყავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ყველა სფეროს ანადგურებს.

***— თავად ამბობენ, რომ რეფორმებს ატარებენ და თანაც ძალიან წარმატებით.***

— სად არის ხალხო რეფორმა? რეფორმა ფრანგული სიტყვაა და პროგრესისკენ წინსვლას ნიშნავს. მითხარით ერთი, რომელ დარგში წავედით პროგრესისკენ.

***— ხელისუფლება ამბობს, რომ პროგრესი ყველა სფეროში შეინიშნება.***

— როგორ გეკადრებათ. პროგრესია, როცა ბავშვებმა ფორმულების წერა არ იციან. მე ვარ განათლების სფეროს სპეციალისტი. შესაბამისად ვიცი რაც აქ ხდება. მათ გაანადგურეს ყველაფერი. ეს ხელისუფლება რომ წავა იცით განათლების სფეროს აღდგენას რამდენი დრო დასჭირდება? ნახევარი საუკუნე. ნახევარი საუკუნეა საჭირო იმისათვის, რომ ის დონე დავიბრუნოთ, რომელიც ვარდების რევოლუციამდე იყო. ჯერ მაშინ რა იყო, და ამათ ესეც დაანგრიეს. განათლების სფეროში გატარებული რეფორმა თავად მიხეილ სააკაშვილმაც გააკრიტიკა. ეს 2008 წელს მოხდა. ის მაშინ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო.

***— რატომ იყო იძულებული?***

— იმ წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა. ამ რეფორმით ყველა უკმაყოფილო იყო. ხალხის გულის მოსაგებად მან ეს რეფორმა გააკრიტიკა. განათლების სისტემაში ათასი საშინელება ხდება. მარტო ამიტომ უნდა გავუშვათ სააკაშვილი და მისი გუნდი. ნახეთ რა დღეში ჩააგდეს უნივერსიტეტი, ნახეთ რა უქნეს სკოლებს. ამას არცერთი ქვეყანა არ მოითმენს. არც ჩვენ უნდა მოვითმინოთ. არსებობს მაგალითები, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება განათლების რეფორმას გადააყოლეს. ჩვენ კი ბევრად მეტი მიზეზები გვაქვს, რომ ეს ხელისუფლება გავუშვათ.

***— რა მიზეზები?***

— რომელი ერთი ჩამოვთვალო. ტერიტორიები დაგვიკარგა. ხალხს სამსახური და კერძო საკუთრება წაართვა. ხალხს არაფრის უფლება არა აქვს. იმ მიწებსაც კი გვიყიდის, რომელიც დაგვრჩა. მითხარით რითი უნდა იარსებობს გლეხმა. მიზეზების ჩამოთვლა ძალიან შორის წაგვიყვანს. ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. და წავა კიდევაც.

***— რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული რომ წავა?***

— იმიტომ რომ მოსახლეობის 80-85 პროცენტს აღარ უნდა ეს ხელისუფლება. მე მჯერა, რომ ამ ხელისუფოების შესაცვლელად ასეულობით ათასი ადამიანი გამოვა ქუჩაში.

***— ქუჩაში შეიძლება მართლაც გამოვიდეს ხალხი მაგრამ მოიტანს ეს შედეგს? ხალხი ადრეც გამოდიოდა მაგრამ ხელისუფლება არ შეიცვალა.***

— მე მესმის, რომ ხალხში ნიჰილიზმია გაბატონებული. ბოლო სამი წლის განმავლობაში ხალხი ბევრჯერ გამოიყვანეს და დაშალეს. ვიღაცეები ხელისუფლებასთან გარიგებაში შედიოდნენ. ხალხს რწმენა დაეკარგა.

***— რა გარანტიაა რომ სახალხო კრებაც არ შევა გარიგებაში?***

— ეს გამორიცხულია. მის სათავეში ისეთი ადამიანები არიან. ნონა გაფრინდაშვილი ხალხს არასდროს უღალატებს. ეს ყველამ კარგად იცის. ამიტომაც სცემს ნონას მთელი საქართველო პატივს. ამ კრებაში უამრავი ღირსეული ადამიანია. ამ ადამიანების გვერდით ბევრი ხალხი დადგება. და ჩვენ აუცილებლად შევცვლით ამ დამნაშავე რეჟიმს. ჩვენ მათსავით კანონებს კი არ დავარღვევთ, ყველაფერს კანონის და კონსტიტუციის დაცვით გავაკეთებთ.

***— ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი შიშობს, რომ თქვენს გამოსვლებს ქვეყანაში არეულობა მოჰყვება.***

— არეულობა და ქაოსი ამ ქვეყანაში მოიტანა სააკაშვილმა. მისი ქმედებები იწვევს არეულობას. ჩვენ იმიტომაც ვაპირებთ ამ ხელისუფლების შეცვლას, რომ არეულობა არ გვსურს. ჩვენ უნდა გამოვიდეთ და ვუთხრათ სააკაშვილს დაგვანებოს თავი. ჩვენ უნდა ვუთხრათ ამერიკას და ევროპას, რომ შეწყვიტონ მისთვის მხარდაჭერა. იმიტომ რომ ის არის დამნაშავე. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მათ ჩვენს ლანძღვას ურჩევნიათ ხალხის გვერდით დადგნენ. ჩვენ მათ საქმეს ვაკეთებთ.

***— მათ საქმეს როგორ აკეთებთ?***

— ჩვენ ვაპირებთ ამ ხელისუფლების შეცვლას. ამის შემდეგ ქვეყანაში ჩატარდება არჩევნები და პოლიტიკოსებს ასპარეზი მიეცემათ. სააკაშვილის პირობებში მხოლოდ რამდენიმე კაცის გაყვანის საშუალება აქვთ პარლამენტში. ისიც იმ შემთხვევაში თუ გარიგებაში შევლენ. თავისუფალი არჩევნები კი მათ ბევრის საშუალებას მისცემს. ოღონდ ღირსეული კანდიდატები უნდა ჰყავდეთ პარტიაში. ხალხი ყოველთვის სამართლიან გადაწყვეტილებას ღებულობს. მთავარია არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს.

***— თქვენი აზრით საქართველოში არჩევნების სამართლიანად ჩატარება შესაძლებელია? იმდენჯერ გაყალბდა არჩევნები, რომ ამის არავის არ სჯერა.***

— სააკაშვილი თუ იქნა ხელისუფლების სათავეში სამართლიან არჩევნებზე არც უნდა ვიოცნებოთ. ისე კი როგორ არ შეიძლება. 1990 წელს საქართველოში მართლაც სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. აი, ასეთი არჩევნები უნდა ჩატარდეს. დაე, ხალხის ნებით არჩეულმა ხელისუფლებამ მართოს ქვეყანა. ამისთვის კი სააკაშვილი და მისი გუნდი უნდა წავიდეს. მე მჯერა, რომ ისინი აუცილებლად წავლენ. მე ვერ გეტყვით რა პერიოდი დაგვჭირდება მათ გასაშვებად. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საქართველოს ამ დამნაშავე რეჟიმისგან აუცილებლად გავათავისუფლებთ.

# ციხეებში აუტანელი პირობებია

## პატიმრებს ეუბნებიან, თქვენი ადვოკატები დაგვაჭერინეთ და გაგათავისუფლებთო

ქეთი ხომერიკი

**ადვოკატები 1§ მაისიდან პარლამენტის წინ შიმშილობისა აქციას იწყებენ. ისინი სასამართლოს დამოუკიდებლობას და ქუჩაში დახვრეტილი ადამიანების საქმეების გამო იებას ითხოვენ, სხვა მოთხოვნები კი აქციის მსვლელობისას გახდება ცნობილი. ამ აქციის ორგანიზატორები ადვოკატები შალვა ხაჭაპური ე, ლალი აფციაური და ლანა გვარლიანი არიან. ამ საკითხზე „ახალი თაობა“ აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ადვოკატ ლანა გვარლიანს ექსკლუზიურად ესაუბრა.**

— ჩვენ არ გვითქვამს, რომ შიმშილობის დაწყებას ვაპირებთ, ანუ პროტესტის ამ უკიდურეს ზომას ვაპირებთ მივმართავთოთ, არ გვითქვამს. უბრალოდ, ჩვენ, ადვოკატებმა, კერძოდ, ბატონმა შალვა ხაჭაპურიძემ, ლალი აფციაურმა და მე შევიტანეთ განცხადება მერიაში, რომელიც გულისხმობს ნებართვის აღებას იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის წინ გავმართოთ საპროტესტო აქცია. 16 მაისს დაიწყება ეს აქცია და სავარაუდოდ, 21 მაისამდე გაგრძელდება. ჩვენი მოთხოვნაა, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების თავისუფლება. მოგეხსენებათ, ზოგადად ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ: აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად და არც ერთ სფეროში მდგომარეობა მოწესრიგებული, ნამდვილად, არ არის და ვინაიდან ჩვენი სამოქმედო სფერო სასამართლო ხელისუფლებაა, ამიტომ ჩვენი უპირველესი მოთხოვნა თავისუფალი სასამართლოს ქონა იქნება. ჩვენ პროტესტი გვაქვს ყველაფერ იმაზე, რაც ხდება პროკურატურაში, საგამოძიებო ორგანოებში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, იგივე საპატიმროებში. მართალია, საპატიმროები ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ საპატიმროებში არსებული უმძიმესი მდგომარეობა გამოსწორებულ იქნეს.

***— კარგა ხანია, ცნობილია, რომ სასამართლო დამოუკიდებელი, თავისუფალი და ობიექტური არ არის და რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც ახლა პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა?***

— ადვოკატებმა ამასთან დაკავშირებით პროტესტი არაერთხელ გამოვხატეთ. ჩვენ ასეთი აქცია გასულ წელსაც გავმართეთ, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ ამან მასობრივი ხასიათი არ მიიღო და შესაბამისად, შედეგიც არ დადგა. მას მერეც ჩვენ ინტენსიურად ვართ ჩართული საქმეებში და სასამართლოსთან და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან შეხება პრაქტიკულად, ყოველდღიურად გვიწევს და ვხედავთ, რომ მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ პირიქით, უარესდება. აქედან გამომდინარე, პროტესტი დაგროვდა და ჩვენ, კიდევ ერთხელ გადავწყვითეთ ჩვენი უფლებების დაცვა. ადვოკატთა ასოციაცია ბუნებრივია, მხარს გვიჭერს და ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ამჯერად მაინც მოჰყვება რაიმე კონკრეტული შედეგი ჩვენს პროტესტს.

***— 21 მაისს „სახალხო კრება“ იწყებს ბოლო, გადამწყვეტ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ და აქციას მართავს, ხომ არ შეუერთდებით მათ და პოლიტიკური მოთხოვნებიც ხომ არ გაგიჩნდებათ ადვოკატებს?***

— ჩვენი მოთხოვნები არა პოლიტიკური, არამედ სუფთა სამართლებრივი ხასიათისაა, თუმცა რა გაგრძელება მოჰყვება ამას, არ ვიცი, წინასწარ, ნამდვილად, ვერ გეტყვით. თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია გამოვა და ამა თუ იმ სოციალურ თემაზე დააყენებს მოთხოვნებს, შეიძლება შევუერთდეთ კიდეც. ამ ეტაპზე ჩვენ ჩვენი მოთხოვნა გვაქვს და ამ კონკრეტული მოთხოვნების მიზნით ვაპირებთ აქციის გამართვას.

***— კეთილი, რაც შეეხება საპატიმროებში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას, იქნებ გვითხრათ, კონკრეტულად რა ხდება დღეს საპატიმროებში და რა წინააღმდეგობებს აწყდებით თქვენი დაცვის ქვეშ მყოფების დაცვის დროს?***

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სასამართლოს მიერ გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილებებია. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის. ასევე ადვოკატები პრობლემას ვაწყდებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. კეროდ, პრობლემაა ის, რომ პატიმარს არ აქვს საჩივრის დაწერის უფლება, ანუ თეორიულად ამის უფლება კი აქვს, მაგრამ პრაქტიკულად, ეს არ ხორციელდება. პატიმრები ამ მხრივ ძალიან შეზღუდულები არიან. პატიმრები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ საპატიმროებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, შემდეგ იმყოფებიან განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ. აი, მაგალითად, მე მქონდა შემთხვევა, როდესაც გამოვიტანე ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება საპატიმროდან, რომელზეც 13 პატიმარს აქვს ხელი მოწერილი და რომელიც სტრასბურგის ევროპულ სასამართლოში გავაგზავნე. 13-ვე პატიმრის საქმე წარმოებაში აქვს სტრასბურგის სასამართლოს. ამ განცხადებაზე ხელმომწერი პატიმრებიდან მხოლოდ ერთია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. ამ განცხადებაში წერია ის, რომ ეს 13 პატიმარი ითხოვს თავინთი ძალიან პრიმიტიული უფლებების დაკმაყოფილებას. და არ გაინტერესებთ, რას ითხოვენ? ახლავე გეტყვით. მოგეხსენებათ, სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებული პატიმრები არიან და როდესაც ისინი გასასეირნებლად გაჰყავთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებულნი არიან, რომ მალევე შემობრუნდნენ უკან, რადგან, გასასეირნებელ ადგილას არ არის იმის საშუალება, რომ პატიმარი ჩამოჯდეს. ბევრი პატიმარი კი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საათი ვერ იდგება ფეხზე, ამიტომ გადიან სადღაც 10-15 წუთით, ფიზიკურად ველარ უძლებენ, რადგან მოსასვენებელი ადგილი არ არის და იძულებული არიან, შემოვიდნენ ოთახში. ამიტომ, პატიმრები ითხოვენ იმას, რომ ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ის, რომ ჩამოსაჯდომი ადგილი იყოს. დახურული სივრცე, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს დაავადების გამწვავებას, ელემენტარულად ფსიქიკაზე მოქმედებს ხომ და ადმინისტრაცია ჰაერზე ყოფნის ამ სანატრელ ერთ საათსაც კი არ არგებს პატიმრებს. აი, ამ მოთხოვნით გავაგზავნეთ სტრასბურგის სასამართლოში განცხადება, დამეთანხმებით, რომ სასაცილოა, სატირალი, რომ არ იყოს.



***— ცნობილია, რომ პატიმრების უმრავლესობა ტუბერკულოზით არის დავადებული, კიდევ რა დავადებებია მოდებული საპატიმროებში, ქალბატონო ლანა?***

— პატიმრები ძირითადად ტუბერკულოზით არიან დაავადებულნი, თუმცა, რაც შეეხება იმ პატიმრებს, რომლებზეც მე ვსაუბრობდი, ისინი დაავადებულნი არიან ისეთი დაავადებებით, როგორიც არის მაგალითად, ცეროზის ბოლო სტადია და ავთვისებიანი სიმსივნე. ძალიან დიდი პრობლემაა ექსპერტიზის საკითხი, ვგულისხმობ, ექსპერტის მიერ დასადებ დასკვნებს. სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზა თითქმის არასდროს არ წერს, რომ პატიმარი არის მძიმედ დაავადებული. თუ ექსპერტიზა დაგიწერს, რომ პატიმარი არის მძიმედ დაავადებული, შენ შეგიძლია სასამართლოში შეიტანო განცხადება სასჯელის გადავადების, ან სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ და აი, ამიტომ არც ერთი სასამართლო ექსპერტი ამას დაწერას თავის თავზე არ იღებს. ბუნებრივია, ესეც იმის გამო ხდება, რომ დამოუკიდებელნი არ არიან. ესეც დიდი პრობლემაა და ჩვენ, ამასაც ვებრძვით. ძალიან ბევრი პატიმარი იღუპება სწორედ იმის გამო, რომ სასამართლო ექსპერტიზა ადეკვატურ და ობიექტურ დასკვნას არ დებს.

***— პატიმრების მიმართ წამების ფაქტები არაერთხელ დაფიქსირებულა, მეტიც, მათი ბუნდოვან და საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებისაც კი, უშუალოდ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ თუ ჰქონია ცემა-წამების ფაქტებს ადგილი და საერთოდაც, რა მიზეზით სცემენ პატიმრებს?***

— რა თქმა უნდა, რამდენიც გინდა. ძალიან სასაცილოა ის, რომ სტარსბურგის ევროპულ სასამართლოში გავასაჩივრე ციხის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ცემა ჩემი პატიმრის, ირაკლი ხოხიაშვილის მიმართ, რადგან მისი არაერთგზის ცემის ფაქტი გავასაჩივრე მთავარ პროკურატურაში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტშიც და ამას რეაქცია არ მოჰყოლია. თებერვალში გასაჩივრებულ საქმეზე ჩვეულებრივი პრიმიტიული საგამოძიებო მოქმედება, ვგულისხმობ დაკითხვას, ჩატარებულია აგვისტოს თვეში. რაც შეეხება მიზეზს, ცემის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ როდესაც ადმინისტრაციის თანამშრომლები გეტყვიან, მიდი დედაშენს შეაგინეო და არ შეაგინებ. აი, საკუთარ დედას, რომ არ აგინებენ ამის გამო სცემენ პატიმრებს. ამას ბადრაგი აკეთებს უფროსის ნებართვით, მეტიც, უშუალოდ უფროსის მონაწილეობითაც კი. ბადრაგი პატიმრის საცემად შედის ნიღბით და ციხის სამკურნალო დაწესებულების უფროსი კი ბატონი ვაჟა ცხვედიანი არცერთხელ არ მოერიდა უნიღბოდ პატიმრების ცემას. სხვათა შორის, ვაჟა ცხვედიანმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმარი, გურამ გულდედავა, პატიმარი, რომელიც ინვალიდის ეტლში ზის და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, შეიყვანა თავის ოთახში და უთხრა: ამ გოგოს, შენი ადვოკატის დაჭერის სანაცვლოდ გავათავისუფლებო. დამაჭერინე შენი ადვოკატი და დეპარტამენტს დაგახმარ და გაგათავისუფლებენო.

***— პირდაპირ ასე უთხრა, რატომ, რას გერჩით ციხის სამკურნალო დაწესებულების უფროსი, სხვა პატიმრებსაც სთავაზობს თავისუფლებას თავიანთი ადვოკატის დაჭერის სანაცვლოდ?***

— არ ვიცი, სხვა ადვოკატთან მიმართებაში ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, შეიძლება აქვს კიდეც ადგილი, ვერ გეტყვით. მე თვითონ ვაჟას დაპირებას არასერიოზულად მივიჩნევ, რადგან პატიმრების გათავისუფლება მის კომპეტენციაში არ შედის. ისიც, გამორიცხულია, რომ პატიმარი გაათავისუფლო ადვოკატის დაჭერის სანაცვლოდ. მე უფრო მგონია, რომ ჩემი დაშინების მიზნით იყო ეს შეთავაზებული პატიმრისთვის, ანუ, ეს ინფორმაცია ბუნებრივია, ჩემამდე მოვიდოდა და შევშინდებოდი.

***— ამის შემდეგ ხომ არ ყოფილა ზეწოლა პატიმრის, ან თქვენ მიმართ ციხის სამკურნალო დაწესებულების უფროსის მხრიდან და საერთოდაც, რა უპასუხა პატიმარმა ცხვედიანს?***

— არა, მასზე ზეწოლა, ნამდვილად, არ განხორციელებულა. რაც შეეხება იმას, თუ რა უპასუხა მან ცხვედიანს, მას ამაზე უარი ოფიციალურად არც განუცხადებია. ამ პატიმარს ჯანმრთელობა აქვს ძალიან მძიმე მდგომარეობაში და როგორც გითხარით, მასზე ზეწოლა არ განხორციელებულა, თუმცა, მას მერე რაც მან მე ეს მითხრა, ის გადაიყვანეს სხვა საკანში, სადაც გაცილებით მძიმე მდგომარეობაა, სადაც 6 უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პატიმარი იხდის სასჯელს და ჩემს პატიმარს თავის გაუსაძლის ტკივილებზე ემატება ის, რომ 6 უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმარი ღამე რომ კვნესის, ან ბღავის ტკივილისგან, ამის სმენა. ამ ფორმით დასაჯეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი.

***— თქვენი აზრით, რატომ ცდილობს ცხვედიანი თქვენს დაშინებას და რატომ აგითვალწუნათ?***

— ჩემი აზრით, ცხვედიანის მხრიდან ამ შეთავაზების ერთ-ერთი საბაბი და მიზეზი იყო ის განცხადება, რომელიც მე გამოვიტანე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, ვგულისხმობ 13 პატიმრის მიერ ხელმოწერილ განცხადებას. აი, მას შემდეგ ამითვალწუნა. ამ პიროვნებასთან მე ამ განცხადების გამოტანამდეც მქონდა შეხება, მაშინ, როდესაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის, ირაკლი ხოხიაშვილის მიმართ ცემის ფაქტი განხორციელდა. ანუ, მაშინ მე შევედი მასთან და ვუთხარი, რომ ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს და მოდი, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ეს აღარ განმეორდება-მეთქი, თუმცა მან არ გაითვალისწინა ჩემი თხოვნა, მეტიც, ხოხიაშვილი უკანონოდ და უსაფუძვლოდ სასჯელაღსრულების სისტემის რუსთავის მე-6 დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც მასს იქაურმა საპატიმროს უფროსმა მარგებაძემ და ცხვედიანმაც ერთად სცემეს. მათ ხოხიაშვილთან ერთად პატიმარი მახო ბადუაშვილიც სცემეს. მათი ცემის მიზეზი კი იყო ის, რომ პატიმარი არის დაუმორჩილებელი. დაუმორჩილებლობაში ვგულისხმობ, იმას, რომ ენა არ მიაქვს და არ თამაშობს ადმინისტრაციის დაკრულზე. სცემენ და ჩაგრავენ იმ პატიმრებს, რომლებიც ადმინისტრაციას ეუბნებიან, რომ მე ამის უფლება კანონით მაქვს და შენ ეს უნდა დამიკმაყოფილოო.

***— იმასაც ამბობენ, დაღუპული პატიმრები გადაჰყავთ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში და აცხადებენ, თითქოს პატიმარი საავადმყოფოში გარდაიცვალაო, არადა, დროულად, რომ ხდებოდეს პატიმრების საავადმყოფოში გადაყვანა, გადარჩებიანო, ეს ნამდვილად ასეა, ქალბატონო ლანა?***

— აქვე მინდა გითხრათ, რომ 4 დღის წინ გარდაიცვალა პატიმარი, კუჭყემაძე კახაბერი რომელიც იყო უმძიმეს მდგომარეობაში. მისი გარდაცვალების მიზეზი ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ის არაადეკვატური მოპყრობის გამო გარდაიცვალა. ანუ ავადმყოფ პატიმარს და ზოგადად, ადამიანს, რომ უნდა მიხედო და უმკურნალო, ეს პატარა ბავშვმაც კი იცის. დიახ, უკვე გარდაცვლილი პატიმრები მიჰყავთ ხოლმე ციხის საავადმყოფოში და მეორე ფაქტი კიდევ რაც ხდება არის ის, რომ ექსპერტიზა უშუალოდ საპატიმროში უტარდება გარდაცვლილ პატიმარს და მოგეხსენებათ, ექსპერტიზის დროს იკვეთება სხეული, კეთდება ბალზამირება და ამის შემდეგ გარდაცვალების რეალურ მიზეზს ველარ დაადგენ და იქ დასკვნაში კი საპატიმროს ექიმი დაწერს იმას, რაც მას უნდა. და ძალიან ბევრი ფაქტი გარდაცვალების გამომწვევი რეალური მიზეზის დადგენასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ამით იფარცხება და იმალება. აქვე მინდა შევეხო საპატიმროების უსაფრთხოების სამსახურს და გითხრათ ერთი რამ. ცნობილია, რომ საპატიმროებში მსჯავრდებულებს ძალიან ხშირად ემატებათ სასჯელი უკანონო ნივთების შეტანის გამო, აი, აქ ერთი მომენტია კატეგორიულად გასამიჯნი. ვერც ერთ შემთხვევაში არც ერთი პატიმრის საკანში უკანონო ნივთი არ მოხვდება, თუ ამის ხელშეწყობა არ იქნა ადმინისტრაციის მხრიდან. ანუ მე მიმაჩნია, რომ როცა საპატიმროში უკანონო ნივთი არის აღმოჩენილი, ამაზე პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს უსაფრთხოების სამსახურს.

***— ანუ ციხის ადმინისტრაცია უდებს პატიმრებს უკანონო ნივთებს, რათა შემდეგ ამ მიზეზით სასჯელი გაუხანგრძლივონ?***

— დიახ, მეტიც, ეუბნებიან კიდეც პატიმრებს, რომ აი, მე შენ ტელეფონს ჩაგიდებ და შემდეგ როგორ შემეწინააღმდეგები და როგორ არ გააკეთებ იმას, რაც მე მინდა განახებო. აი, ასე ექადნებიან, ამ ფორმით აშინებენ და სჯიან ხოლმე პატიმრებს. მე, ადვოკატს განცხადება ვერ გამომაქვს საპატიმროდან და ვილაცას პატიმართან ტელეფონი შეაქვს? ეს ხომ გამორიცხულია.

***— დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, პატიმრები გგულშემატკივრობენ, თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ პატიმრებმა თქვენ მიერ გამართული აქციის მიმართ მხარდაჭერა ხმამაღლა დააფიქსირონ?***

— პატიმრები უმძიმეს მდგომარეობაში არიან და ამ აქციის მიმართ მხარდაჭერა ხმამაღლა რომ დააფიქსირონ, დაისჯებიან, თუმცა, რასაც ეს აქცია ემსახურება, ამის მიმართ შინაგანი განწყობა 100-დან 100-ვე პატიმარს აქვს, მაგრამ ვიმეორებ, ხმამაღლა ეს შეიძლება არც ერთმა, ან სავარაუდოდ, დააფიქსიროს სადღაც 20 ან 30%, ანუ იმ პატიმრებმა, რომლებიც გამბედავები და დაუმორჩილებელნი არიან.

# ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შევცვალოთ

დასაწყისი მე-10 გვერდზე

პოზიცია, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, ვისურვებდი, რომ მათ სასწრაფოდ გადახედონ ამ პოზიციას. რადგან 20 წელი ბევრი რამე მოითმინა ქართველმა ხალხმა იმისთვის, რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო რუსული გავლენისგან, რუსეთი დემოკრატიული სახელმწიფო რომ იყოს, მაშინ სხვა საკითხია ჩვენ პირიქით ვესწრაფვით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ვიყოთ მათ კავშირში. ვიყოთ ევროკავშირში, სერიოზული პარტნიორი ვიყოთ ამერიკის შეერთებული შტატების, მაგრამ რუსეთი არ არის დემოკრატიული სახელმწიფო და თუ რუსეთი ჩაერევა ამ პროცესებში, ცხადია, ის არ ჩაერევა მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენთან დემოკრატია იყოს. ეს არის ზესახელმწიფოს ჩვეულებრივი მისწრაფება, რომ გავლენის ქვეშ მოაქციოს პატარა სახელმწიფო. არა მგონია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ყველაფერი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო მის მიერ არჩეული გზიდან არ გადავარდეს. აქედან გადახვევას შესაფერისი შეფასება მიეცემა ქართველი ხალხის მხრიდან.

# „ელდრაინი“ მეცხრე ადგილზე გავიდა

ეკა ირემაშვილი

ევროპამ რიგით 56-ე სიმღერის ფესტივალი დაასრულა და მის გამარჯვებულად 211 ქულით აზერბაიჯანის წარმომადგენლები ელდარ გასიმოვი (ელი) და ნიგიარ ჯამალი (ნიკი) დასახელდნენ.

საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „ელდრაინი“ ექვსი წევრისგან შედგება — სოფო ტოროშელიძე (ვოკალი), მიხეილ ჭელიძე (გიტარა), ირაკლი ბიბილაშვილი (ბას გიტარა), დავით ჩანგოშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები), თამარ შეყილაძე (კეიბორდი, კლავიში) და ბესო ციხელაშვილი (დიჯეი). ქართველები ევროპის გადაწყვეტილებით პირველივე ნახევარფინალში აღმოჩნდნენ გამარჯვებული და იმ ათ ფინალიტ ქვეყანას შორის დასახელდნენ, რომელიც ფინაში 14 მაისს დუსელდორფში იმღერებდა. „ელდრაინის“ ჩაცმულობაზე დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა. ჯგუფის სოლისტის სოფო ტოროშელიძის მიერ ამოღებული ნომრის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ევროვიზიის კონკურსზე ქართველები 25-ე ნომრად გამოვიდოდნენ და კონცერტს დახურავდნენ. 5 მაისს დიუსელდორფში მონაწილეების გასამხნევებლად ქართველი მომღერლები სოფო ხალვაში და სოფო ნიჟარაძე ჩავიდნენ და ყველამ ერთად საქართველოს კულტურის დღე მოაწყეს.

ჯგუფი „ელდრაინი“ მეცხრე ადგილზე 110 ქულით გავიდა. უმაღლესი 12 ქულა საქართველოს ლიტვამ, უკრაინამ და ბელორუსიამ დაუწერა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა — 10 ქულა, საბერძნეთმა და თურქეთმა — 8 ქულა, პოლონეთმა, მოლდოვამ და სანმარინომ — 7 ქულა, რუსეთმა — 6 ქულა, უნგრეთმა — 5 ქულა, ესტონეთმა — 3 ქულა, ისრაელმა — 2 ქულა, ხოლო ბულგარეთმა — 1 ქულა.

ქართულმა ჯგუფმა საკუთარი სიმღერის პოპულარიზაციისთვის სპეციალური კლიპიც გადაიღო, რომელიც ევროპის საზოგადოებრივი მაუწყებლების ეთერში ტრიალებდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა კლიპი რუსთაველის თეატრში 24 საათში გადაიღო, რომელშიც ჯგუფის წევრების გარდა, პანტომიმის თეატრის მსახიობებიც მონაწილეობდნენ. კლიპის გადაღებაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის რეჟისორებმა თემო კვირკველიამ და თორნიკე კაციტაძემ იზრუნეს.

უკვე ჩაწერილი და ახლებური ვერსიით შესრულებული სიმღერა სოფო ტოროშელიძემ ბაქოშიც შეასრულა. ევროვიზიის საკონკურსო სიმღერა ბაქოს ერთ-ერთ კლუბში შესრულდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. საქართველოდან გამგზავრებამდე კი ჯგუფ „ელდრაინის“ მხარდასაჭერი კონცერტი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თეატრში გამართეს. კონცერტში უნივერსიტეტის ჯგუფი „ანკესი“ და ახლაგაზრდა შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ღონისძიებაში თავად „ელდრაინიც“ ჩაერთო და საკონკურსო სიმღერა „ვან მორ დეი“ შეასრულა.

საქართველომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-12 ადგილი დაიმსახურა. შემდგომ წელს ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა. საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული 2009 წელს ჯგუფი „სტეფანე და 3 გოგო“ გახდა. ჯგუფს საქართველოს სახელით მოსკოვში გამართულ ევროფესტივალზე უნდა შეესრულებინა სიმღერა „პუტ ინ დისკო“. მედიასაშუალებებში გახმოვანდა, რომ სიმღერას ორაზროვანი, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრის მისამართით ვრცელდებოდა. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ქართულ მხარეს სიმღერის შეცვლა შესთავაზა. მოგვიანებით, საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

გასულ წელს ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. კონკურსზე, რომელშიც 39 ქვეყანა მონაწილეობდა, მან მეცხრე ადგილი დაიკავა. წლევანდელ ევროფესტივალს გერმანია მასპინძლობს. 55-ე ევროფესტივალის გამარჯვებული გერმანიის წარმომადგენელი ლენა მაიერ-ლანდრუტი გახდა. სწორედ ამ გამარჯვებით გერმანიამ ევროვიზია 2011-ის მასპინძელი ქვეყნის სტატუსი მოიპოვა.

საქართველოდან ევროვიზიის კონკურსს სოფო ალთუნაშვილი უძღვებოდა, იგი ნახევარფინალებისა და ფინალის კომენტატორი იყო. სოფომ ეს მნიშვნელოვანი ევროპული საღამოები რამდენჯერმე უკვე წაიყვანა. საქართველოს სახე წლევანდელ ევროვიზიაზე კი შარშანდელი კონკურსანტი სოფო ნიჟარაძე გახდა. მომღერალმა ევროპას იმ ქვეყნების ნუსხას გააცნო, რომელთა წარმომადგენლებსაც ევროვიზიის კონკურსზე საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასებები მიანიჭა. უმაღლესი 12 ქულა საქართველომ ლიტვას მიანიჭა, 10 ქულა — უკრაინას, ხოლო 8 ქულა — აზერბაიჯანელებს. სოფო ნიჟარაძის გარდა, თავისი ქვეყნის მიერ მინიჭებული ქულები უკრაინის, რუსეთის და იტალიის ცნობილმა სახეებმაც გამოაცხადეს. იტალიიდან ევროვიზიას თვით რაფაელა კარა ჩაერთო. იტალიის ვარსკლავის გამოჩენა გერმანიაში შეკრებილი საზოგადოებისთვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. რუსეთის ქულები ევროვიზიის გამარჯვებულმა და რუსული ესტრადის ვარსკვლავმა დიმა ბილანმა გააცნო ევროპას, ხოლო უკრაინის ქულები უკრაინელმა ვარსკვლავმა, ასევეე ვროვიზიის გამარჯვებულმა და ქართველებისთვის კარაგად ნაცნობმა მომღერალმა რუსლანამ გამოაცხადა.



როგორც ცნობილი გახდა, „ევროვიზია-2011“ ამ კონკურსის არსებობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა. „დიუსელდორფ არენაზე“ გამართულ ფინალურ კონცერტს 125 მილიონმა ადამიანმა უყურა ტელეეკრანზე, ხოლო უშუალოდ დარბაზში 45 ათასი მაყურებელი იმყოფებოდა. როგორც კონკურსის ორგანიზატორმა იარმო სიიმმა განაცხადა, გაყიდული ბილეთების მიხედვით, კონკურსი ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა. ონცერტზე აკრედიტაცია 10 000-მა ადამიანმა გაიარა, ფინალზე დასასწრებად კი 35 000 ბილეთი გაიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროვიზიის ნახევარფინალებზე ხალხი ნაკლებად იყო, მთლიანობაში წელვანდელი კონკურსი მის ორგანიზატორებს მაინც რეკორდულად და ყველაზე მასშტაბურად მიაჩნიათ. კონკურსზე დასასწრებად დიუსელდორფში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან უამრავი ადამიანი საგანგებოდ ჩავიდა. უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებულად იყო აგმკაცრებული — „დიუსელდორფ არენასთან“ ათეულობით სასწრაფო დახმარების მანქანა, სახანძრო სამსახური და პოლიცია იყო მობილიზებული.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსების ორგანიზატორი ევროპის მაუწყებელთა კავშირია. 2011 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსში 43 ქვეყანა მონაწილეობს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად გადავიდნენ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის (რომელიც 13-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა კონკურსს) წარმომადგენლები. წლევანდელ ევროფესტივალზე გამარჯვებული მაყურებელმა და ჟიურიმ გამოავლინა. მათი ხმები პროპორციულად, პრინციპით 50%-50%-ზე გადანაწილდა.

# ნოდარ ნიკოლაიშვილი გრანდიოზულ მარათონს მართავს

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი ნოდარ ნიკოლაიშვილი 17 მაისს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრში გრანდიოზულ მარათონს გამართავს, რომელშიც მონაწილეობას მისი მეგობრები, კოლეგები, მომღერლები და საოპერო ჟანრის მომღერლები მიიღებენ.

როგორც კომპოზიტორმა „ახალ თაობას“ განუცხადა, მარათონი ტელეკომპანიების „მზესა“ და „პირველი სტერეოს“ მხარდაჭერით ეწყობა. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ კომპოზიტორმა შეძლოს თანხების მოგროვება და განახორციელოს მის მიერ ორი წლის წინ დაწერილი ოპერის „ხვედრი მეფისა“ დადგმა, რომელიც ერეკლე მეფეს ეძღვნება.

ნოდარ ნიკოლაიშვილმა დააარსა ერეკლე მეორის კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ფონდი. რომელიც სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. კომპოზიტორის განცხადებით, მისი ოპერა „ხვედრი მეფის“, გარე ოპერაა. ამიტომ მისი სურვილია ოპერა დაიდგას თბილისში — ღია ცის ქვეშ მეტეხის პლატოზე და თელავში

გაგრძელება მე-15 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

**ნათელმხილველი მანანა**
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**SMS-განცხადებები - 3090**

## იყიდება

● იყიდება მიწის ნაკვეთი ბაზალეთის ტბაზე, 8000 კვ.მ., შეიძლება ნაწილ-ნაწილ, სასტუმრო კომპლექსთან. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 28 73 52.

# მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს




ნიუ იორკის პოლიციამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს, დომინიკ შტროს-კან გაუპატიურების მცდელობის და თავისუფლების შეზღუდვის ოფიციალური ბრალდებები წაუყენა.

წინასწარი ცნობების თანახმად, პოლიციამ სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს ჩვენებები სექსუალური ძალადობის საქმესთან დაკავშირებით ჩამოართვა. ბრალდებები მას მანჰეტენის ერთ-ერთი სასტუმროს მოახლემ წაუყენა, სადაც დომინიკ შტროს-კანი ჩვეულებრივ ჩერდებოდა ხოლმე.

თაიმს სქვერზე მდებარე სასტუმრო „სოფიტელის“ 32 წლის მოახლემ პოლიციაში წარდგენილ განცხადებაში მსოფლიო სავალუტო ფონდის ლიდერის მხრიდან სექსუალური შევიწროვების შესახებ დაიჩილა.

ქალმა განაცხადა, რომ მან მოახერხა გაქცეულიყო ნომრიდან, რომელშიც მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი ერთ ღამეში 3 ათას დოლარს იხდიდა. ამ ინციდენტის შემდეგ მდგმურმაც დატოვა სასტუმრო და აეროპორტისაკენ გაემართა.

დომინიკ შტროს კანის ადვოკატმა განაცხადა, რომ მის კლიენტს გადაწყვეტილი აქვს უდანაშაულობის განცხადება გაავრცელოს.

62 წლის შტროს კანი ჯონ კენედის აეროპორტში, პარიზში გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე დააკავეს. პოლიციელები თვითმფრინავში ავიდნენ და ფრანგი პოლიტიკოსი დაბლა ჩამოიყვანეს.

ნიუ იორკის პოლიციის წარმომადგენელმა პოლ ბრაუნმა ჟურნალისტებთან საქმის გარკვეული დეტალების შესახებ ისაუბრა.

მისი თქმით, მომჩივანმა გამომძიებლებს განუცხადა, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი სააბაზანოდან შიშველი გამოვიდა, დერეფანში ქალს ეცა და საძინებელ ოთახში ძალით შეიყვანა. ქალი მას ხელიდან დაუსხლტა, მაგრამ მამაკაცმა იგი დერეფანის გავლით სააბაზანოსაკენ წაათრია, სადაც სექსუალური ხასიათის კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა. ქალის თქმით, ეჭვმიტანილი სასტუმროს ნომერში მის ჩაკეტვას ცდილობდა.

ნიუ იორკის შტატის კანონმდებლობის თანახმად, სქესობრივი ხასიათის უკანონო ქმედებად ორალური სქესობრივი კავშირის იძულება ფასდება.

დომინიკ შტროს კანი მსოფლიო სავალუტო ფონდს 2007 წლიდან ხელმძღვანელობს.

მის წინააღმდეგ სქესობრივი ხასიათის ბრალდებები პირველად არ წაუმყენებიათ. 2008 წლის ოქტომბერში დომინიკ შტროს კანმა ყოფილ თანამშრომელ ქალს ბოდიში მოუხდა, თუმცა სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებები უარყო.

პოლიტოლოგები ბოლო დროს ხშირად გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ დომინიკ შტროს კანი მომავალ წელს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებზე სოციალისტური პარტიის კანდიდატად შეიძლება დაესახელებინათ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, სოციალისტური პარტიის ყველაზე პოპულარული წევრი დომინიკ შტროს-კანი პრეზიდენტის არჩევნებში ამჟამინდელი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ღირსეულ მეტოქედ შეიძლება ქცეულიყო.

# „პინქ ფლოიდის“ წევრები ერთი კონცერტისათვის გაერთიანდნენ



ანსამბლ „პინქ ფლოიდის“ ყოფილმა წევრმა დევიდ გილმორმა მონაწილეობა მიიღო კონცერტში, რომელიც ლონდონში „ოუთუ არენას“ სცენაზე ანსამბლის კიდევ ერთმა წევრმა როჯერ უოტერსმა გამართ. რაღაც მომენტში მათ მედოლე ნიკ მეისონიც შეუერთდა და სცენაზე „პინქ ფლოიდის“ ამჟამად ცოცხალი ყველა მონაწილე გამოვიდა.

1985 წელს მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ოცი წელი გავიდა, სანამ „პინქ ფლოიდის“ წევრებმა სცენაზე ერთად გამოსვლა შეძლეს. ეს 2005 წელს მოხდა, საქველმოქმედო კონცერტის „ლაივ 8“-ის დროს. ეს შოუ მათი უკანასკნელი ერთობლივი გამოსვლაც გახდა. ამ კონცერტში მათთან ერთად უკანასკნელად გამოვიდა მუსიკოსი რიჩარდ რაიტი, რომელიც 2008 წელს გარდაიცვალა.

ამის შემდეგ 2010 წლის ივლისში უოტერსმა და გილმორმა ფონდ „ჰოუფინგის“ მიერ ორგანიზებლ საქველმოქმედო აქციაში მიიღეს მონაწილეობა. თავდაპირველი გეგმების თანახმად, კონცერტში „პინქ ფლოიდის“ ყველა მონაწილეს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მეისონმა უარი განაცხადა

12 მაისს გამართული კონცერტის დროს გილმორმა და უოტსონმა ანსამბლის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა „ქომფათიბლი ნამბ“ შეასრულეს. მეისონი მათ კომპოზიციის „აუთსაიდ ზე უოლ“-ის შესასრულებლად შეუერთდა.

ამჟამად როჯერ უოტერსი საკონცერტო ტურნეს „ზე უოლ ლაივ“ ფარგლებში მართავს კონცერტებს. ამ კონცერტებს საფუძვლად ანსამბლის ალბომი „კედელი“ უძევს. ეს ალბომი 1979 წელს არის ჩაწერილი და იგი 23-გზის პლატინის ფირფიტად იქცა.

2011-2012 წლებში ხმის ჩამწერმა სტუდია „იემაიმ“ პინქ ფლოიდის კატალოგის ხელახალი, გლობალური გამოცემა დაგეგმა. პროექტმა მოიცვა მრავალი უცნობი სიმღერა, აგრეთვე ცნობილი სიმღერების ალტერნატიული ვარიანტები. სხვა სიმღერებთან ერთად გამოსაცემად მზადდება ორფირფიტიანი ალბომის „კედლის“ 3 და 7 ფირფიტიანი ვარიანტები.

## სამგლოვიარო განცხადებები

ისრაელიდან მოსული ცნობა სამწუხაროა:

გარდაიცვალა

**ანზორ როკეტლიშვილი**

კაცი, რომელმაც საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული ისრაელთა ქვეყანაში გაიყოლა.

ვიხსენებთ ბატონ ანზორს, როგორც 67-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული შვილების მამას, რომელმაც იცოდა ფასი ჩვენი ურთიერთობებისა, თანადგომისა და ერთგულებისა.

ვიხსენებთ ბატონ ანზორს, როგორც საუკეთესო მშობელს, რომელმაც ორი ქვეყნის სასახელოდ ხუთი შვილი გამოზარდა. კეთილმა ნერგმა შვილებშიც იხარა: მერაბი, გია, ეკა, მაია და ინგა როკეტლიშვილები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანები არიან.

**მერაბ, გია, ეკა, მაია და ინგა, თქვენი მამის გარდაცვალების მწუხარების გასაზიარებლად მიიღეთ სამ იმარი და თანადგომა საქართველოდან, ქ. თბილისის 6§-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და სკოლის ხელმ ღვანელობისაგან.**

67-ე საჯარო სკოლაში მოქმედი საქველმოქმედო ფონდი „განათლება, 67“-ის სასკოლო გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ფონდის დამფუძნებელს, ბატონ გია როკეტლიშვილს მამის

**ანზორ როკეტლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ევროვიზიაში აზერბაიჯანულმა დუეტმა გაიმარჯვა

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ავტომატურად იძენს აგრეთვე კონკურსის მასპინძელი ქვეყანა.

სხვა დანარჩენ ქვეყნებს ფინალში მოსახვედრად ნახევარფინალებში ბრძოლა უწევთ. ის, თუ ორი ნახევარფინალიდან რომელ ნახევარფინალში გავა ესა თუ ის მომღერალი და რომელ ნომრად გამოვა სცენაზე, კენჭისყრით წყდება. ყოველწლიური მუსიკალური კონკურსი „ევროვიზია“ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 56 ქეყანას შორის 1956 წლიდან იმართება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

ვმკურნალობ შაკიკს („მიგრენი“) და სხვა სახის თავის ტკივილებს, რომლებიც წლების მანძილზე გაწუხებთ. ვიძლევი მორჩენის გარანტიას!
☎: 77-18-15

## ტესტი

## სიხარული თქვენ გარშემო



1. სიხარული, რომელსაც განვიცდი, ჩემი ხასიათის „დამსახურებაა“.
2. შემიძლია სხვებს გადავდო ჩემი სიხარული.
3. არის მომენტები, როდესაც უსაზღვრო სიხარული მეუფლება.
4. არიან ადამიანები, ვისაც ბოლომდე ვენდობი.
5. სხვებისთვის სიხარულის მინიჭება სიამოვნებას მანიჭებს.
6. ყიდვა ყველაფრის შეიძლება, მათ შორის სიხარულისაც.
7. მშურს ადამიანებისა, ვისაც სიხარული შეუძლიათ.
8. ნდობა არავისა შეიძლება
9. გარშემო იმდენი ბოროტებაა, რომ სიხარულისთვის ადგილი არ რჩება.

**შეაფასეთ: 1-5 შეკითხვებზე დადებითი, 6-8 შეკითხვებზე კი უარყოფითი პასუხები თითო ქულით.**

### პასუხები

**0-2 ქულა:** იმდენად ცოტა სიხარულია თქვენს ცხოვრებაში, რომ შეშფოთებას უნდა იწვევეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი სულიერი მდგომარეობა ობიექტურად გამართლებულია.

**3-6 ქულა:** სიხარული სხვა ემოციებს არ ჭარბობს, ხშირად ცდილობთ საკუთარი თავი მოატყუოთ, დაიჯეროთ,რ ომ სიხარულმა შეიძლება მწარერეალობა გააქარწყლოს.

**7-9 ქულა:** სიხარული მთლიანად ავსებს თქვენს სამყაროს.შეგიძლიათ საკუთარი შეგრძნებების ფარგლების გაფართოება, როგორც ჭეშმარიტ მკვლევარს, გიზიდავთ ადამიანის განცდების ახალი ტონალობის შეცნობა.

გ.თ.



1. თარაშ ემხვარის ცხენი; 2. ინდოეთის ფულის ერთეული; 3. გარყვნილ ქალზე იტყვიან; 4. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 5. ქალიშვილი (ინგლისურად); 6. საფოსტო ნიშანი; 7. თხელი ქსოვილი რისამე ზედაპირზე; 8. ქალბატონი (გერმანულად); 9. თურქეთის დედაქალაქი; 10. ... არტმანე; 11. პატარა რესტორანი ესტრადითურთ; 12. შესანახად გახმობილი ხორცი; 13. პითონი; 14. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 15. ხე ბუდეში მოთავსებული ნაყოფით; 16. ტყემლის მოდუღებული წვენი; 17. ცილისმწამებლური ნაწარმოები; 18. მთა მესხეთის ქედზე; 19. ბუნებრივი საღებავი; 20. ძველფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; 21. თევზის ძვალი; 22. მცენარე წვრილი, შავი ნაყოფით; 23. ხეზე ასული ვაზი; 24. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 25. ნოტი; 26. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი; 27. ხანა, ეპოქა; 28. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 29. უზარმაზარის აღმნიშვნელი წინსართი; 30. ერთგვარი ლიტერატურული თამაში; 31. „... ერგასის დღე“; 32. რომანის დასკვნითი ნაწილი; 33. მოკლელულიანი შაშხანა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. ქორეოგრაფი; 15. კვარიათი; 16. რეზერვატი; 17. „კარტიე“; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფაუნა.

**თარაზულად:** 1. „ჰამბურგი“; 5. „პელე“; 7. „ავერსი“; 9. ბერიტაშვილი; 10. „ამსტელი“; 12. აჯამეთი; 13. პროექტი; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. ფრაზა; 20. ბიოსფერო; 22. ფშავი; 23. კაპრიზი; 24. ალუმი; 25. ვერფი.

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არწივი; 2. კილტი; 3. არაქსი; 4. კოზაკი; 6. „ფარაონი“; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაროშფუკო; 16. ბონუსი; 17. ოქსიდები; 19. იმპულსი; 21. იორდანე; 22. ელარჯი.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. უზანგი; 10. „არაბიკა“; 12. კურსი; 13. „კრუპი“; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ქორქია; 23. ალუშტა; 24. როგი; 25. „მოსადი“; 26. „ჯაკო“; 27. ინგლისი.

შედით საიტზე atb.ge

# ქართული ფეხბურთის ახალი ისტორია — ზესტაფონი



### ზესტაფონი-სამტრედია 4:1 (3:0)

**ზესტაფონი. დავით აბაში ის სახელობის სტადიონი. 3.999 მაყურებელი**

*გელაშვილი (23), 2:0 დვალი (27), 3:0 ონიანი (43), 4:0 წინამძღვრიშვილი (79),4:1 დვალიშვილი (90)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, გ.ონიანი (ხიდეშელი 62), გ.ფოფხაძე, დაუშვილი, გორგიაშვილი (ძარია 56), გელაშვილი, აციაური, გრიგალაშვილი, დვალი (წინამძღვრიშვილი 67), კობახიძე.

**სამტრედია:** ბანძავა, ხუმარაშვილი, შალიკაშვილი, ენდელაძე (ხაჭაპურიძე 73), ცხადაია, დვალიშვილი, ბურჯანაძე (შენგელია 69), რუხაია (ნინუა 46), ალავერდაშვილი, ჩხიკვაძე, გ.მიქაბერიძე.

ჩვენ ჩემპიონები ვართ — ფრედი მერკურის ეს ცნობილი სიმღერა დიდი ხნის მანძილზე ისმოდა ზესტაფონის სტადიონზე. თუმცა, რატო მარტო სტადიონზე — ზეიმი მატჩის დასრულებიდან დაიწყო იმერეთის პატარა ქალაქში და დილამდე გაგრძელდა. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ისიც აღნიშნა, რაც ზესტაფონში ღვინის ნაჟურის რეზერვია, დღეს აუცილებლად განადგურდებაო.

ზესტფაონი ჩემპიონობას ელოდა — სამტრედია არ ჰგავდა იმ გუნდი, რომელიც შაბათს რეგიონელებს წინააღმდეგობას გაუწევდა. არ იფიქროთ, რამე დაუთმეს — იმ დღეს მოტივირებული ზესტაფონის შეჩერებას ვერავინ შეძლებდა.

თბილისური „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“, ქუთაისის „ტორპედოს“, ბოლნისის „სიონისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ შემდეგ, „ზესტაფონი“ რიგით მე-6 ქართული გუნდი გახდა, რომელმაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 7 წელიწადი ელოდნენ ფეხბურთის ზესტაფონელი ქომაგები ამ დღეს. ყოველი ახალი პირველობის დაწყების წინ, ამ გუნდის მისამართით ავანსები მრავლად გაიცემოდა, თუმცა, კლუბს არასტაბილური გამოსვლა გაჩემპიონების საშუალებას არ აძლევდა. წლევანდელ ეროვნულში კი, „ზესტაფონმა“, კონკურენტებთან შედარებით, სტაბილურად ჩაატარა მთელი სეზონი და ჩემპიონობაც დასრულებამდე 2 ტურით ადრე იზეიმა.

საჩემპიონო მატჩში, მასპინძლები შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობით გამოვიდნენ. მათ თავიდანვე მედგრად შეუტიეს მეტოქის კარს და სახიფათო მომენტები პირველივე წუთიდანვე იქმნებოდა სამტრედიელთა კართან. მომენტებით დახუნძლული განსაკუთრებით პირველი ტაიმი იყო და ზესტაფონელებმა საწყის 45 წუთში გადაწყვიტეს გამარჯვებულის ვინაობა.

ზესტაფონელთა შეტევებს გოლი ადრიანად უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ 23 წუთი მოიცადა. შოთა გრიგალაშვილმა და თორნიკე აფციაურმა კუთხური გაითამაშეს, შემდეგ კი საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს თავი პირველმა ნიკა გელაშვილმა შეახო და მოხდენილი დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0.

რამდენიმე წუთში ნიკამ ასისტენტობა ჯაბა დვალს გაუწია, რომელმაც ბურთი მიიღო, დაამუშავა, მცირედით წინ წაიწია და 2:0.

ტაიმის ბოლო აკორდი კი გიორგი ონიანის ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო იყო. გელაშვილი საჯარიმოს მისადგომებთან დვალიშვილმა წააქცია და ზესტაფონელთა მცველმა გოლად აქცია — 3:0.

მე-2 ნახევარი, ფაქტობრივად, ფორმალობა გამოდგა, თუმცა, დროის ამ მონაკვეთში 2 გოლი მაინც გავიდა. ამჯერად, ასისტენტის როლში ისევ გელაშვილი გამოვიდა, რომელმაც რატი წინამძღვრიშვილს გაატანინა — 4:0.

როდესაც ყველა არბიტრის საფინალო სასტვენის მოლოდინში იყვნენ, როდესაც როინ კვასხვაძესთან პირისპირ დარჩენილმა დვალიშვილმა პრესტიჟის გოლი გაიტანა - 4:1.

### ტორპედო — ვიტ ჯორჯია 0:0

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2.999 მაყურებელი**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ფარულავა, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, ქებაძე (დილმელაშვილი 56), გ.დათუნაიშვილი, სეთურიძე, გოცირიძე, კვარაცხელია (საბანაძე 62), დოლიძე (კემუხტაშვილი 79).

**ვიტ ჯორჯია:** ა.მიქაბერიძე, ხურცილავა, გოგიაშვილი, ადამაძე, ვასაძე, ღანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ზაქრაძე (გიორგი გურეშიძე 58), ჩიმაკაძე, კორიფაძე, ზაქრაძე (გიორგი გურეშიძე 58).

გუშინდელი მეტოქეების პრინციპული დავა სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურის დასაკავებლად, უგოლო ფრით აღინიშნა, რომელმაც ერთქულიანი უპირატესობა ქუთათურებს შეუნარჩუნა.

მატჩი არცთუ ისე მაღალ ტემპში დაიწყო. დასაწყისში ვიტელი დავით ჯანელიძე ურტყამდა სახიფათოდ საჯარიმოს, მაგრამ ბურთმა კარს ზემოდან გადაუარა. მალე, მოწინააღმდეგის კარს მთელი ძალებით მასპინძლებმაც შეუტიეს. მე-9 წუთზე რევაზ გოცირიძის ჩაწოდების შემდეგ, ერთ-ერთ ჯორჯიელს ბურთი ფეხზე აეჭრა და ვახტანგ კვარაცხელიას მიუვიდა, რომელსაც დარტყმა არ გამოუვიდა. სულ მალე, გოგიაშვილი დაემუქრა თავურით ქუთაისელთა კარს, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. ამის შემდეგ, მატჩში დაახლოებით 20-წუთიანი „უძრაობის“ პერიოდი დადგა. 26-ე წუთზე, სეთურიძის ჩაწოდების შემდეგ, ბურთს თავურით ფარულავა შესწვდა, მაგრამ მასპინძელთა მცველს სიზუსტემ უმტყუნა. თითქმის მაშინვე, კვარაცხელია დაემუქრა აღმოსავლელთა კარს, მაგრამ მიქაბერიძემ შეძლო დარტყმულის განეიტრალება. მალე სტადიონზე შტილი ჩამოდგა. გუნდები ბურთის გორებით ერთობოდნენ.

27-ე წუთზე თბილისელებმა კინაღამ იხეირეს — კორიფაძის ჩაწოდებულს ჩიმაკაძემ მიმართულება შეუცვალა. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბურთი ცარიელი კარიდან ქებაძემ გამოიტანა.

ისევ სიწყნარე და ტაიმის ბოლო წუთზე დოლიძის ჩაწოდების შემდეგ, გიორგი დათუნაიშვილი ურტყამდა ახლო მანძილიდან, მაგრამ მიქაბერიძე უშეცდომოდ თამაშობდა.შეხვედრის მეორე ნახევარი კიდევ უფრო უარესი სანახავი გამოდგა. სახიფათო მომენტები თითქმის აღარ იქმნებოდა. რამდენიმეჯერ იყო მცდელობა შეტევისა, თუმცა, რეალური საგოლე მომენტი არ შექმნილა.

მე-60 წუთზე დოლიძემ შეასრულა საჯარიმო, რომელიც ჯორჯიელთა მეკარემ აიღო. სულ მალე, მასპინძელთა მარჯვენა გარემარბის ფლანგურ გარღვევას ჩაწოდება მოჰყვა სეთურიძის მისამართით, თუმცა, გიორგის თავური არაზუსტი გამოდგა. 76-ე წუთზე ჯანელიძემ აართვა ბურთი გამოცდილ დილმელაშვილს, თუმცა, მიზანმა მასაც უმტყუნა. თამაშის ეპილოგში ჩიკვილაძემ სცადა ორჯერ შორიდან დალაშქვრა მეტოქის კარისა, მაგრამ პირველჯერზე დარტყმული არაზუსტი გამოუვიდა, ხოლო მეორედ ბურთი დათუნაიშვილმა მიიღო და გაიტანა, თუმცა, აშკარა თამაშგარე იყო და მსაჯმაც, ბუნებრივია, გოლი არ ჩათვალა. ეს ყველაფერი შეხვედრის ბოლო წუთზე მოხდა და შეხვედრაც გატანილი გოლის გარეშე დასრულდა.

**დინამო თბილისი:** ლორია, თომაშვილი, ჰომოლა, კაკუბავა, ხმალაძე, არზიანი (ტატანაშვილი 62), კვეკვესკირი, თექთურმანიძე, კახელიშვილი, რობერტინიო (ლეკვთაძე 59), ფანცხავა.

**სიონი:** ბობღიაშვილი, კვასხვაძე, სვანიძე, დიდავა, ორბელაძე, ქორიძე (შალამბერიძე 82), ნოზაძე, გოგობრიშვილი, ოქროპირიძე, ჩხეტიანი (ლომაია 62), რეხვიაშვილი (ისიანი 58)

დინამოს ჩემპიონობისთვის მინიმალური შანსი ჰქონდა და ჯერ კიდევ ხავსს ებღაუჭებოდა, ამიტომაც თავიდანვე შეეცადა უპირატესობის მოპოვებას, რომელიც გოლად მხოლოდ 80-ე წუთზე აქცია — დიმიტრი ტატანაშვილმა დინამოელებს გამარჯვება კი მოუტანა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, თბილისელების საჩემპიონო შანსი ზესტაფონმა 2 საათში მოსპო.

### ოლიმპი — კოლხეთი 0:1

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი. 599 მაყურებელი**

*0:1 მდივნიშვილი (68).*

**ოლიმპი:** ბათიაშვილი, ჯაფარიძე, მურველაშვილი, ქემოკლიძე, დობროვოლსკი, ტყემალაძე, ქავთარაძე (იაშვილი 66), აბურჯანია, დ.ბოლქვაძე, ი.მაისურაძე, პავლიაშვილი.

**კოლხეთი:** ძაგანია, ცხვიტარია, მახვილაძე, ინწკირველი, მეგრელიშვილი, პ.დათუნაიშვილი, ლემონჯავა, ჯანაშია (სამადაშვილი 75), კვერენჩხილაძე (გელაჭეიშვილი 88), გვალია (სიჭინავა 83), მდივნიშვილი.

მატჩის ერთადერთი გოლი 68-ე წუთზე გავიდა — ფოთელებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, ლაშა გვალიამ მარჯვნივ გააყოლა ბურთი პაატა დათუნაიშვილს, რომელმაც გამჭოლი პასი გააკეთა და ლევან მდივნიშვილმა ახლოდან ისე გაიტანა, ხელს არავინ უშლიდა.

ამ მოგებით ფოთელებმა ელიტაში დასარჩენად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს, ხოლო რუსთაველთა უმოტივაციო თამაში ბოლო ტურებში ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს სვამს.

### სპარტაკი — ბაია 3:0

**გორი. ქართლის სტადიონი**

*1:0 თეიმურაზ შონია (11), 2:0 ჯაკობია (52, პენ.), 3:0 დეკანოიძე (65)*

**სპარტაკი:** ნ.დაუშვილი, ბოიომო, ჭაფოძე, მანჩხავა, მგელაძე, თ.შონია, დეკანოიძე (ვ.ბოლქვაძე 73), მამუჩიშვილი (ბურდენაძე 80), ჯაკობია, მეტრეველი (ბუზალაძე 46), კილასონია.

**ბაია:** სომხიშვილი, აფაქიძე, ნ.შონია, გამრეკლიძე, სამუშია (ახალაია 89), სიხარულია (ჩანგელია 77), რიგვავა, ქობალია, ეხვაია (ენდელაძე 69), წურწუმია, ქვარცხავა

ელიტაში დარჩენისთვის „სპარტაკი“ ბოლომდე იხარჯება, მაგრამ რა გამოუვა, ამას დარჩენილ 2 ტურში შევიტყობთ. მანამდე კი ცხინვალელებმა „ბაია“ ისტუმრეს და არცთუ გულღიად გაისტუმრეს — 3:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 34 | 23 | 6 | 5 | 68:18 | 75 |
| 2.დინამო | 34 | 20 | 9 | 5 | 52:20 | 69 |
| 3.ოლიმპი | 34 | 18 | 6 | 10 | 46:30 | 60 |
| 4.ტორპედო | 34 | 12 | 13 | 9 | 28:21 | 49 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 34 | 14 | 6 | 14 | 35:35 | 48 |
| 6.ბაია | 34 | 12 | 5 | 17 | 31:48 | 41 |
| 7.სიონი | 34 | 9 | 9 | 16 | 25:43 | 36 |
| 8.კოლხეთი | 34 | 9 | 9 | 16 | 23:46 | 36 |
| 9.სპარტაკი | 34 | 7 | 10 | 17 | 32:41 | 31 |
| 10.სამტრედია | 34 | 6 | 7 | 21 | 26:64 | 25 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 17 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 14, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 13-13, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) - 12.

# ლუის ენრიკე: „გვარდიოლა“ ბარსელონას ფერგიუსონია

28 მაისს, ლონდონის „უემბლიზე“ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი ჩატარდება. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალში, ერთმანეთის პირისპირ ის კლუბები წარდგებიან, რომლებიც გულშემატკივართა სოლიდური ნაწილის აზრით, ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ. პეპ გვარდიოლას „ბარსელონასა„ და სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაპირისპირებას მთელი საფეხბურთო სამყარო უდიდესი ინტერესით ელის. ამ მატჩთან დაკავშირებით, ესპანურმა „სპორტმა“ ინტერვიუ „ბარსას“ ყოფილ კაპიტანს, ლუის ენრიკეს ჩამოართვა, რომელსაც ფერგიუსონის გუნდის წინააღმდეგ საჩემპიონთალიგო შეხვედრა აქვს ჩატარებული.

***— „ბარსას“ ურთულესი ამოცანის ჩაბარება მოუწევს. ამასთან, გუნდის ქომაგები მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ და მოელიან. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია „ბარსელონას“ მიერ ლონდონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა?***

— მე თუ მკითხავთ, ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს. ცხადია, ძალიან მსურს, რომ თასი კიდევ ერთხელ „ბარსამ“ მოიგოს, მაგრამ ფერგიუსონის გუნდთან ურთულესი თამაში გვექნება.

***— ფინალში ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის გეიმედებათ?***

— „ბარსელონაში“ ბევრი უმაღლესი კლასის მოთამაშეა და მოწინააღმდეგისთვის ხიფათის შექმნა, პრაქტიკულად, ყველა ფეხბურთელს შეუძლია, მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვი, კამპ ნოუელთა მთავარი ფიგურა პეპ გვარდიოლაა. მას 25 წელი აქვს გატარებული კამპ ნოუზე, ამიტომაც ხოსეპს „ბარსელონას ფერგიუსონს“ ვუწოდებდი. ისე კი, ძალიან საინტერესო იქნება გვარდიოლასა და ფერგიუსონის სამწვრთნელო ჭიდილი. 2009-ში პეპმა სერ ალექსს აჯობა, ვნახოთ, რა მოხდება წლეულს...

***— როგორ გაიხსენებთ 1998 წელს „იუნაიტედთან“ ორ დაპირისპირებას?***



— „ოლდ ტრაფორდზე“ ჩატარებული პირველი მატჩი 3:3 დასრულდა. პირველ ტაიმში მანჩესტერელებმა წნეხში მოგვაქციეს. ამან ჩვენი მცველები ცოტათი აანერვიულა და მათაც შეცდომა დაუშვეს. ლაფსუსით მშვენივრად ისარგებლა დევიდ ბექჰემმა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში თამაში გავათანაბრეთ. 71-ე წუთზე პენალტი გავიტანე. ეს ერთადერთი თერთმეტმეტრიანია, რომლის რეალიზებაც ჩემი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში შევძელი. თუმცა, სულ ორი დარტყმა მაქვს შესრულებული. ერთი პენალტი „კამპ ნოუზე“ „ერკულესთან“ გავმაზე. „ოლდ ტრაფორდს“ თუ დავუბრუნდებით, მოგახსენებთ, მთელი 90 წუთის განმავლობაში მანჩესტერელი ფანები არ გაჩერებულან და სიმღერით ამხნევებდნენ საკუთარ კერპებს. ვფიქრობ, ლონდონშიც „იუნაიტედს“ აქტიური მხარდაჭერა ექნება.

***— მეორე შეხვედრაში ტრავმის გამო ვერ იასპარეზეთ...***

— ის მატჩიც 3:3 დასრულდა. არადა, რომ მოგვეგო, მეოთხედფინალში გავიდოდით. იმ ტურნირის ფინალის შეხსენება კი არავის სჭირდება. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სწორედ „კამპ ნოუზე“ მოუგო მიუნხენის „ბაიერნს“.

***— 2008 წელს „ბარსელონას“ მეორე გუნდს ჩაუდექით სათავეში. მაშინ ასეთი ფრაზა წარმოთქვით — შინ დავბრუნდიო. თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ, გუნდი სეგუნდა დივიზიონში დააბრუნეთ, წელს კი, გუნდი ძალიან წარმატებით გამოვიდა და ფარმ-კლუბს აკრძალული რომ არ ჰქონდეს პრიმერა დივიზიონში გადასვლა, „ბარსა II“ უძლიერესთა რიგებშიც მოახერხებდა დაწინაურებას. ამის მიუხედავად, კონტრაქტის დასრულებამდე გუნდიდან წასვლა გადაწყვიტეთ. რატომ?***

— ყოველთვის მსურდა დამემტკიცებინა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელი ვიყავი და ვფიქრობ, ჩემი ხანგრძლივი სამოთამაშეო კარიერის განმავლობაში, ეს მოვახერხე კიდეც. მწვრთნელობას კი მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, „კამპ ნოუზე“ დაბრუნება პეპ გვარდიოლამ რომ მთხოვა. ახლაც პრიმერა დივიზიონის რამდენიმე კლუბი დამრიგებლობას მთავაზობს, მაგრამ ჯერჯერობით, სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელებაზე არ ვფიქრობ. ვნახოთ, რა მოხდება სამომავლოდ, ამჯერად კი, თავს ვიკავებ მწვრთნელის კარიერის განახლებისგან.

***— „ბარსელონაში“ ბევრი სეზონი გაქვთ გატარებული და გუნდის ერთგული გულშემატკივრებისთვის დღემდე გუნდის ერთ-ერთ სიმბოლოდ რჩებით. არ გსურთ, კლუბის გამგეობაში რომელიმე პოსტზე მუშაობის დაწყება?***

— ჩემი ოცნებაც ესაა. იმედია, ადრე თუ გვიან „ბარსაში“ გავაგრძელებ მუშაობას. თუკი ასე არ მოხდა, ჩემი საყვარელი გუნდის ერთ რიგით ფანად მიგულეთ. „ბარსა“ და ფეხბურთი სიცოცხლის ბოლომდე ერთნაირად მეყვარება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სპორტი

# სტუდენტებმა და არმიამ ფინალი შეადგინეს

**ქუთაისი — თსუ 74:80**
**(1§:21, 25:1§, 17:29, 14:22**

**ქუთაისი:** დიდია (17), კვიმსაძე (9), ბოლქვაძე (11), გ.ბარბაქაძე (5), ცეკვავა (12), ბაბუნაშვილი (14), ლომინაშვილი (4), კოღუაშვილი (2).

**თსუ:** გაფრინდაშვილი (2), ლონდარიძე (15), მათიაშვილი (17), შალვა კოხრეიძე,მიხეილ ბერიშვილი (13), მარხვაშვილი (24), კორკოტაძე (4), ჩიტაშვილი (5)

ქუთაისმა ზედიზედ მეორედ წააგო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან და ფინალს მიღმა დარჩა. მართალია, ქუთათურთაგან ორივე საშინაო პაექრობის წაგებას არავინ ელოდა, მაგრამ ამასაც, ალბათ, თავისებური ახსნა გააჩნია. ნახევარფინალში წარუმატებლობა, უპირველესად, რიონისპირელთა გადაღლილობასა და მოკლე სათადარიგოთა სკამს უნდა მივაწეროთ. ფაქტობრივად, მთელი ჩემპიონატის სიმძიმემ რამდენიმე კალათბურთელის მხრებზე გადაიარა, რომელთაც მიმდინარე პლეი-ოფის მატჩებში აშკარად ეტყობოდათ გადაღლილობა. თუმცა საერთო ჯამში, გუნდის მიმართ უკმაყოფილება, ალბათ, სამართლიანი ვერ იქნება, რადგანაც ახლად შექმნილმა გუნდმა ნახევარფინალს მიაღწია და ბრინჯაოს მედლების შანსი გააჩნია.

გუშინწინდელი მატჩისაგან განსხვავებით, პირველ მეოთხედში სტუდენტებმა იმარჯვეს 4-ქულიანი უპირატესობით. თბილისელთა შორის აქტიურობით რიჩარდ მათიაშვილი, გიორგი მარხვაშვილი და ილია ლონდარიძე გამოირჩეოდნენ. დედაქალაქელთა ეს სამეული, მეტოქის ფარს შედეგიანად უტევდა, თანაც, დაცვაში თამაშითაც გამოირჩებოდნენ.

ქუთაისელებმა მეორე მეოთხედში გამოიფხიზლეს და თავიანთი შესაძლებლობები სრულად სწორედ ამ პერიოდში გამოავლინეს. პირველი ტაიმის დასკვნითი ნაწილი ქუთათურებმა 8-ქულიანი უპირატესობით მოიგეს, რამაც საერთო ანგარიშის გათანაბრების შანსი მისცა.

მესამე პერიოდში, თამაში შედარებით თანაბარი გახლდათ და დასკვნითი მეოთხედის წინ მასპინძლები 2 ქულით იგებდნენ. მატჩის ეპილოგი კი მასპინძლებმა აშკარად ჩააგდეს. უპირველესად ეს, სტუდენტთა შესანიშნავი თამაშის ბრალი იყო. ქუთათურთათვის შეუჩერებელი გახდა გირგი მარხვაშვილი, რომელმაც საბოლოო ჯამში, 24 ქულას მოუყარა თავი. ამას დავუმატოთ ლონდარიძის და მათიაშვილის ორმაგი დუბლები. თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, ქუთათურებმა ორ ქულამდე დაიყვანეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ გადამწყვეტ სიტუაციებში, მასპინძლებს მიზანმა უმტყუნათ. საბოლოოდ

თსუ-მ 80:74 იმარჯვა და ქუთაისელთა ქომაგებმა ფინალში გასული სტუდენტები ტაშით დააჯილდოვა.

**სოხუმი — აჰმია 65:71**
**(21:16, 11:22, 13:17, 29:15**

**სოხუმი:** ჰარისი (8), ფარღალავა (7), კანკია (6), ფაცაცია (12), კ.დამუსი (16ქ.15მ.); ჩლაიძე, შანიძე (2), სორდია (8), რ.დამუსი (6)

**არმია:** ტულუში (22), ბოისა (11), ბ.ბერიშვილი (2), ათანელიშვილი (4), შარაბიძე (14); ბაბიაშვილი (13), პირველაშვილი (5)

მატჩი ზღვისპირელთა უპირატესობით დაიწყო. პირველ მეოთხედში იყო მომენტი, როცა „სოხუმი" 8 ქულითაც დაწინაურდა. მაგრამ მეორე და მესამე მეოთხედში „არმია" აქტიურობდა. მესამე მეოთხედის შემდეგ, მანამდე მდევრის როლში მყოფი „არმია" 11 ქულით, 56:45 დაწინაურდა.

ყველაზე დაძაბული მეოთხე, დასკვნითი მეოთხედი გამოდგა. „სოხუმის" გადაღლილმა კალათბურთელებმა, თითქმის შეუძლებელი შეძლეს და მეოთხე წუთის ბოლო წამებზე, ლევან ფაცაციას მიერ ზუსტად შესრულებული ორი საჯარიმოს შემდეგ, „სოხუმი" ერთი ქულით, 60:59 დაწინაურდა. თუმცა, ბოლო წუთებში „არმიამ" უფრო ზუსტი სროლები გამოირჩა, დაცვაშიც უკეთ ითამაშა და ფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ნოდარ ნიკოლაიშვილი გრანდიოზულ მარათონს მართავს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ერეკლე მეფის სასახლეში. შემოქმედებითი ჯგუფი უკვე შერჩეულია, მზად არიან მომღერლებიც, მხოლოდ ფინანსების მოძიებაა დარჩენილი. თუკი ოპერის დადგმა ვერ განხორციელდა, კომპოზიტორს გადაწყვეტილი აქვს ფილმი-ოპერა გადაიღოს, რომლის რეჟისორობასაც მიშა ზაქარიაშვილს ანდობს.

**ნოდარ ნიკოლაიშვილი, კომპოზიტორი:**

— 17 მაისს ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში ერეკლე მეფის დაბადებიდან 290-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ტარდება. ტელეკომპანიები „მზე" და „პირველი სტერეო" აწყობს ამ ღონისძიებას და მიმართულია იმისკენ, რომ ჩემს მიერ ორი წლის წინ დაწერილი ახალი ოპერა „ხვედრი მეფისა" განსახორციელდეს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეკოს თავისი მობილური ტელეფონიდან ნომერზე 200-250, სადაც ერთი ლარის შემოწირვით დაგვეხმარება შევაგროვოთ ის თანხა, რომელიც ამ ოპერის დასადგმელად არის საჭირო.

***— ოპერა სრულად არის დამთავრებული?***

— დიახ, ოპერა უკვე დასრულებულია, აუდიოვერსია ჩაწერილია, მაგრამ ორი წელია ვერ მოხერხდა მისი დადგმა. ტელეკომპანიები „მზე" და „პირველი სტერეო" დამიდგნენ გვერდით და მომცეს საშუალება, რომ ოპერის დასადგმელად მარათონი მოვაწყოთ და თითო ზარით მაყურებელი შეგვეწიოს.

***— ერეკლე მეორის ფონდი თქვენ დააარსეთ?***

— რა თქმა უნდა. ეს არის ერეკლე მეორის კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ფონდი. ამ ეტაპზე იგი მოიცავს მხოლოდ ოპერის დადგმას, თუმცა სამომავლოდ სხვა კულუტური ღონისძიებებიც გვაქვს დაგეგმილი, კონცერტები, სპექტაკლები, გასვლითი საღამოები.

***— ვინ მიიღებს მონაწილეობას თქვენს მარათონში?***

— მარათაონში ჩაბმულია ყველა ის ადამიანი, ვისაც ამ ნაწარმოების განხორციელება გულით სურს. ჩვენი საღამო დაიწყება ნაწყვეტებით ოპერიდან „ხვედრი მეფისა" და შემდეგ უკვე ჩვეულებრივი გალაკონცერტით გაგრძელდება. კონცერტში ჩართული არიან ოპერის მომღერლები სულხან გველესიანი, გია ასათიანი, თამაზ საღინაძე. ნაჩვენები იქნება ვიდეორგოლი, რამდენიმე ვერსია ამ ოპერაზე, რომელიც პრომოს ხასიათს ატარებს. ამის შემდეგ კი მარათონი გაგრძელდება გალაკონცერტით, რომელშიც მონაწილეობენ ეკა კვალიაგშვილი, ზურა მანაგაძე, ბესო კალანდაძე, ანსამბლი „ალილო", ტატო გოდერძიშვილი, დათუნა სირბილაძე, თათია გიორგობიანი, ზურა დოიჯაშვილი, ნუგზარ კვაშალი.

***— ოპერის აუდიო ვერსია როდის ჩაწერეთ?***

— ოპერის აუდიო ვერსია თეიმურაზ ნიკოლაიშვილის სტუდიაში „ლაივ რეკორდსში" ჩაიწერა, არანჟირების ავ-



ტორია ირაკლი მენთეშაშვილი, ოპერის სლიბრეტოს ავტორია ზურაბ გოშაძე. ამ ოპერაში ნანა ცინცაძესაც ეკუთვნის ბევრი ტექსტი.

***— თუ ფინანსები არ გაქვთ, აუდიო ვერსია როგორ ჩაწერეთ?***

— ისევ კეთილი ადამიანების თანადგომით. ძალიან მიხარია, რომ სტუდიური ვერსიის განხორციელებაში სერიოზული ფინანსური დახმარება გამიწიეს ბატონმა ლაერტ ზუბადალაშვილმა, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა და ჩემმა მეგობარმა ნუგზარ კვაშალმა. დიდი მადლობა აკაკი სიხარულიძეს, პირველ სტერეოს და მზეს, რომ მომცეს შანსი, ეს ოპერა დავდგა და ჩემი ჩანაფიქრი განვახორციელო.

***— რამდენია საჭიროა, რომ ოპერა განხორციელდეს?***

— მინიმუმ 50 ათასი ლარია საჭიროა, რომ ოპერა სრულყროფილად და სერიოზულად განხორციელდეს. რაღა დაგიმალოთ და არ მაქვს იმედი, რომ მარათონზე ამდენი შემოვა, მაგრამ ფილმის ვერსია არსებობს. ეს იქნება ფილმი-ოპერა, რომლის გაკეთებაც გვინდა. ასეთი რაღაცეები წინათაც არსებობდა და გვინდა ამ სახით მაინც დავდგათ ეს ოპერა.

***— თბილისსა და თელავში მართლა აპირებთ დადგმას?***

— დიახ. ეს არის გარე ოპერა. მინდა პირველ ეტაპზე მეტეხის პლატოზე თბილისში და ქალაქ თელავში ერეკლეს სასახლეში წარმოვადგინოთ ოპერა. ეს მხოლოდ დასაწყისია, მერე უკვე გააჩნია როგორ განვითარდება მოვლენები, თუ ფინანსები იქნება, მთელ საქართველოს სიამოვნებით მოვივლიდით.

***— ხელს მხოლოდ ფინანსები გიშლით?***

— დიახ. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მომავალი თაობა, ბავშვები უნდა გაიზარდნონ ღირებულ მუსიკაზე და არა იმ მუსიკაზე, რომელიც დღე და ღამე ქართულ მუსიკალურ არხებზე ტრიალებს. აბა დაუკვირდით, რას ილებენ დღეს მომავალი თაობები ღირებულს და გემოვნებიანს? ამიტომ გვინდა ეს ოპერა განვახორციელოთ. კოლეგებიდან მოყოლებული, ყველა მხარს მიჭერს. ჩემს პროფესიაში კოლეგებს ფინანსები არ გააჩნიათ, თორემ სხვაგვარად ჩემს გვერდით არიან.

***— ვის დაადგმევინებთ ოპერას?***

— ყველაფერი მზად არის, რეჟისორიც, დასის წევრებიც. სპექტაკლს დავადგმევინებ ჩემს მეგობარს, რომელიც პროფესიით რეჟისორია და გიგა ლორთქიფანიძის კლასი აქვს დამთავრებული, მიშიკო ზაქარიაშვილს. მიშა რეჟისორია, თავისი საქმე კარგად იცის, ამიტომ მთავარია ფინანსები იყოს.

***— კულტურის სამინისტროს არ მიმართეთ?***

— ყველამ ყველაფერი იცის, ვინც შეიძლებოდა, ფინანსურად გვერდში დამდგომოდა ყველას მივმართე, მაგრამ არავინ არ გამომხმაურებია. კულტურის სამინისტროს გარდა, კიდევ სხვებსაც მივმართე, მაგრამ არსაიდან დახმარება არ მიმიღია. მერიასაც ეკუთვნის, მაგრამ არც მათ გამოუჩენიათ ყურადღება. დაპირებები იყო, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა. ყველა საქმის კურსია, მაგრამ მათ გარდა, ვინც აუდიო ვერსია შექმნა, არავინ დაინტერესებულა ამ ოპერით.ორი წელია ამ საქმით ვარ დაკავებული. მინდა დავდგა ეს ოპერა, ამიტომ სულ მასზე ვფიქრობ და არც არაფერი დამიწერია ახალი. ახლა უკვე იმ აზრამდე მივედი, რომ თუ უნდათ უნდათ, თუ არადა, რა ვუყო ახლა? ეს ჩემი ბოლო ცდაა, თუ გამოვა, ხომ კარგი, თუ არადა, დავანებებ თავს. ამასწინათ პირველ რადიოში შვიდი საათი ვიყავი ეთერში. ტორონტოდან, ატლანტადან და საიდან არ რეკავდნენ. მე პრობლემა არ მაქვს და ეს ყველაფერი არც სახელისა და დიდებისთვის არ მჭირდება. ეს ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სჭირდებათ. ჩვენი თაობა ლაღიძეზე, კვერნაძეზე გავიზარდეთ და ახლანდელი ბავშვები ვისზე უნდა გაიზარდონ?

***— ერეკლე მეორის იუბილეს გინდათ ოპერის პრემიერა დაამთხვიოთ?***

— წელს ნამდვილად გამორჩეული წელია. 290 წელი გავიდა მისი დაბადებიდან. ასეც რომ არ იყოს, განა ერეკლე მეფე არ იმსახურებს ყურადღებას? იუბილე რომ იყო ერეკლე მეორის, ენა არავის დაუსველებია. ასე თუ ისე მრგვალი თარილია. ნუთუ ეს მეფე არ იმსახურებს ერთ ლამაზ ოპერას? კახელებს მინდა მივმართო, ნუთუ მათთვის ერეკლე მეფე არაფერს ნიშნავს? ძალიან მინდა მხარში დამიდგნენ, რომ ეს ოპერა განვახორციელო. ერეკლე არ იყო ცუდი მეფე, მან საქართველოსთვის ბევრი კარგი გააკეთა. ვისაც გული შესტკივა ერეკლეზე და შერჩა პატრიოტული და მამულიშვილური გრძნობები, ვისთვისაც სულ ერთი არ არის მისი შვილები და შვილიშვილები რა ტრადიციაზე გაიზრდებიან, მაშინ მხარი დაგვიჭირონ და ჩვენი ოპერაც განხორციელდება.

# „ჩვენი მწერლობის" დარბაზში დავით წერედიანის ლექსების კრებულის განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში მწერლისა და პოეტის დავით წერედიანის ლექსების კრებულის „ორიონის" განხილვა მოეწყო.

გამომსვლელებმა ამ ლექსების მიმართ აღტაცება ვერ დამალეს და პოეტს ქართული პოეზიის არისტოკრატი და უფლისწულიც კი უწოდეს. ბევრი ითქვა წერედიანის პოეზიის ღრმა სულიერებაზეც, ჩინებულ ქართულ სინტაქსსა და ლექსიკაზე, თვითმყოფადობასა და ინდივიდუალურობაზე. მათ სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ წერედიანმა საკმაოდ გვიან გამოსცა ლექსები და ბევრმა თაობამ მისი გაცნობა ვერ მოახერხა.

როგორც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მთვარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ჩინებულ მთარგმნელობასა და ესეისტობასთან ერთად დავით წერედიანი ჩინებული პოეტიცაა.

— ყველა სფეროში, რაც შექმნა დავით წერედიანმა, ეს არის ბაჯაღლო ოქრო. წიგნის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მოცულობით, არამედ მისი ზემოქმედების ხანგრძლივობით და ეს არის ლექსები, რომელიც მართლაც გახდება კლასიკური ლიტერატურის კუთვნილება, — აღნიშნა მან.

მომხსენებელმა ელისო კალანდარიშვილმა ყურადღება გაამახვილა წერედიანის ლექსების ღრმა სულიერებაზე, რელიგიურობაზე, ეროვნულობაზე, მოხდენილ რითმებსა და მეტაფორებზე.

ლანა ღოღობერიძემ კი, მისი შემოქმედების ეროვნულ ტრაგიზმს გაუსვა ხაზი და წერედიანის რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

პაატა ჩხეიძის თქმით, წერედიანი არის პოეზიის ნამდვილი მეტრი და ქართულ პოეზიაში შეტანილი წვლილისთვის ამიერიდან ის უნდა მოიხსენიონ, პოეზიის უფლისწულად, ყოველგვარი გადაჭარბებისა და გაზვიადების გარეშე, რადგან მისი წიგნიერი ქართული, ულამაზესი ლექსიკა, რითმა, აზრით დატვირთული თითოეული მარცვალი, ლიტერატურული არისტოკრატიზმი და სიღრმისეულობა ამის თამამად თქმის საშუალებას იძლევა.

გამომსვლელებმა მოიწონეს როსტომ ჩხეიძის მიერ წერედიანის ბარათაშვილთან შედარება და დასძინეს, რომ ბარათაშვილსაც მასავით მცირე ოდენობის ლექსები ჰქონდა, მაგრამ ისინი შედევრებად შემორჩა ქართულ პოეზიას, როგორც დარჩება წერედიანის ლექსები.

მაკა ჯოხაძემ კი დასძინა, რომ ყოველთვის ელოდებოდა ისეთ უმშვენიერეს და სულის შემძვრელ კუთხეს, როგორიც არის სვანეთი, ასეთი საოცარი ნიჭის ადამიანი ეშვა. ახლა კი თამამად შეუძლია თქვას, რომ უშგულმა, შხარამ, ლატალმა, ლილემ და სხვა სვანურმა სიდიადემ და სულიერებამ, დავით წერედიანის სახით შვა მართლაც უნიჭიერესი პოეტი.

გამოსვლელებმა ბევრი ისაუბრეს წერედიანის თარგმანებზე და მის მთარგმნელობით ოსტატობაზეც. დასძინეს, რომ ის არის უაღრესად თავმდაბალი პიროვნება და დიდი ძალისხმევა დასჭირდა როსტომ ჩხეიძეს, რათა კრებულის გამოცემაზე დაეთანხმებინა, რითიც მან ქართულ ლიტერატურას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ, ასევე ვახტანგ ჯავახაძე, ლია სტურუა, დალილა ბედიანიძე, ზაირა არსენიშვილი, კახა ჯამბურია, ემზარ კვიტაიშვილი და ნანა ტონია.

**მედიანიუსი**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 16 მაისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ"არენა" **00.30** მხ. ფილმი **"ანაკონდა"** (18) (ჯ. ფოსტერი) **02.30** მოამბე **02.50** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"მედლინი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"მამკაცები შავებში"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფ. **"ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი (პირდ.) **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** მხ. ფილმი **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.00** რემონტი (გან.) **01.55** მხ. ფილმი **"საშობაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.) **03.45** მხ. ფ. **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ. ფილმი **"დღე უკანასკნელი, დღე პირველი"** **13.30** კონცერტი – ნ. გაბუნია **15.05** სპექტაკლი **"ბნელ ოთახში"** **16.45** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფ. "კაკ-ენისელი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** მხ. ფილმი **"ჭუჭუნას მზითევი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლ. ფილმი **"ჭა"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო —2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

## ამინდის პროგნოზი 16 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 19-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 11-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 14-17, ღამით — 3-11








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ევროვიზიაში აზერბაიჯანულმა დუეტმა გაიმარჯვა

**2011 წლის ევროვიზიის კონკურსში გამარჯვება აზერბაიჯანულ დუეტს, ნიგიარ ჯამალსა და ელდარ გასიმოვს დარჩათ. მათ შესრულებას სიმღერა, რომლის სახელწოდებაც შეი ლება ითარგმნოს, როგორც „გულგახეთქილი გავიქეცი".**



წყვილმა მეორე ადგილზე გასულ პრეტენდენტს 36 ქულით გაუსწრო, საერთო ჯამში კი 221 ბალი დააგროვა.

აზერბაიჯანს ქულების მაქსიმალური რაოდენობა რუსეთმა, თურქეთმა და მალტამ მიანიჭეს.

მეორე ადგილზე იტალიელი მომღერალი გავიდა, მესამეზე — შვედი.

მეოთხე ადგილზე უკრაინის წარმომადგენელი მიკა ნიუტონი გავიდა.

კენჭისყრა უკანასკნელი მონაწილის გამოსვლის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში გრძელდეობდა. ამასთან, ევროვიზიის წესების თანახმად, სატელეფონო კენჭისყრის მონაწილეებს საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლისთვის ხმის მიცემა ეკრძალებოდათ.

წლეულს კონკურსში 43 მომღერალი მონაწილეობდა. გასულ წელს „ევროვიზიის" ფინალში გერმანელმა მომღერალმა ლენა მაიერ-ლანდრუტმა გაიმარჯვა.

აზერბაიჯანული დუეტი გერმანიიდან გარდამავალი პრიზით, „ბროლის მიკროფონით" გაისტუმრეს. ამ გამარჯვების წყალობით „ევროვიზია 2012" აზერბაიჯანში გაიმართება.

„ევროვიზიის" კონკურსის პირობების თანახმად, 2001 წლის შემდეგ ფინალში ავტომატურად ხვდებიან ე.წ. „დიდი ხუთეულის", დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ესპანეთის წარმომადგენლები, რადგან ეს ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში ევროპის სამაუწყებლო კავშირთან ერთად ამ კონკურსის ძირითადი სპონსორები არიან.

ფინალში გამოსვლის უფლებას


**გაგრძელება მე-13 გვერდზე**


# ასტროპროგნოზი 16 მაისისთვის

## ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **კურო** — ეს დღე ცოდნის მიღებას და საკუთარ თავზე მუშაობას დაუთმეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია არ იზარმაცოთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ნუ აჩქარდებით, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ, შეცდომას ადვილად აირიდებთ. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ, ნუ აყვებით ნერვებს. **თევზები** — მშვენიერი დღეა, საწადელს აისრულებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 16 მაისიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

## „ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

**ტომი 5**

## სერვანტესი




**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


# იუმორი



— დროის მოსაკლავად დამიზნება სულაც არ არის საჭირო...

***

— მე შენი მტერი ვარ, მომეცი ვახშამი...

***

— უარს ვამბობ მონაწილეობა მივიღო შვილის აღზრდაში, რადგან მინდა, რომ იგი ღირსეული ადამიანი გაიზარდოს...

***

— გუშინ ვიჩხუბეთ, ჯერ ერთს მოვდე, მერე მეორეს, თვალი რომ გავახილე, ორივე ისევ ფეხზე იდგა...

***

— 3%-იანი ფასდაკლება სტომატოლოგიურ კლინიკაში ნიშნავს, რომ 32 კბილის ამოღების შემდეგ 33-ეს უფასოდ ამოგიღებენ...

***

— ამ ბოლო დროს ისე მკვეთრად შეიცვალა, რომ როდესაც შევხვდი, ძლივს მიცნო...

გ.თ.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ერთგვარი კანფეტი; 6. პატარა ფიცრებით დაგებული იატაკი; 8. ქალაქი გერმანიაში; 10. დიდი სახაზავი; 11. საგანგებოდ საწერად დამუშავებული ტყავი; 13. მძაფრი გარდატეხა; 16. მექანიკის დარგი; 18. ბამბის თხელი ბადურა ქსოვილი; 19. „რჩეული" საზოგადოება; 21. გეო...; ტელე...; 22. უმოძრაო, უმოქმედო; 23. ქათმების დასაჯდომი ხარიხა.

**შვეულად:** 1. ორგანიზმი, რომელიც სხვა ორგანიზმის ხარჯზე ცხოვრობს; 2. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 3. ქალაქი რუსეთში; 4. პატარა სატვირთო მანქანა; 7. ჯარი ანუ ...; 9. რაიმე გზის მონაკვეთი; 12. მოძრავი კიბე; 14. ერთგვარი მუსიკალური წყობა; 15. ილეთი კლასიკურ ჭიდაობაში; 17. ახალი წელი გურიაში; 20. ჩაიდანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

